

საქართველოს
ბიბლიოთეკა



ნომერი ეძღვნება ქართველთა შორის
წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების
წიგნსაცავ-მუზეუმის დაარსების 140 წლისთავს

N 4 (81) 2020

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება



ქმნკვ საზოგადოების წიგნსაცავ-მუზეუმის სამკითხველო დარბაზი სათავადაზნაურო ბანკის თავდაპირველ შენობაში. მარცხნიდან: ია ეკალაძე, იროდიონე ველოშვილი, შიო მღვიმელი



ქმნკვ საზოგადოების წიგნსაცავ-მუზეუმი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. მარცხნიდან: აკაკი შანიძე, დავით კარიჭაშვილი (წიგნსაცავის უფროსი)



ქმნკვ საზოგადოების დარბაზი ეროვნულ ბიბლიოთეკაში



საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

ჟურნალი წარმოადგენს საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკისა და საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის ყოველკვარტალურ ორგანოს. გამოიცემა ეროვნული ბიბლიოთეკის დაფინანსებით და უფასოდ ურიგდებათ საქართველოს ბიბლიოთეკებს; ჟურნალში გამოსაქვეყნებელი მასალები მიიღება ელექტრონული ფორმით მისამართზე: **sakartvelosbiblioteka@gmail.com**

ავტორების მიერ სტატიებში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა, არ გამოხატავდეს საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკისა და საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის პოზიციას. შესაბამისად, აღნიშნული ორგანიზაციები არ იღებენ პასუხისმგებლობას მასალების შინაარსზე.

მთავარი რედაქტორი:	მაია მიქაბერიძე
საკატიო რედაქტორი:	ალექსანდრე ლორია
სარედაქციო კოლეგია:	გულნარა სტურუა რუსუდან ასათიანი დალი მაჩაიძე გიორგი ჩუბინიძე მირიან ხოსიტაშვილი
ტექნიკური რედაქტორი:	ლოლა სანაია
დიზაინი:	გიგი გელაშვილი
დაკაბადონება:	სოფო ტარყაშვილი

საქართველოს ბიბლიოთეკა №4(81) – 2020; გამოიცემა 2000 წლიდან.
©საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაცია

ამ ჟურნალში გამოქვეყნებული ფოტოები აღებულია საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ციფრული ბიბლიოთეკა „ივერიელიდან“.

გარეკანზე ფოტო: ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ლოგო
ავტორი: ვიკტორია ტატიშვილი

ISSN 1512-0880
www.nplg.gov.ge
www.gela.org.ge



www.fb.com/magazineLibraryofGeorgia



საქართველოს ბიბლიოთეკა

საქართველოს სბიბლიოთეკა ასოციაციის
რუსუდან ასათიანი
მიმართვა მკითხველისადმი

3

ჰუაჩქაჩისუნ

მაია მიქაბერიძე
საქართველოს ეროვნული ბიბლიოგრაფიის მტკიცე საფუძველი

4

მტკიცე

მაია მიქაბერიძე
ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წიგნსაცავი

5

წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წიგნსაცავის წესდება

8

ქართული ბიბლიოთეკა

9

წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ბიბლიოთეკიდან
წიგნებისა და ხელნაწერების ხმარების წესი

10

ლევან თაქთაქიშვილი
წერა-კითხვის საზოგადოების ბიბლიოთეკა აღდგენილია

11

წიგნსაცავ-მუზეუმი

თამარ აბულაძე
ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ფონდის მარგალიტი

14

დimitრი ბაქრაძე
ბიბლიოთეკა თ. ნიკოლოზ სამეგრელოსა

18

ლიკა მამაცაშვილი

ალექსანდრე როინაშვილი და ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება

20

დალი მაჩაიძე

დავით ჩუბინაშვილის პირადი კოლექცია ქუჩკ საზოგადოების ფონდში

22

მაია მიქაბერიძე

იაკობ გოგებაშვილის პირადი ბიბლიოთეკა

27

დავით შულღიაშვილი
ქმნვე საზოგადოების როლი საქართველოში სანოტო გამოცემის საქმის წამოწყებაში

31

ქმნვე საზოგადოების საპატიო წევრები

35

მამაგულბი

ნათია კობახიძე
იონა მეუნარგია

36

ირმა სისაური
ნიკო მთვარელიშვილი

39

ნანა ფირცხალავა
გრიგოლ ტატიშვილი - პირველი ქართველი გრავიორ-ქსილოგრაფი

42

ვახტანგ თულაშვილი
წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაარსება

46

დალი მაჩაიძე
მერეთელი ფურცელაძეები ქართველთა შორის წერა-კითხვის
გამავრცელებელი საზოგადოებისა და ერის სამსახურში

48

ილია ჭავჭავაძე

ლევან თაქთაქიშვილი
ილიას დაბადების თარიღის საკითხი

55

გამოხმაურებები: თამაზ ჯოლოგუა, ყარამან ფაღავა, ლევან ბებურიშვილი

58

ნინო ხვედელიძე
ილია ჭავჭავაძის ბიბლიოთეკა და მისი უნიკუმები

60

საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაცია

ძვირფასე ჰეიბუელო,



რუსუდან ასათიანი
საქართველოს საბიბლიოთეკო
ასოციაციის პრეზიდენტი

ჩვენი ჟურნალის წინამდებარე ნომერი მივუძღვევით ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წიგნსაცავ-მუზეუმის 140 წლის იუბილეს.

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების შექმნამ ქართული ენის გადარჩენის საქმეში გადამწყვეტი როლი ითამაშა. საზოგადოებამ ამ მიზნით უპირველეს საზრუნავად გაიხადა ქართული სკოლების, ბიბლიოთეკების დაარსება და დაფინანსება. შემდგომ კი საზოგადოების განყოფილებების შექმნა როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ, მაგალითად ბაქოში, ერევანში, ვლადიკავკაზში, ტუაფსეში, არმავირში, განჯაში... ყოველივე ეს იყო ქართველი ერის „განწირული სულისკვეთება“, მიმართული ეროვნული გადაშენების წინააღმდეგ, მინელებული ნაკვერჩხალის გღვივებისათვის, რომელიც თავისუფლების ცეცხლად გადაიქცა რამდენიმე ათეული წლის შემდეგ. ქართული ბიბლიოთეკების დაარსების შემდეგ წიგნსაცავზე ზრუნვაც ამ საზოგადოების გამგეობამ იკისრა. ასე, რომ საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაცია საქართველოს განათლების და კულტურის სამინისტროსთან, პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკასთან, საქართველოს ხელნაწერთა ცენტრთან, ეროვნულ არქივთან ერთად ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების საქმის გამგრძელებელია. ეს საამაყოცაა და საპასუხისმგებლოც, ამაღლებელიც და გასააზრებელიც... დღეს საქართველო დამოუკიდებელი ქვეყანაა, სახელმწიფო – ქართული ენით. ქართული ენა დაცულია სახელმწიფოს მიერ. ჩვენი დასაცავი კი კვლავ რჩება ქართული ენის სწავლება ოკუპირებულ რეგიონებში, საქართველოს ფარგლებს გარეთ, უცხოელ ქართველოლოგთა გვერდში დგომა, აფხაზური ენის დაცვა, ისიც ხომ ქართული სახელმწიფოს სახელმწიფო ენაა! წინამდებარე ნომერი ეძღვნება ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წიგნსაცავ-მუზეუმის 140 წლის იუბილეს. საბიბლიოთეკო ასოციაცია გილოცავთ ამ თარიღს და ყველა ბიბლიოთეკარს ვუსურვებ ამ ფასეულობების სრულად გაცნობიერებას და სიამაყის შეგრძნებას, ვინაიდან თქვენ ხართ იმ საქმის გამგრძელებლები, რომელსაც საფუძველი სწორედ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ ჩაუყარა.

რედაქტორისგან!**მაია მიქაბერიძე****საქართველოს ეროვნული
ბიბლიოგრაფიის მტკიცე საფუძველი**

140 წლის წინ, 1880 წელს, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებასთან დაარსდა წიგნსაცავ-მუზეუმი. მის შექმნას მკვეთრად განსაზღვრული მიზანი ჰქონდა - გადაერჩინა ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი კულტურულ-ისტორიული მონაპოვრის იმ დროისათვის ჯერ კიდევ შემორჩენილი ნიმუშები. ქშნკვ საზოგადოებამ 47-წლიანი არსებობის მანძილზე წიგნსაცავ-მუზეუმში თავი მოუყარა ძველი ხელნაწერების, ისტორიული არტეფაქტებისა და ძველნაბეჭდი წიგნების უმდიდრეს კოლექციას. საზოგადოების დაშლის შემდეგ წიგნსაცავის ბედი სხვაგვარად წარიმართა. იგი შესანახად ჯერ გადაეცა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს, 1937 წლიდან კი დაიშალა და სახეობათა მიხედვით გადანაწილდა სხვადასხვა უწყებაში. დღეს წიგნსაცავის კუთვნილი ხელნაწერები ინახება ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, ისტორიული არტე-

ფაქტები - ისტორიის მუზეუმში, ხოლო ნაბეჭდი ერთეულების კოლექცია დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკისათვის განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართული ბეჭდური ერთეულების ამ უმდიდრესი კოლექციის გადაცემას - საგრძნობლად შეივსო საჯარო ბიბლიოთეკის ისედაც მდიდარი წიგნსაცავი. ამავე წელს ეროვნულ ბიბლიოთეკას შეეცვალა სტატუსი - საქართველოს სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკა გადაიქცა საქართველოს სახელმწიფო რესპუბლიკურ ბიბლიოთეკად, რომელსაც მკითხველთა მომსახურების გარდა დაევალა ქვეყნის (საქართველოს სსრ) საბიბლიოთეკო სისტემის მეთოდური მუშაობის წარმართვა-ზედამხედველობა. ფაქტობრივად, ჩვენმა ბიბლიოთეკამ ჯერ კიდევ 1937 წლიდან ნაწილობრივ შეიძინა ეროვნული ბიბლიოთეკის ფუნქციები, თუმცა ტერმინი „ეროვნული“ საბჭოთა ხელისუფლების პირობებში არ გამოიყენებოდა ბიბლიოთეკასთან მიმართებაში (და არც სხვაგან). მთავარი ისაა, რომ საჯარო ბიბლიოთეკამ გააფართოვა თავისი საქმიანობა და აიღო საქართველოს ეროვნული ბიბლიოგრაფიის არქივის შექმნისა და მოვლა-პატრონობის ვალდებულება. ეს კი ეროვნული ბიბლიოთეკების ერთ-ერთი უმთავრესი მახასიათებელია.

ამრიგად, 1937 წლიდან ქშნკვ საზოგადოების წიგნსაცავის ბაზაზე დაფუძნდა საქართველოს ეროვნული ბიბლიოგრაფიის არქივი (ე.წ. „ხელუხლებელი ფონდი“), რომელიც, იმ დროიდან მოყოლებული, ყოველწლიურად ივსება საქართველოში გამოცემული ბეჭდური ერთეულების საარქივო ეგზემპლარებით - წიგნებით, ჟურნალ-გაზეთებით, სანოტო და ფურცლოვანი გამოცემებით.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში 1924 წელს დაარსდა საქართველოს სახელმწიფო წიგნის პალატა, რომლის პირდაპირი დანიშნულება იყო ჩვენს ქვეყანაში გამოცემული რეტროსპექტული და მიმდინარე ბეჭდური პროდუქციის შეგროვება, აღნუსხვა (სახელმწიფო რეგისტრაცია) და მათზე ინფორმაციის გავრცელება. წიგნის პალატამ თავისი არსებობის მანძილზე ჩაატარა უდიდესი სამუშაო, თავი მოუყარა და დაარეგისტრირა საქართველოს ბეჭდური ერთეულები, შეადგინა და გამოსცა სხვადასხვა ტიპის ბიბლიოგრაფიული მაჩვენებლები, როგორც წიგნების სახით, ასევე პერიოდული გამოცემების ფორმითაც. წიგნის პალატის მდიდარ და მრავალფეროვან ბეჭდურ არქივში, რა თქმა უნდა, დაცული იყო ძველნაბეჭდი ერთეულების გარკვეული რაოდენობა, მაგრამ მასში უპირატესად მაინც საბჭოთა პერიოდის გამოცემები ქარბობდა. 2006 წელს, ხელისუფლების გადაწყვეტილებით, წიგნის პალატა, როგორც სტრუქტურული ერთეული, გაუქმდა, ხოლო მისი ფონდი დაექვემდებარა ეროვნულ ბიბლიოთეკას.

დღეისათვის ჩვენს ბიბლიოთეკაში დაცულია საქართველოს ეროვნული ბიბლიოგრაფიის ყველაზე სრული საარქივო ფონდი. მისი დაარსება, სიდიდე და სიდიადე განაპირობა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წიგნსაცავ-მუზეუმმა, რომლის 140 წლის იუბილეს აღნიშნავს ჟურნალ „საქართველოს ბიბლიოთეკის“ წარმოდგენილი 2020 წლის მე-4 ნომერი.



ისტორია

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების

წიგნსაცავი

საჩხუბრიან 140 წლისადასა დასაქმებულია




მაია მიქაბერიძე

უძველესი ისტორიის მქონე ნებისმიერი ქვეყანა იცავს და უფროსილდება თავის კულტურულ მონაპოვარს. თუმცა დაცვა-მოფრთხილების ხარისხი დიდწილად დაკავშირებულია ქვეყნის სოციალ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ მდგომარეობაზე. საქართველოს ისტორია შედგება ხოცვა-ჟლეტასა და ნგრევა-განადგურებებს შორის მოქცეულ აღმშენებლობათა მცირე ოაზისებისგან. თითქმის არ გვქონია მშვიდი და თავისუფალი განვითარების ხანგრძლივი პერიოდი. დიდი იმპერიების წნეხის ქვეშ მოქცეულები, ვითარების შესაბამის გადაწყვეტილებებს ვიღებდით და მრავალჯერ ჩაწიხლულ ჩვენს კულტურას კიდევ ერთხელ ვაყენებდით ფეხზე. ასე იყო მე-19 საუკუნეშიც, როცა საქართველომ დაკარგა სახელმწიფოს სტატუსი და სხვა ქვეყნის ერთ-ერთ გუბერნიად იქცა. უმაღლეს ხელისუფლებას არ ანაღვლებდა იმპერიის სამხრეთით მცხოვრები მცირერიცხოვარი ერის კულტურა და, შესაბამისად, არც მისი გადარჩენისთვის ზრუნავდა. ქართული მატერიალური და სულიერი კულტურის ნიმუშები - ხელნაწერები, ძველნაბეჭდი წიგნები, ისტორიული არტეფაქტები, რომლებიც გაფანტული იყო ეკლესია-მონასტრებსა და ოჯახებში, ნელ-ნელა ნადგურდებოდა ან იკარგებოდა, რადგან არ არსებობდა მათი ორგანიზებული დაცვა-მოვლის ერთიანი მექანიზმი. შექმნილი ვითარების გამოსასწორებლად ქართველმა საზოგადო მოღვაწეებმა 1879 წელს დააარსეს „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“, რომელმაც მთავარი აქცენტი კულტურულ-

საგანმანათლებლო მიმართულებაზე გააკეთა. საზოგადოებამ დაიწყო ზრუნვა, ერთი მხრივ, მოსახლეობის განათლების დონის ამაღლებაზე, მეორე მხრივ კი - ჯერ კიდევ შემორჩენილი კულტურული მონაპოვრის შეგროვებასა და დაცვაზე.

ქმნვე საზოგადოებას, როგორც ეს აღნიშნულია მისსავე წესდებულებაში, ქართული კულტურის სხვა მნიშვნელოვან პროექტებთან ერთად, გამიზნული ჰქონდა საბიბლიოთეკო საქმიანობის გაშლა-გაფართოება. და მართლაც, მის სახელთან არის დაკავშირებული ბევრი ბიბლიოთეკის დაარსება ან უკვე არსებული ბიბლიოთეკების წიგნებით მონარაგება როგორც საქართველოს ტერიტორიაზე, ასევე მის ფარგლებს გარეთაც. ამას გარდა, საზოგადოების წევრებმა დაიწყეს მსჯელობა ქართული წიგნსაცავის შექმნაზე, რომელიც თავს მოუყრიდა ქართული ხელნაწერების, წიგნებისა და სხვადასხვაგვარი ისტორიული დოკუმენტების კოლექციას.

საზოგადოების საქმეთა წარმოების პირველი წლის ანგარიშში (1879 წლის 15 მაისიდან 1880 წლის 15 მაისამდე), რომელშიც მიმოხილულია ერთი წლის განმავლობაში შესრულებული საქმეები, ცალკე გამოყოფილია თავი: „საზოგადოების ბიბლიოთეკის გამართვა“. მასში წერია: „საზოგადოების მმართველობამ გადასწყვიტა ბიბლიოთეკის გამართვა საზოგადოების წევრთათვის და საყოველთაო საკითხავად. რადგანაც წესდების საზოგადო აზრით ბიბლიოთეკა, რომელიც სახეში აქვს, წესდების მეორე §, უნდა იყოს, უმეტეს ნაწილათ მაინც, შემდგარი ქართულის წიგნებისგან და ქართული წიგნები კი უფრო უმეტესად ხელ-ნაწერები არიან და დღითი დღე თან-და-თან იკარგებიან, საჭირო იყო მმართველობა ეხლავე შესდგომოდა ამ ბიბლიოთეკის გამართვას და შეეკრიფა ერთ ადგილს ეს ქართული ძველი და ახალის ლიტერატურის ნაწარმოები. მმართველობას იმედი აქვს, რომ



ყოველი წერი ნერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა აღმოუჩენს წიგნების შემოწირვით შემწეობას...”

ქშნკვ საზოგადოების წესდების ზემოთ დასახელებული პუნქტების რეალურად ამოქმედების საკითხი საზოგადოების გამგეობის სხდომაზე დააყენა ცნობილმა საზოგადო მოღვაწემ იონა მეუნარგიამ (1880 წლის 3 აპრილს). გარდა იმისა, რომ საზოგადოება ფინანსურად იზრუნებდა ასეთი დოკუმენტების შექმნაზე, იონა მეუნარგიამ მოითქვა რწმენა, რომ ქართველი ხალხის დიდი ნაწილი უანგაროდ შემოსწირავდა ამ ბიბლიოთეკას ოჯახებში შენახულ წიგნებს. საზოგადოების გამგეობამ სწორედ იონა მეუნარგიას დაავალა ორგანიზაციული საკითხების მოგვარება, რომელსაც იგი პირნათლად და გულმოდგინედ უძღვებოდა.

იონა მეუნარგიამ რამდენიმე თვეში საზოგადოებას წარმუდგინა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წიგნსაცავის წესდება, რომელიც გამოქვეყნდა გაზეთ დროებაში 1880 წელს (N124,

14 ივნ.). იგი ცხრა პუნქტისაგან შედგებოდა და განმარტავდა ამ წიგნსაცავის დანიშნულებას, შემადგენლობასა და გამოყენების ფორმას.

წიგნსაცავის შევსებასთან ერთად არანაკლები ძალისხმევა სჭირდებოდა დოკუმენტების მოვლა-პატრონობასა და დაცვას. გამგეობის სხდომებზე, რომლებიც პერიოდულად იმართებოდა, განიხილებოდა წიგნსაცავ-მუზეუმის დროებითი თუ მუდმივი დაბინავების, დოკუმენტების აღრიცხვის, დახარისხების, ყდებაში ჩასმის, კატალოგის შედგენისა და სხვა საკითხები. შემუშავდა ქშნკვ საზოგადოების ბიბლიოთეკიდან წიგნებისა და ხელნაწერების ხმარების წესი, რომელიც 12 პუნქტისაგან შედგებოდა.

ორგანიზაციული საკითხების მოგვარების პარალელურად ილია ქავჭავაძე და გამგეობის სხვა წევრები ჟურნალ-გაზეთების საშუალებით უხსნიდნენ ქართულ საზოგადოებას ახალი წამოწყების მნიშვნელობას ქართული კულტურისათვის და სთხოვდნენ, რომ მონაწილეობა მიეღოთ ამ კეთილშობილურ საქმეში - ოჯახებში შემორჩენილი ძველი ხელნაწერებისა და წიგნების გადაცემაში. გამგეობის მიერ განუღმამ პროპაგანდამ, ქშნკვ საზოგადოების მესვეურთა, განსაკუთრებით კი მისი თავმჯდომარის, ილია ქავჭავაძის, დიდმა ავტორიტეტმა, თავისი ნაყოფი გამოიღო. ქართული საზოგადოება მზად აღმოჩნდა ასეთი მოწოდების მისაღებად. პირველივე წლებიდან დაიწყო წიგნსაცავის შევსება იშვიათი წიგნებითა და ხელნაწერებით. დროთა განმავლობაში ბიბლიოთეკას გადაეცა ჟურნალ-გაზეთებიც. საზოგადოების წიგნსაცავი მდიდრდებოდა როგორც შეგროვებული და შესყიდული წიგნებით, ისე პირადი კოლექციებით. კერძო ბიბლიოთეკები, გარდაცვლილი მოღვაწეების ანდერძის თანახმად, მათი ოჯახის წევრების ნება-სურვილით ან საზოგადოების წევრთა მონდომებითა და მცდელობით, გადაეცემოდა საზოგადოებას. გარდა თვით წიგნებისა, საზოგადოების ანგარიშზე შედიოდა ფულადი შემოწირულობებიც, რაც წიგნებისა და ხელნაწერების შექმნის საშუალებას იძლეოდა.

პირველთა შორის, რომლებმაც საკუთარი საოჯახო არქივიდან წიგნთსაცავს გადასცეს დოკუმენტები, იყვნენ დიმიტრი ყიფიანი, ექვთიმე ხელაძე, ალექსანდრე სარაჯიშვილი, ზაქარია ჭიჭინაძე და სხვები.



**ქმნვე საზოგადოების
ბიბლიოთეკის ხელმძღვანელები:**

- იონა მეუნარგია (1880-1885)
- ნიკო მთვარელიშვილი (1886-1887)
- იაკობ მანსვეტაშვილი (1887-1891)
- დავით კარიჭაშვილი (1892-1927)

წიგნსაცავისათვის განსაკუთრებულად ღირებული აღმოჩნდა სამეგრელოს მთავრის, ნიკო დადიანის მიერ გადაცემული პირადი ბიბლიოთეკა, რომელშიც დიდი ნაწილი ძველი ქართული ხელნაწერების კოლექცია იყო. ამ კოლექციის გადაცემის საკითხების მოსაგვარებლად ილია ჭავჭავაძე 1885 წელს ჩავიდა სამეგრელოში და იქაური საზოგადოებით მოხიბლულს წარმოუთქვამს ეს ცნობილი სიტყვები: „სამეგრელოში ჩაველ და საქართველო ვნახეო“.

წიგნსაცავის შევსების საქმეში ჩართული იყო საზოგადოების ფართო სპექტრი, სხვადასხვა სოციალური ფენის წარმომადგენლები. 1904 წლისთვის ბიბლიოთეკაში თავმოყრილი იყო უკვე 4 ათასზე მეტი ხელნაწერი და 1700-მდე ნაბეჭდი წიგნი. ქმნვე საზოგადოების წიგნსაცავის შევსების პროცესი გრძელდებოდა საზოგადოების არსებობის ბოლო წლებამდე.

წიგნსაცავ-მუზეუმის მთლიანი ფონდისა თუ მისი ცალკეული ნაწილების დამუშავებასა და სისტემაში მოყვანაზე, კატალოგების შედგენაზე სხვადასხვა დროს იმუშავეს დიმიტრი ბაქრაძემ, მ. ქართველიშვილმა და სხვებმა. 1887 წელს გამოვიდა წიგნსაცავის წიგნად დაბეჭდილი პირველი კატალოგი, რომელიც ნიკო მთვარელიშვილმა შეადგინა. 1904 წელს გამოიცა დავით კარიჭაშვილის მიერ მომზადებული ახალი კატალოგი, ხოლო 1911 წელს - ამ კატალოგის დამატება. წიგნსაცავის კატალოგიზაციის საქმეში დიდი სამუშაო შეასრულა ექვთიმე თაყაიშვილმა, რომელმაც შეადგინა და 1906-1912 წლებში რუსულ ენაზე გამოსცა ამ წიგნსაცავის ხელნაწერთა აღწერილობების ორი ტომი (Описание рукописей “Общества распространения грамотности среди грузинского населения”).

XX საუკუნის პირველ წლებში, გართულებული

პოლიტიკური ვითარების პირობებში, შეიცვალა საზოგადოებისა და მისი წიგნსაცავის მდგომარეობა. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მთავარი ოცნება, დაარსებულიყო საქართველოს ეროვნული მუზეუმი, სადაც განთავსებული იქნებოდა ამ საზოგადოების ბიბლიოთეკაც, განუხორციელებელი დარჩა, რადგან, ამ მიზნით დავით სარაჯიშვილის დატოვებულ თანხას ინფლაცია შეეხო, ხოლო შემოწირულობები შემცირდა, მიუხედავად იმისა, რომ გაიზარდა საზოგადოების წევრთა რაოდენობა. საქმე იქამდე მივიდა, რომ დაისვა საკითხი ამ საზოგადოების ბიბლიოთეკის საისტორიო - ეთნოგრაფიულ ბიბლიოთეკასთან გაერთიანებისა. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ქვეყანაში გააქტიურდნენ ძალები, რომლებსაც ეროვნული კულტურული მონაპოვარი არაფრად მიაჩნდათ. მაგალითად, ამ პერიოდის ერთ-ერთი „პოპულარული მოღვაწე“ საზოგადოების წევრებს საყვედურობდა კიდევ, რომ ისინი მოსახლეობას წიგნების ჩაბარებისკენ მოუწოდებდნენ: „ხალხს შრომით მოპოვებულ გროშს ახდევინებთ და ასეთი ფული ძველი ნაწერების შეძენას არ უნდა მოახმაროთ!“- ფილიპე მახარაძე (ამონაწერი 1907 წლის წერა - კითხვის საზოგადოების სხდომის ანგარიშიდან).

ასე მოვიდა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება XX საუკუნის 20-იან წლებამდე. შემდგომი მისი ბედი კი განსაზღვრა ახალმა პოლიტიკურმა წყობამ, რომელშიც რუსეთის იმპერიასთან ერთად პატარა საქართველოც აღმოჩნდა.



მაგნიტი ტფილისში	მაგნიტი ველაი:
და გაზეთ ადგილებში:	
ქრისტე წლისა — 7 მან.	— — — 6 მან.
10-ის თვისა — 6 —	— — — 5 —
ნახევრის წლისა — 4 —	— — — 3 — 50 კ.
სამის თვისა — 2 — 50 კ.	— — — 2 —
საღვთის წმინდისა გავრცელებულია — 3 შუბრი.	
„დროება“ გამოდის კვირაში ერთხელ, პარასკეობით.	

დროება

ტფილისში „დროებას“ რედაქციის კანტორაში, შელოქიშვილის და კამ. სტამბაში, მაღაზიის პროსპექტზე, კ. ზუბალოვის სახლში. — ბაზუზზედ ხელის-მოწრა უკველეთის მიღება.
 ტფილისის გაზეთე მუხრანისთვის ადრესი: Вн Тифлиса. Вн контору редакцій грузинской газеты „ВРЕМЯ“.
 რედაქციის კანტორაში მიიღება უკველ-გვარი განცხადება სხვა და სხვა ენაზე. შვილი განცხადების დაბეჭდვისთვის წვეულ-ბრევის ანაზღაურებით სტრუქტურულ 8 კამ.

საკოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წიგნთსაცავის წესდება

დროება. 1880 წელი 14 ივნისი. N124

ამ წესდებაში არის მაგნიტი — პოლიტიკა: შანი. შეიძლება და ქრისტე წლისა — 7 მან. მაგნიტი ველაი: — — — 6 მან. 10-ის თვისა — 6 — — — 5 — ნახევრის წლისა — 4 — — — 3 — 50 კ. სამის თვისა — 2 — 50 კ. — — — 2 — საღვთის წმინდისა გავრცელებულია — 3 შუბრი. „დროება“ გამოდის კვირაში ერთხელ, პარასკეობით.

§ 1. საზოგადოების ბიბლიოთეკა იხსნება, როგორც წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრთათვის, ისე საზოგადო საკითხავადაც.

§ 2. ბიბლიოთეკა შესდგება უმეტეს ნაწილათ ქართულის წიგნებისაგან. სხვა ენაზე შედგენილ წიგნებიდამ შეძენილი იქნებიან მხოლოდ ის წიგნები, რომელთშიაც რაიმე ცნობა იქმნება საქართველოზედ და კავკასიაზედ.

§ 3. ბიბლიოთეკის შესადგენათ საზოგადოება:
 ა. შეიძენს ყოველ-ნაირს ქართულს ხელთ-ნაწერ წიგნებს, კარტებს, გუჯრებს, ხრონოგრაფებს და სხვა ამგვარსა.

ბ. შეისყიდავს ორ-ორ ეკზემპლიარს ყოველ-გვარ ქართულ ენაზე დაბეჭდილი წიგნებისას.

გ. თუ სადმე აღმოჩნდება შესანიშნავი და იშვიათი წიგნი, რომელსაც ვერც ფასით და ვერც შემოწირულობით ვერ დაისაკუთრებს ბიბლიოთეკა, ეცდება გადასწეროს ამისთანა წიგნი. და

დ. მიჰმართავს თხოვნითიმ პირთა, რომელთაც აქვს ქართულის წიგნების ბიბლიოთეკა, შემოსწირონ ბიბლიოთეკას წიგნები.

§ 4. ბიბლიოთეკის გასამართავად და შესანახავად საზოგადოების მმართველობა არ დაზოგავს არა რაიმე ხარჯს წიგნებისა მოსაპოვებლად იმ სახით და ზომით, როგორც გადასწყვეტს ცალკე ამისათვის შედგენილი კომისისა:

ა. მიიღებს შემოწირულობას ფულით და წიგნებით. და
 ბ. აირჩევს ბიბლიოთეკარს.

§ 5. ბიბლიოთეკარის ვალია:

ა. ჩასწეროს დავთარში ყოველგვარი წიგნი, რომელშიც ან სასყიდელით, ან შემოწირულობით შემოუვა საზოგადოებას.

ბ. ყოველ-გვარ წიგნის თაობაზე ჩასწეროს ამ დავთარში ვისგან არის ნაყიდი, ან შემოწირული ეს წიგნი.

გ. შეადგინოს კატალოგი ბიბლიოთეკისა. და

დ. დანიშნულს დროზე იყოს ბიბლიოთეკაში და მკითხველს მოთხოვნილებისა-მებრ მისცეს წიგნები ბიბლიოთეკაშივე საკითხავად.

§ 6. არავითარის სახით და არავის არ მიეცემა ბიბლიოთეკიდან წიგნი შინ ნასაღებად.

§ 7. იმ შემთხვევაში თუ საზოგადოება დაიშალა, ეს ბიბლიოთეკა უნდა გადაეცეს სხვა საზოგადოებას, უეჭველად მმართველობისაგან დამტკიცებულს იმ პირობით, რომ საუკუნოთ და სამუდამოთ დარჩეს ქალაქს თბილისში და არასოდეს კერძო პირს არ გადაეცემოდეს.

§ 8. ყოველს გადაცემაზე სხვათა საზოგადოებისადმი შეუცვლელად და სამუდამოთ დარჩეს § 5 და 7.

§ 9. ბიბლიოთეკის სახალხოთ გამართვის დღე და საათი იქნება გამოცხადებული თავის დროზე გაზეთში.

ქრონოსა

თბილისში „ქრონოსის“ რედაქციის კანტორაში, მელიქიშვილის და კამ. სტამბაში, მაღაზიის პროსპექტზე, კ. ზუბალოვის სახლში. — მაგისტრალ ხელის-მოსწრა უკვე დაწყებულია.

თბილისის გაზეთე მცხოვრებთათვის აღჩი: ВЪ ТИФЛИСѢ. ВЪ КОНТОРУ РЕДАКЦІИ ГРУЗИНСКОЙ ГАЗЕТЫ „ВРЕМЯ“.

რედაქციის კანტორაში მიიღება უკვე-გვარი **განცხადება** სტა და სტა ენებზე. შპი გაცხადების დაბეჭდვისათვის წვეულებრივად მაგისტრალ ხელის-მოსწრაზე 8 კაპ.

მაგისტრალ თბილისში და გაზეთე ადგილებში:

ქრონოსის წილისა	— 7 მან.	მაგისტრალთა:	— — — 6 მან.
10-ის თვისა	— 6 —	— — —	— — — 5 —
წახვევის წილისა	— 4 —	— — —	— — — 3 — 50 კ.
სამის თვისა	— 2 — 50 კ.	— — —	— — — 2 —

ცალკე ერთის წუშისა, გავაგვანდალ — 3 შუტო.

„ქრონოსი“ გამოდის კვირაში ერთხელ, პარასკევობით.

საკონლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

ქართული ბიბლიოთეკა

გფიდისი, 19 ივნისს
ბევრჯერ ყოფილა ჩვენში ლაპარაკი ქართულის ბიბლიოთეკის გამართვაზე; ბევრჯერ გამოუწვევიათ ძველის წიგნების მქონენი, შეაგროვონ ერთათ ყველა ძველი წიგნები და ჩააგდონ ქართულის ბიბლიოთეკის საძირკველი, მაგრამ დღემდის არც ბიბლიოთეკა გამართულა, არც რიგიანი მოთავე გამოჩენილა, რომ ეს საქმე ეკისროს და აესრულებინოს კიდეც.

ეხლა ეს საქმე საზოგადოებას უკისრია და იქნება რაც ცალკე პირთ ვერ მოახერხეს, საზოგადოებამ მაინც მოახერხოს. „წერა-კითხვის საზოგადოებას გადაუწყვეტია ქართულის ბიბლიოთეკის გამართვა და ამ ბიბლიოთეკის წესი კიდეც გამოაცხადა ჩვენის გაზეთის 124 N-ში.

იმაზედ ლაპარაკი საჭირო არ არის, რა სარგებლობის მოტანა შეუძლიან ქართულს ბიბლიოთეკას, რომელშიაც შეძლებისამებრ ყველა ქართული ხელთ-ნაწერები და დაბეჭდილი წიგნი იქნება მოგროვილი. ყველამ იცის, რომ ქართული ლიტერატურა და ენა ვერ წავა წინ, ვერ განვითარდება, თუ ხანდისხან მაინც გამტვერიანებულს წიგნებში არ ჩავიხედეთ და ჩვენის ძველის ცხოვრების, ჩვენის ძველის ენის ვითარება არ შევიტყვეთ. ყველამ ვიცით ესა და ყველას გამოცდილი აქვს, ვისაც კი ქართულათ სანერად კალამი ხელში აუღია, როგორ ხშირად შემოაკლდება სახმარი საჭირო სიტყვები, როგორ სჭირდება ხანდისხან ძველს წიგნში ჩახედვა, მაგრამ ვის მიმართოს, სად მონახოს არ იცის.

განათლებულს ქვეყნებში ბიბლიოთეკებს ისე ინახავენ, როგორც ჩვენში წმინდანების ძვლებს ინახავდენ; მილიონებს არა ზოგვენ, რომ მშვენიერი შენობები ააშენონ ამ საქმისთვის, ძნელად მოსაპოვებელს წიგნში ასსა და ორას თუმნობით აძლევენ და ისე მართავენ, ცოტაც არის ცეცხლი გაჩნდეს ბიბლიოთეკაში, მაშინვე წყალი მზათა ჰქონდესთ გასაქრობათ.

ჩვენც თითქო განათლებულებში ვდგამთ ფეხსა, მაგრამ საქმით ვამტკიცებთ, თუ არა, საეჭვოა.

რატომ არ გაიმართა დღემდის ჩვენში ბიბლიოთეკა?

ამის მიზეზი ჩვენის აზრით ორ-გვარია: ერთი საშუალების უქონლობა; მეორე წიგნების მქონეთგან დაუნდობლობა.

„წერა-კითხვის საზოგადოებას“ საშუალება ბიბლიოთეკის გასამართავად თუ არა, იმის ჩასასახავად მაინც აქვს და რაც შეეხება იმ პირთ, რომელნიც თავიანთ წიგნებს არ იმეტებენ, დაგვეკარგებიანო, ჩვენ დავეუსახელებთ ერთს პარაგრაფს ახალის ბიბლიოთეკის წესდებისას: „არავითარის სახით და არავის არ მიეცემა ბიბლიოთეკიდან წიგნი შინ წასაღებად“.

ამ პარაგრაფმა უნდა მოსპოს მეორე მიზეზი ბიბლიოთეკის გაუმართველობისა. აქამდის წიგნებს არავინ იძლეოდა, ამიტომ რომ დარწმუნებული იყო თუ წაიღებდა ვინმე, უკან აღარ დააბრუნებდა; ეხლა წესდების ძალით ბიბლიოთეკიდან წიგნს ველარავინ წაიღებს; ვისაც სურს „წერა-კითხვის საზოგადოები“ წევრს, თუ უცხო, მივა და ბიბლიოთეკაში წაიკითხავს.

იმედო გვაქვს, რომ ამ პარაგრაფს ყველა მიაქცევენ ყურადღებას, ვისაც კი თავის ზანდუკში ძველი წიგნები ეგულება და არ დაზოგავს შესანიშნად, ან გასასყიდად, რაკი დარწმუნებული იქნება, რომ ამით ის მთელს საზოგადოებას მოუტანს სარგებლობას და ერთის ზანდუკიდან მეორე, უცხო პირის ზანდუკში არ გადასცემს.

თუმცა „საზოგადოების“ საშუალება ამ საქმისთვის დიდი არ არის, მაგრამ ზოგიერთს ბევრის ქართულის წიგნების მქონეს განუზრახავს შეწირვა თავიანთ ბიბლიოთეკებისა.

თუ ამ გვარს მაგალითს ბევრმა მიჰბაძა, მაშინ საზოგადოებას შეეძლება მცირე ღონით დიდის საქმის გაკეთება და იქნება მერმის ამდროს ამ საქმისათვის გადადებულის 5000 მან. შემწეობით 5000 მანეთის ფასის ბიბლიოთეკა გვქონდეს გამართული!

გხოება, 1880, 20 ივნისი, N129

წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ბიბლიოთეკიდან წიგნებისა და ხელნაწერების ხმარების წესი

1. ქ.მ. წერა-კითხვის საზოგადოების ბიბლიოთეკის წიგნები და ხელნაწერები ყველას შეუძლიან მოითხოვოს და იმუშაოს სამეცნიერო აზრით, თვით საზოგადოების ბინაზედ.
2. ასეთი მუშაობისათვის დანიშნულია დრო დილის 9 საათიდან საღამოს 5-7 საათამდე.
3. წიგნები და ხელნაწერები მსურველმა უნდა მოსთხოვოს საზოგადოების მდივანს.
4. ყველა მოვალეა ჯეროვანის სიფრთხილით მოეკიდოს როგორც დაბეჭდილ წიგნებს, ისე ხელნაწერებს, ხაზგასმა და შენიშვნების დასმა სასტიკად აკრძალულია.
5. სახლში წაღება წიგნებისა შეუძლიან მხოლოდ გამგეობის წევრს.
6. სახლში წაღება სხვასაც შეუძლიან გამგეობის ცალკე ნებართვით.
7. სახლში წაღება შეიძლება მხოლოდ იმ წიგნებისა, რომელიც ბიბლიოთეკაში ერთადერთი არ არის და არც ძნელი საშოვარია.
8. ხელნაწერისა და ძნელად მოსაპოვებელ ან ყოვლად იშვიათის წიგნის სახლში წაღება აკრძალულია.
9. სახლში წაღებული და შემდეგ უკანვე დაბრუნებული წიგნი დიდი სიფრთხილით უნდა იქნეს ნახმარი სრულიად დაუზიანებელი.
10. სახლში წაღება წიგნისა შეიძლება მხოლოდ ორი თვის ვადით.
11. ამ ხნის განმავლობაშიაც წამლები ვალდებულია წიგნი უკანვე დააბრუნოს გამგეობის პირველი მოთხოვნისთანავე.
12. ერთხანად 5 ტომზე მეტის წაღება არ შეიძლება.





ლევან ტაქთაიშვილი

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საბიბლიოთეკო რესურსების დეპარტამენტის დირექტორი

წერა-კითხვის საზოგადოების ბიბლიოთეკა აღდგენილია

ქიქოძეს, დიმიტრი შევარდნაძეს და სხვებს - სტიპენდიებს და დახმარებას უწევდა, დღეს კი თვითონ გახდა დასაცავი: შემცირდა საზოგადოების წევრთა რიცხვი, აღარ არის შემოწირულობა, საზოგადოებას წიგნების შესაძენი თანხა აღარ გააჩნია. რამდენიმე ძვირფასი სამუზეუმო ნივთი ხელნაწერებთან ერთად პარიზში იქნა გატანილი მენშევიკური მთავრობის მიერ. ამ განძთან ერთად ემიგრაციაში წავიდნენ საზოგადოების აქტიური წევრები, მათ შორის ექვთიმე თაყაიშვილი, საზოგადოების თავმჯდომარე გიორგი ყაზბეგი.

1921 წელი. საქართველოს გასაბჭოების მეორე დღე.

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ბიბლიოთეკა - მუზეუმის გამგე დავით კარიჭაშვილი განცხადებით მიმართავს ქ. თბილისის რევკომს: „გაცნობებთ, რომ მე წარმოვადგენ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მუზეუმის და ბიბლიოთეკის ხელმძღვანელს. გთხოვთ, აღნიშნული მუზეუმი და ბიბლიოთეკა მიიღოს თქვენი მფარველობის ქვეშ. 26.02.1921 წ. დავით კარიჭაშვილი“.

ზანცხადებას წითელი მეღმერთი აქვს მიწერილი: „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ბიბლიოთეკა და მუზეუმი მიღებულ იქნას ტფილისის რევკომის მფარველობის ქვეშ, მილიცია მოვალეა, ყველა შემთხვევაში დახმარება აღმოუჩინოს მათ. მხატვარი დ. შევარდნაძე“.

ამ დროს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება მძიმე მდგომარეობაშია - მისი განყოფილებები რამდენიმე წელია გაუქმდა, დამფუძნებლებთან რამდენიმეა ცოცხალი, ქველმოქმედი თითქმის აღარ შემორჩა. მის ანგარიშზე, ინფლაციის გამო, სულ მცირე თანხაა დარჩენილი. მუზეუმი უნივერსიტეტის შენობაშია შეფარებული და სათავეში მოხუცებული დავით კარიჭაშვილი უდგას, მის გვერდით კი მისი ქალიშვილი და რამდენიმე ამ საზოგადოებისათვის თავგანწირული პირია დარჩენილი. იყო დრო, როცა ეს საზოგადოება ახალგაზრდა მხატვრებს - შალვა

1922 წელს საზოგადოებას სახელწოდება შეეცვალა და ეწოდა „წიგნის გამომცემელი და გამავრცელებელი ქართველთა საზოგადოება“. ის განათლების სახალხო კომისარიატს დაექვემდებარა. წიგნსაცავ-მუზეუმი სახელმწიფო კუთვნილებად გამოცხადდა, მაგრამ დროებით საზოგადოების ხელში დარჩა. საზოგადოება გაჭირვებით ინახავდა თავის საპატიო წევრს, ილია ქავჭავაძის ქვრივს - ოლღა გურამიშვილს.

1925 წელს დეკემბერში წიგნსაცავ-მუზეუმი და არქივი თბილისის უნივერსიტეტს გადაეცა, ხოლო ორ წელიწადში საზოგადოებამ არსებობა შეწყვიტა. განათლების კომისარიატის კოლეგიამ დაადგინა, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დარჩენილი ქონება გადასცემოდა სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირს. ამ უკანასკნელმა ქონება ჩაიბარა, მაგრამ ვერ შეძლო საზოგადოების ვალების გადახდა, ამიტომ საზოგადოების წიგნების მალაზიის ინვენტარი და წიგნები სახელგამს გადაეცა. მწერალთა კავშირის ხელში გადავიდა ილიასეული სახლი თბილისში, კანცელარიის ბიბლიოთეკა, საზოგადოების დამაარსებელთა სურათები და ილიას ძეგლი.

უნივერსიტეტში საზოგადოების წიგნსაცავი ორ ოთახში იყო განთავსებული. ფონდი თავისი სამკითხველოთი ცალკე იყო გამოყოფილი, მუზეუმი - ცალკე. გახშირდა წიგნების დაკარგვის ფაქტები: იოსებ გრიშაშვილმა ბიბლიოთეკის ბეჭდვითი წიგნები ბაზრობაზე შეისყიდა და უნივერსიტეტში მიიტანა. - „სანამ ცოცხალი ვარ, ამ საზოგადოების წიგნი არ დაეკარგება ქართველ ხალხსო“ - უთქვამს პოეტს.



1937 წლის ზაფხულში მთავრობის განკარგულებით ბიბლიოთეკა მთლიანად გადაეცა საჯარო ბიბლიოთეკას. ბიბლიოთეკის მაშინდელი ღვანლმოსილი თანამშრომელი თამარ მაჭავარიანი იგონებს: „საზოგადოების ერთი ნაწილი უკმაყოფილო დარჩა - თქვენ ვერ მოუვლითო, გაიფანტებო და სხვა. კარგად მახსოვს, მოდიოდნენ და მსაყვედურობდნენ - ეს არ უნდა მომხდარიყოო, რატომღაც დაკარგულად ეჩვენებოდათ!“

უნივერსიტეტიდან საჯარო ბიბლიოთეკამდე ტრანსპორტირებისას არაერთი ეგზემპლარი დაიკარგა. თვით საჯარო ბიბლიოთეკაშიც ამ საზოგადოების ფონდს უყურადღებოდ მოეპყრნენ - ის დაშალეს და ბიბლიოთეკის სხვადასხვა ფონდს შეუერთეს. ქმნვე საზოგადოების ბიბლიოთეკის ქართულენოვანი ლიტერატურის ბაზაზე ქართული წიგნის საარქივო ფონდი შექმნეს, სადაც გადაწყდა დაცვა ამ ბიბლიოთეკის ქართული შრიფტით დაბეჭდილი გამოცემების 1 სრული ეგზემპლარისა, დანარჩენი კი საერთო ფონდში ან განყოფილებების სახელდახელო ფონდებში იქნა გაფანტული. ასე გაიბნა საჯარო ბიბლიოთეკის მილიონიან ფონდში ილია ჭავჭავაძის, დავით ჩუბინიშვილის, რაფიელ ერისთავის, დიმიტრი ბაქრაძის, იაკობ გოგებაშვილის, პეტრე უმიკაშვილის და სხვათა კოლექციები, რომელთა დაცვასა და მოვლას საზოგადოებამ არაფერი დააკლო და ცალკე კარადებში ჰქონდა დაცული (დიმიტრი ბაქრაძის ბიბლიოთეკის შესასყიდად საზოგადოებამ 1000 ოქროს მანეთი გამოყო. ამ თანხაზე ექვთიმე თაყაიშვილმა თხოვნა-მუდართით ძლივს დაითანხმა გარდაცვლილი მეცნიერის მუეღლე).

თამარ მაჭავარიანი იგონებს: „საზოგადოების ბიბლიოთეკის შემოერთებით ჩვენი ბიბლიოთეკის არსებობის ახალი ეტაპი დაიწყო. ამ დროს მოიწვიეს ქრისტიანე შარაშიძე და თამარ ციციშვილი ქართული ძველნაბეჭდი წიგნების დასამუშავებლად და ასაწერად, მაგრამ დამუშავების დროს დაშვებული იყო ერთი შეცდომა, რომელიც ნაწილობრივ დღესაც გამოუსწორებელია: ქმნვე საზოგადოების ბიბლიოთეკას ყველა შეგნებული ავტორი ან გამომცემელი აწვდიდა თავის წიგნებს, რომელთაც ჰქონდათ შენიშვნები და მინაწერები. ასეთი წიგნები უნდა წასულიყო საარქივო ფონდში, როგორც ამ ბიბლიოთეკის დამახასიათებელი, ან იშვიათ გამოცემათა განყოფილებაში - რარიტეტ-საცავში. ასეთივე ყურადღება უნდა მიექციათ რუსული და უცხოური წიგნებისთვისაც. განზრახული კი იყო, შექმნილიყო საქართველოში გამოცემული რუსული და სომხური წიგნების საარქივო

ფონდი, მაგრამ ეს აზრი არ განხორციელდა. მას შემდეგ, რაც დამუშავების ციებ-ცხელებამ გაიარა, აღმოჩნდა, რომ ... ი.ჭავჭავაძის, დიმ. ბაქრაძის, რ. ერისთავის, პ. უმიკაშვილის და სხვათა პირადი ბიბლიოთეკების წიგნები გაიფანტა საერთო წიგნსაცავში“.

საჯარო ბიბლიოთეკის ყოფილ დირექტორს - ალექსანდრა კავკასიძეს საზოგადოების ბიბლიოთეკის ფონდის აღდგენა პრაქტიკულად შეუძლებლად მიაჩნდა, რადგან ეგზემპლარების მოძიება საერთო ფონდში გაფანტვიდან რამდენიმე ათეული წლის შემდეგ ძალზე ძნელი იქნებოდა. მართალია, ქმნვე საზოგადოების გამოცემებს უმეტესად მსგავსი ყდები ჰქონდათ და ყუაზე, საზოგადოების ინიციალები ჰქონდა ამოტვიფრული, ყდები, დროთა განმავლობაში დაზიანებული, გამოცვლილი ან რესტავრირებული იყო, ბევრს დაკარგული ჰქონდა თავდაპირველი იერი, წიგნების გადაშლა და ვიზუალური დათვალიერება კი დიდ შრომას მოითხოვდა.

1941 წლიდან თამარ მაჭავარიანი ყველანაირად ცდილობდა, ამოეკრიფა ბიბლიოთეკის საერთო წიგნსაცავიდან ილია ჭავჭავაძის პირადი ბიბლიოთეკის ეგზემპლარები. 1945 წლიდან მაშინდელი ბიბლიოთეკის დირექტორის მოადგილის, ცნობილი ბიბლიოთეკათმცოდნე ნიკო ლორთქიფანიძის ბრძანებით ბიბლიოთეკის ყველა ფონდში დაიწყო ილია ჭავჭავაძის პირადი ბიბლიოთეკის მოძიება. 1957 წელს მწერლის დაბადებიდან 120 წლის თავზე თამარ მაჭავარიანის ავტორობით გამოიცა ილია ჭავჭავაძის პირადი ბიბლიოთეკის კატალოგი. 1986 წელს ლიტერატურის ინსტიტუტის თანამშრომელმა - ლევან ჭრელაშვილმა ხელნაწერთა ინსტიტუტში მიაკვლია საზოგადოების ბიბლიოთეკის ქართული წიგნების კატალოგს, სადაც მოიძია ილია ჭავჭავაძის ქართული წიგნების სია, შეადარა 1957 წელს გამოცემულ მწერლის ბიბლიოთეკის კატალოგს. კატალოგი არასრული აღმოჩნდა.

ამ სიის მიხედვით საჯარო ბიბლიოთეკის ფონდში ქართველოლოგიის განყოფილების თანამშრომლებმა მოიძიეს იმ ლიტერატურის ყველა ეგზემპლარი, რაც მწერლის კატალოგში არ იყო შესული. აღმოჩნდა 38 ქართული წიგნი, 21 ჟურნალი და 15 გაზეთის წლიური კომპლექტი.

ქართველოლოგიის განყოფილების თანამშრომლები - ეთერ იმნაძე და გიული რამიშვილი დააკვირდნენ მოძიებული ეგზემპლარების ქმნვე საზოგადოების ბიბლიოთეკის საინვენტარო ნომრებს და აღმოჩნდა, რომ ისინი ერთმანეთს მიჰყვებოდნენ, ანუ ქმნვე საზოგადოების ინვენტარში



ილია ჭავჭავაძის ბიბლიოთეკის წიგნები ერთმანეთის მიყოლებით იყო ჩანერილი. აქედან გამომდინარე, ქშნკვ საზოგადოების ბიბლიოთეკის საინვენტარო ნომრის მიხედვით შესაძლებელი გახდა კოლექციის გამოყოფა, მაგრამ აღნიშნული გზაც არასრულყოფილი იყო. ამ შემთხვევაშიც საზოგადოების წიგნების ვიზუალური დათვალიერება იყო საჭირო, არადა ბიბლიოთეკის დახშულ საცავებში ათასობით წიგნის დათვალიერება მრავალ პრობლემას ქმნიდა.

1987 წელს ილია ჭავჭავაძის პირადი ბიბლიოთეკის კატალოგის მეორე, შევსებული გამოცემა დაიბეჭდა, მაგრამ ისიც არასრული იყო.

1999 წელს საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორის - ლევან ბერძენიშვილის ბრძანებით გადაწყდა ქშნკვ საზოგადოების ფონდის გამოყოფა ბიბლიოთეკის ფონდებიდან და ქართული ნაბეჭდი ერთეულის საარქივო ფონდში მისი ერთიანი კოლექციის შექმნა, ამასთან ერთად, ილია ჭავჭავაძის პირადი ბიბლიოთეკის მაქსიმალური სისრულით აღდგენა და იშვიათ გამოცემათა განყოფილებაში ერთიანი კოლექციის სახით დაცვა.

ამ ამოცანის განსახორციელებლად დავინწყეთ საჯარო ბიბლიოთეკის 1937 წლის (როცა ქშნკვ საზოგადოების ფონდი შემოვიდა ბიბლიოთეკაში) საინვენტარო წიგნებზე მუშაობა. აქ ვიპოვეთ ის გასაღები, რამაც აქამდე განუხორციელებელი ოცნება რეალობად აქცია. ჩვენს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როცა გამოჩნდა ქშნკვ საზოგადოების ბიბლიოთეკის კოლექციის მოძიების ახალი გზა - გაირკვა, რომ ქშნკვ საზოგადოების წიგნებს საჯარო ბიბლიოთეკისათვის მათი გადაცემის დროს თან ახლდა ამ წიგნების სია. მართალია, ეს სია შემდეგ დაიკარგა, მაგრამ ამ სიაში წიგნის რიგითი ნომერი ჩანერილია ჩვენი ბიბლიოთეკის საინვენტარო წიგნის შემოსვლის წყაროს აღმნიშვნელ გრაფაში. ასე, რომ საინვენტარო წიგნის დახმარებით პირდაპირ შეგვეძლო დაგვედგინა - რომელი წიგნები იყო წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების და რომელი - არა. მეტიც, ამ სიის რიგითი ნომერი პროპორციულად იზრდებოდა საზოგადოების საინვენტარო ნომრის შესაბამისად, ე.ი. ჩვენს საინვენტარო წიგნში შემოსვლის წყაროს აღმნიშვნელ გრაფაში ჩანერილი ციფრით შეგვეძლო დაგვედგინა ამ წიგნის ძველი საინვენტარო ნომერიც. ჩვენც რამდენიმე თვეში მოვიძიეთ ქშნკვ საზოგადოების ბიბლიოთეკის ეგზემპლარები საჯარო

ბიბლიოთეკის ყველა ფონდში. ბიბლიოთეკასთან არსებულმა ფონდმა „ქართული ბიბლიოთეკა“ ფონდ „ილია საზოგადოება - საქართველოს“ წინაშე წარადგინა პროექტი სახელწოდებით „ქშნკვ საზოგადოების ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის აღდგენა“ და მიიღო გრანტი.

პროექტის განხორციელება ძნელი აღმოჩნდა. განსაკუთრებით გაძნელდა მოძიებული ლიტერატურის ინვენტარიზაცია. ჩვენ მიზნად დავისახეთ, აღვედგინა საზოგადოების ბიბლიოთეკის ფონდი იმ საინვენტარო ნომრებით, რომლებიც მათ ქშნკვ საზოგადოების ბიბლიოთეკაში ჰქონდათ. ამით ფაქტობრივად აღდგებოდა 1887, 1905 და 1911 წელს გამოცემული მისი წიგნსაცავის კატალოგებიც, აგრეთვე, ერთად მოიყრიდა თავს ამ ბიბლიოთეკაში დაცული პირადი კოლექციებიც.

ასეც მოხდა.

დღგა საზოგადოების ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი ძველი საინვენტარო ნომრებით (ხელნაწერთა ფონდი, საბედნიეროდ, 1937 წელს არ დაშლილა და დღეს ხელნაწერთა ინსტიტუტში არის დაცული). ამიერიდან ჩვენს ბიბლიოთეკაში ეს ფონდი დაცულია FS (ქართული გამოცემები) და TS (არაქართული გამოცემები) ლიტერით.

მივაკვლიეთ ილია ჭავჭავაძის 100-ზე მეტ ეგზემპლარს; რაფიელ ერისთავის, დავით ჩუბინაშვილის, დიმიტრი ბაქრაძის პირად ბიბლიოთეკა-კოლექციებს; არაერთ ხელნაწერს, რომელიც შეცდომით წიგნად ფონდში იყო დაცული; უიშვიათეს ფოტოებს; ილია ჭავჭავაძის, დიმიტრი ყიფიანის, ივანე ჯავახიშვილის, იაკობ გოგებაშვილის, კათოლიკოს პატრიარქის - კირიონის, ექვთიმე თაყაიშვილისა და სხვათა მინაწერებს და შენიშვნებს.

დღეს მიმდინარეობს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ბიბლიოთეკის ერთიანი ელექტრონული კატალოგის შექმნა, ასევე მზადდება გამოსაცემად ილია ჭავჭავაძის პირადი ბიბლიოთეკის კატალოგის III გამოცემა, სადაც მწერლის პირადი ბიბლიოთეკის ასზე მეტი ახალი ბიბლიოგრაფიული ერთეული იქნება დამატებული. მზადდება რაფიელ ერისთავის და დიმიტრი ბაქრაძის პირადი ბიბლიოთეკების კატალოგები.

წინ არაერთი საინტერესო გეგმაა, უკან კი გადაჭრილი პრობლემა - წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის აღდგენა.

ნიმუსი-მუხაუმი**თამარ აბულაძე**

ფილოლოგიის დოქტორი, კ. კეკელიძის
სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულია ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების კოლექცია (S ფონდი). თავდაპირველად ეს საზოგადოება ერთ დავთარში აწარმოებდა ხელნაწერი და ნაბეჭდი წიგნების აღრიცხვას. დავთარში 5000-ზე მეტი ერთეული ირიცხებოდა. 1914 წელს ფონდი გაიყო ხელნაწერებად და ძველნაბეჭდი წიგნებად, თუმცა მათთვის ნომრები არ შეუცვლიათ. ამჟამად ხელნაწერთა კოლექციაში 2000-ზე მეტი ხელნაწერია, საზოგადოების ისტორიული დოკუმენტების კოლექცია (Sd ფონდი) კი 5000-მდე საბუთს აერთიანებს.

კოლექციის ქრონოლოგიური საზღვრები ხანგრძლივ პერიოდს (VIII ს-დან XX სს) მოიცავს. უძველესი ხელნაწერი პალიმფსესტია, რომლის ქვედა ტექსტი ხანმეტ მრავალთავს წარმოადგენს (S-3902, VIII ს.). კოლექცია გამორჩეულია დარგობრივი მრავალფეროვნებით, სასულიერო და საერო ჟანრის უნიკალური ნუსხებით: X-XI საუკუნეებით დათარიღებული, დიდი მხატვრული ოსტატობით გაფორმებული ოთხთავები (S- 391, S-962); ბასილი დიდის, იოანე ოქროპირის ასკეტური ჟანრის თხზულებები; სასწავლო-შემეცნებითი ხასიათის შერეული კრებული - „შატბერდის კრებული“ (S-1141, 973-976 წწ.), რომელიც შეიცავს „მოქცევაჲ ქართლისაჲს“, წმ. ნინოს ცხოვრების მცირე და ვრცელ რედაქციებს; საეკლესიო სამართლის ძეგლები (კონსტანტინოპოლში შექმნილი „მცირე სჯულის კანონი“, მთარგმნელი ექვთიმე მთაწმიდელი, S-143, 1030 წ.); შატბერდის მონასტერში გადაწერილი მიქაელ მოდრეკილის „იადგარი“ (S-425,978-988 წწ.); გიორგი მცირის „გიორგი მთაწმიდელის ცხოვრება“ (S-

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ფონდის მარგალიტი

353, XI ს.); ეფრემ მცირის, დავით გურამიშვილის, ნიკოლოზ ბარათაშვილის ავტოგრაფები; „ქართლის ცხოვრებისა“ (მარიამისეული ნუსხა, S-30) და „ვეფხისტყაოსნის“ გამორჩეული ხელნაწერები („წერეთლისეული“ ნუსხა, S-5006); ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნები, მათ შორის, უნიკალური ხელნაწერი S-3683 საშინელი სამსჯავროს ცნობილი მინიატურით და სხვა მრავალი.

კოლექციაში ცალკეა გამოყოფილი ისტორიული დოკუმენტების ფონდი - Sd, რომლის გამორჩეულ ნიმუშებს შორის უნდა დავასახელოთ ბაგრატ IV-ის მიერ გაცემული, 1054-1072 წლებით დათარიღებული, სიგელი; შაჰნავაზის (1684 წ.), ვახტანგ და ბაქარ ბატონიშვილების (1712 წ.) დოკუმენტები და ა.შ.


ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების კოლექციის (S ფონდი) ხელნაწერთა მეცნიერული აღწერილობის პირველი ტომი გამოიცა 1959 წელს. სულ 7 ტომია გამოცემული (მე-7 ტომი დაისტამბა 1973 წელს). აღწერილობაზე სხვადასხვა დროს მუშაობდნენ: ქრისტინე შარაშიძე, თამარ ბრეგაძე, მიხეილ ქავთარია, ცაცა ჭანკიევი, ლილი ქუთათელაძე, თინათინ ენუქიძე, ლამარა ქაჯაია და სხვები. ყველა ტომის რედაქტორი იყო აკად. ელენე მეტრეველი.

კოლექციის ზოგიერთ ხელნაწერს უაღრესად საინტერესო ისტორია აქვს. მათი თავგადასავალი ქვეყნის ძნელბედობის ისტორიაცაა და, ამასთან, იმ მოამაგეთა დიდი ღვაწლის ასახვაც, რომელთა წყალობითაც ისინი გადაუარჩა უეჭველ განადგურებას.

„ვეფხისტყაოსნის“ ერთი ხელნაწერის („წერეთლისეული“ ნუსხა, S-5006) აღმოჩენა და ქართული კულტურისათვის ამ უაღრესად მნიშვნელოვანი ნუსხის „გადარჩენა“ პოემის ხელნაწერების შეგროვება-მოძიების, ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა მიერ მის გამოსაცემად მომზადებისთვის გაშლილ დიდ, შრომატევად, საყოველთაო ეროვნულ საქმიანობას უკავშირდება.

ექვთიმე თაყაიშვილი გვიამბობს „წერეთლისეული“ ხელნაწერის საოცარ თავგადასავალს:

ისტორია იწყება გაზეთ „დროების“ 1879 წლის ნომრის ერთი ცნობით: კნეინა პელაგია წერეთლისას ჰქონია „ვეფხისტყაოსნის“ შესანიშნავი სურა-



თებით შემკული ხელნაწერი. ცნობას გამოეხმაურა გრიგოლ დავითის ძე გურიელი, რომელმაც დაადასტურა, რომ მის ბიძას, ქაიხოსრო გურიელს ჰქონია მოხატული პოემის ხელნაწერი, რომელიც იმჟამად ნესტორ წერეთლის მეუღლესთან ინახებოდა. გაზეთის სარედაქციო შენიშვნა იუნცებოდა, რომ აღნიშნული ნუსხა ეკუთვნოდა დიდ მეფე სოლომონს, შემდეგ კი დარეჯან ბატონიშვილს. კნეინა პელაგიამ ხელნაწერი ათხოვა დიმიტრი ყიფიანს „რედაქციისთვის“. 1881 წელს „დროებაში“ გამოქვეყნდა იოანა მეუნარგიას მიერ შედგენილი მოკლე აღწერილობა.

XVIII საუკუნეში იმერეთის მეფის სოლომონ პირველის დავალებით განაახლეს ხელნაწერი, რომლის ილუსტრაციები ორი მხატვრის მიერ იყო შესრულებული. ტექსტს დაემატა 600-მდე სტროფი და გაგრძელებები. ილუსტრაციები ძველი ხელნაწერიდან ახალში გადაიტანეს. შემდეგ ხელნაწერი დარეჯან ბატონიშვილის მფლობელობაში გადავიდა, რომელიც ცოლად გაჰყვა ქაიხოსრო აბაშიძეს. მათი შვილი იყო ივანე აბაშიძე, იმერეთის 1819 წლის აჯანყების მოთავე, რომელიც 1820 წლიდან თავს აფარებდა ბიძის, ქაიხოსრო გურიელის, ოჯახს შემოქმედში. მას თან ჰქონდა აღნიშნული ხელნაწერი. ცოტა ხანში ივანე იმერეთში დაბრუნდა და ხანისწყლის ხეობაში გამაგრდა. საბოლოოდ, აჯანყება ჩაახშეს რუსებმა და ივანე ბიძასთან ერთად ოსმალეთში გადაიხვეწა. „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერი კი შემოქმედში დარჩა.

მას შემდეგ, რაც ქაიხოსროს ქალიშვილი, პელაგია, ცოლად გაჰყვა საჩხერელ თავად ნესტორ წერეთელს და მზითევში წაიღო ხელნაწერი, მას „წერეთლისეულად“ მოიხსენებდნენ. პელა-

გიას გარდაცვალების შემდეგ ოჯახის რელიკვიის მფლობელი გახდა გიგო წერეთელი.

1906 წელს გიგო წერეთლის მეუღლემ თავის ვაჟიშვილებს ხელნაწერი თბილისში შესაკეთებლად გაატანა. აქ ყდაში ჩასვეს, მაგრამ გზად ეტლში დარჩათ. იგი უპოვია ცნობილი ვაჭრის, ფორაქიშვილის, ნოქარს. მან, მცდელობის მიუხედავად, ვერ ნახა ექვთიმე თაყაიშვილი, რომელიც იმხანად არ იმყოფებოდა თბილისში და ნუსხა ფორაქიშვილის სიძეს დავით სარაჯიშვილს მიუტანა, რომელმაც ხელნაწერი შეისყიდა. ერთხელ, ახალმა მფლობელმა სტუმრად მისულ ექვთიმეს აჩვენა იგი და, მისი თხოვნით, დროებით დაუტოვა. სარაჯიშვილი ხელნაწერის ჩუქებას აპირებდა ბარონ დე ბაისტვის, რომელიც ცნობილი იყო თავისი სიყვარულითა და ინტერესით სიძველეებისადმი.

ექვთიმემ, რომელმაც კარგად იცოდა ხელნაწერის ფასი, დიდხანს არ დაუბრუნა იგი სარაჯიშვილს. დე ბაი გაემგზავრა საქართველოდან. ასევე, სარაჯიშვილიც არ იმყოფებოდა ქვეყანაში გარკვეული პერიოდის განმავლობაში. ექვთიმე თაყაიშვილმა ხელნაწერი თავისი ინიციატივით შესწირა წერაკითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას დავით სარაჯიშვილის სახელით. ეს ყოფილ პატრონსაც ესიამოვნა თურმე.

ეს ისტორია აქ არ თავდება: ექვთიმეს მოაკითხეს ხელნაწერის ძველმა მეპატრონეებმა, ძმებმა წერეთლებმა. ისინი ითხოვდნენ ოჯახის რელიკვიის დაბრუნებას. მათ დროებით გადასცეს უკვე საზოგადოების კუთვნილი ხელნაწერი იმ პირობით, რომ მალევე დააბრუნებდნენ. ძმებმა ხელნაწერი აღარ დააბრუნეს.

ერთხელ საჩხერეში გათხრებზე ყოფნისას ექვ-

თიშე თაყაიშვილი მოხვდა ელისაბედ წერეთლის მიერ გამართულ მეჭლისზე. იქ, შემთხვევის წყალობით, მეცნიერი ისევ შეხვდა ძმებს. ელისაბედის ავტორიტეტის წყალობით და მისი შუამავლობით, ძმებმა დაუბრუნეს წერა-კითხვის საზგადოებას „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერი, მაგრამ ექვთიმემ აღმოაჩინა, რომ 87 ილუსტრაციიდან ნუსხას 10 აკლდა. თურმე ეს მინიატურები შეუსყიდია სომეხ ვაჭარს 500 მანეთად და პარიზში წაუღია ანტიკვართან. ამ უკანასკნელმა მინიატურები შესთავაზა ქართველოლოგ ოლივერ უორდროქს, რომელმაც ამის შესახებ ექვთიმეს შეატყობინა. მისი მცდელობით სომხებმა უკან ჩამოიტანეს ილუსტრაციები. საზოგადოებამ ისინი 275 მანეთად იყიდა. ასე დაუბრუნდა ხელნაწერი მის ბოლო და კანონიერ მფლობელს - ქართველ ერს.

განსაკუთრებით საყურადღებოა ქშნკვ საზოგადოების ფონდში დაცული ავტოგრაფული ხელნაწერები:

დავით გურამიშვილის „დავითიანი“ (S-1598)

როგორც ცნობილია, დავით გურამიშვილმა თავისი ცხოვრების უკანასკნელი წლები, ტყვეობის შემდეგ, გაატარა პოლტავის მხარეში, მირგოროდსა და ზუბოვკაში. აქ მან აღადგინა დანგრეული მეურნეობა და ღრმა სიბერეში თავი მოუყარა თავის თხზულებებს ერთ წიგნში (1781 წლის შემდეგ). ამ დროს უკრაინაში იმყოფებოდა ქართლ-კახეთიდან ელჩად წარგზავნილი ერეკლე მეფის ძე, მირიან ბატონიშვილი. პოეტმა მას გადასცა თავისი ხელნაწერი და სთხოვა, რომ მის მიერ ნუსხაში ჩართული „სარწყავისა და წისქვილის მოხაზულო-



ბა“ ეჩვენებინა კნიაზ პოტიომკინისთვის. უცნობია, ნახა თუ არა კნიაზმა ეს „მოხაზულობა“, თუმცა ქართველთათვის უძვირფასესი ავტოგრაფული ხელნაწერი - „დავითიანი“ საქართველოში მოხვდა 1787 წელს. ეს არის პოეტის ერთადერთ ავტოგრაფი, რომელიც დაცულია ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის S ფონდში. „დავითიანის“ სხვა ყველა ხელნაწერი ასლია.

ნიკოლოზ ბარათაშვილის ავტოგრაფული ნუსხები

ნიკოლოზ ბარათაშვილს არ უნახავს თავისი დაბეჭდილი არცერთი ლექსი. მისი ხელნაწერები ვრცელდებოდა კერძო კოლექციებიდან, მეგობრებისა და სატრფოსადმი მიძღვნილი წარწერებით. S ფონდში რამდენიმე ასეთი ხელნაწერია დაცული:

S-2516, ბარათაშვილის ავტოგრაფი, 26 ლექსი, მისივე მინაწერით (1843 წლის) და S-2517 - „ბედი ქართლისას“ ავტოგრაფი. ორივე ხელნაწერის ისტორია ისევ ექვთიმე თაყაიშვილს უკავშირდება. მისი მინაწერია ორივე ხელნაწერზე: „ვიყიდე 1887 წ. პეტერბურგში ბუკინისტ პ. ი. ვორონინისგან ნევის პროსპექტზე N54. ე. თაყაიშვილი“. მკვლევართა ვარაუდით, ამ ხელნაწერთა მფლობელი უნდა ყოფილიყო ეკატერინე ჭავჭავაძე-დადიანისა. უცნობია, როგორ მოხვდა ისინი ბუკინისტთან პეტერბურგში.

S-2701. პოეტმა კრებული უძღვნა თავის სიყრმის მეგობარს, მაიკო ორბელიანს 1841 წელს. ხელნაწერი 17 ფურცელს შეიცავს. იგი ხელში ჩავარდნია ვინმე არეშიძეს, რის შესახებაც იუწყებოდა გაზეთი „ივერია“ 1891 წელს. ზაქარია ჭიჭინაძისთვის ცნობილი ყოფილა ეს ხელნაწერი, თუმცა მას ვერ შეუს-





ყიდია იგი. ხელნაწერი შეიძინა წიგნებით მოვაჭრე ლაზარევმა, რომლისგანაც იყიდა იგი ქართველმა მსახიობმა, დრამატურგმა და კრიტიკოსმა ვალერიან გუნიათ. იგი თავად ასე იგონებს ამ ფაქტს: ერთხელ შეხვდა ზაქარია ჭიჭინაძეს, რომელიც იმხანად წიგნებით ვაჭრობდა. მან გააცნო ლაზარევი, რომელმაც, ზაქარიას თხოვნით, აჩვენა ბარათაშვილის ავტოგრაფი. მოვაჭრე 25 მანეთად აფასებდა ხელნაწერს. ვალერიან გუნიათ მაშინვე გადაუხადა 3 მანეთი; ხელნაწერი ლაზარევთან დარჩა იმ პირობით, რომ დანარჩენ თანხას მიიღებდა კვირას. ასეც მოხდა. გუნია იგონებდა, რომ ერთი წლის განმავლობაში მას განუყრელად თან ჰქონდა ხელნაწერი, „როგორც სასოება“. უჭირდა კიდევ და არ გაყიდა, ილია ჭავჭავაძესაც კი, რომელთანაც ვალერიანს განსაკუთრებული ურთიერთობა აკავშირებდა, უარი უთხრა და არ დაუთმო ხელნაწერი.

როდესაც ახალმა პატრონმა „ხელნაწერის პატრონობით ქაბუკური გული იჯერა“, დავით კარიჭაშვილის ჩარევით იგი გადასცა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას.

გამოყენებული ლიტერატურა




ვეფხისტყაოსანი: ხელნაწერი მემკვიდრეობა / მთ. რედ.: ბუბა კუდავა. - თბ., 2013.

თაყაიშვილი, ექვთიმე. მოგონებები // მნათობი. - 1958. - N 7.

ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა: ყოფილი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების (S) კოლექციისა. ტომი 3 / შეადგინეს: თ. ენუქიძემ, ე. მეტრეველმა, მ. ქავთარიამ, ლ. ქუთათელაძემ, ქრ. შარაშიძემ, ე. მეტრეველის რედაქციით. - თბ., 1963.

ჭუმბურიძე, ზურაბ. ქართული ხელნაწერების კვლევა. - თბ., 1983.

ქმნაკ საზოგადოების წიგნსაცავის კატალოგები





დომიტრი
ბაქრაძე

ბიბლიოთეკა თ. ნიკოლოზ საგულოისა

„დროების“ მკითხველებმა იციან, რომ თავადმა ნიკოლოზ სამეგრელოსამ შემოსწირა ქართული ბიბლიოთეკა ჩვენს „წერა-კითხვის გამავრცელებელს საზოგადოებას“. ამ ბიბლიოთეკაზე ჩვენ ბევრი რა გვქონდა

გავინილი. თვითონ განსვენებულს ბროსეს თავის აქ ყოფნაში 1848 წ. გაესინჯა იგი და ზოგიერთი ღირს-შესანიშნავი იმისი მანუსკრიპტები კიდევ გაერკვია. ამისთვის მოუთმენლად მოველოდით ამ განძის ჩამოტანას თბილისში. ეს ბიბლიოთეკა ახლა „წერა-კითხვის საზოგადოების“ ხელშია და ამ დღეებში კიდევ გაისინჯა. რასაკვირველია, იმისი სრული დაფასება მაშინ შეიძლება, როდესაც ყველა მანუსკრიპტი საფუძვლიანად გაირკვევა.

აქ ჩვენ მხოლოდ იმას ვიტყვით, რომ თ. სამეგრელოს წიგნთა საცავს შეადგენს ორასზე ნაკლები ნომერი, თუმცა უწინდელი იმისი კატალოგი მომეტებულ ნომრებს უჩვენებს. თუმცა, როგორც ვიცით, ეს ბიბლიოთეკა კარგად იყო დაცული, მაგრამ საზოგადო სენი, რომელიც ჩვენში ამ გვარ განძსა სდევნის, იმასაც შეჰხებია. სჩანს, რომ ზოგიერთი მანუსკრიპტი გაუტანიათ და აღარ დაუბრუნებიათ. გარდა ამისა, ერთი არქეოლოგიურის მხრივ დიდად შესამჩნევი ოთხ თავი ანუ სახარება დაგლეჯილია და დაფანტული, უეჭველად ზედამხედველის დაუდევნელობის გამო, რომელსაც იმისი ფასი არა სცოდნია. რომ თვით პატრონს დიდი ყურადღება ჰქონია მიქცეული საზოგადოდ თავის წიგნთა საცავზე, ეს ცხადია: ყველა ნომრები ყდებით არის შეკაზმული.

გარდა ხსენებულის ოთხ-თავისა, რომელიც მთლად არის ნაწერი უძველესის ხასიათის ხუცურის ასო-მთავრულით, ამ წიგნთა საცავშია მეათისა და მეთერთმეტის საუკ. ტყავზე ნაწერი მანუსკრიპტები, იმათ შორის ერთი დიდი ფოლიანტი, ათონის მონასტრის ხელით, ამ მონასტერშივე ნაშრომი, რომელიც შეიცავს, სხვათა შორის „საგალობლებს“ მაშინდელის სანოტო ნიშნებით. თუ იმათ მნიშვნელობას ახლა ვინმე შეიგნებს, შეიძლება ძველი გალობის კილოც აღვადგინოთ. მანუსკრიპტების რიცხვში აღმოჩნდა აგრეთვე: ა) ერთი პირი ქარ-

თულის ბიბლიისა, რომელიც თ. ვარანცოვის დროს განსვენებულს იოსელიანს მოეტანა ათონის მთი-დამ, და მეორე ამ ბიბლიის პირი საქართველო-იმერეთის კანტორაში ინახება; ბ) ქართლის ცხოვრება ზოგიერთის დამატებებით, რომელიც სხვა ქართლის ცხოვრების ვარიანტებში არ იპოვებიან; გ) „ვისრამიანი“ არჩილ მეფისაგან გალექსილი; დ) „ამირან-დარეჯანიანი“ მე-XVII საუკ. ხელით ნაწერი და სხვ.

სრული ანგარიში ამ ბიბლიოთეკისა შემდეგის დროისთვის გადაგვიდია. აქ ვსარგებლობთ მხოლოდ შემთხვევით, რომ მთელის ქართველობისა და ქართულის არქეოლოგიის მხრივ გულითადი მადლობა ვუძღვნათ უგანათლებულესს თავად ნიკოლოზს თავის განძის გადმოცემისათვის ჩვენის მეცნიერების დედა-ქალაქს თბილისში, სადაც მხოლოდ ქართულ ისტორიას შეუძლიან იმითი სრულიად ისარგებლოს. ეჭვი არა გვაქვს, რომ ეს სამაგალითო საქმე თავადის ნიკოლოზის მხრივ თავის გავლენას აღმოაჩენს სხვებზედაც.



ნიკო დადიანი



აქ უნდა შევნიშნოთ ის ფაქტი, რომ საქართველო ერთი იშვიათთა ქვეყანათაგანი, სადაც მრავალი ძველი და უძველესი მწელობის ნაშთი ყოფილა და არის კიდევ, მაგრამ გაფანტული აქა-იქ კერძო სახლებში და ეკკლესია-მონასტრებში, ანუ გატანილი საქართველოს გარეთ. გააქვთ იგინი აქამომდე ქურდულად მაშინ, როდესაც ყოველივე ამ გვარი განძი შეადგენს კუთვნილებას მთელის საქართველოსას, იმის სწავლა მეცნიერებისას და უნდა რჩებოდეს იმის ხელში. ეს სამწუხარო მოვლენაა უმთავრესი მიზეზი, რომ ჩვენ არა გვაქვს აქამომდე შემუშავებული ჩვენის წარსულის დროის ისტორია და არც შემუშავდება, სანამ არ შემოიკრიბება თბილისში ძველი მანუსკრიპტები, გუჯრები ანუ სიგელები.

ამ აზრით, როგორც ამ დღეებში გაზეთმა „კავკაზმა“ გვაცნობა თვით ყოვლად უსამღვდელო ექსარხოის პავლე შესდგომია სიონის სობოროს გაღავანში დაარსებას ქართულის საეკლესიო მუზეუმისას, სადაც უნდა შემოიკრიბოს საქართველოს მონასტრებიდამ ყოველივე ისტორიული განძი. ამ გვარი აზრი დიდი ხანია აღსრულებაშია მოყვანილი ევროპიის სახელმწიფოებში და თვით რუსეთშიაც დიდი ყურადღებაა ახლა იმაზე მიქცეული.

ამ აზრითვე მივმართავთ ყველა საქართველოს შვილს, ვინც თანაუგრძნობს ჩვენს ისტორიის შემუშავებას და ვისაც რაიმე ძველი ისტორიული ნაშთი მოეპოვება, არ დაიშუროს და თავადის ნიკოლოზის მაგალითით, უძღვნას ანუ „წერა-კითხვის გამავრცელებელს საზოგადოებას“, ანუ, თუ საეკლესიო საგანს შეადგენს, „საეკლესიო მუზეუმს“, სა-



დაც, იქაც და აქაც, ყველა შემონირულობა დაცული იქნება ფაქიზად და თვით შემომწირავის სახელი ჩაირთვის კატალოგში. თუ არა, თვითოეული ჩვენგანი დარწმუნებული უნდა იყოს, რომ, როგორც ვხედავთ, რაცა გვაქვს დარჩენილი, დროს განმავლობაში ისიც სრულებით დაგვეკარგება და დაგველუპება და ყველანი მაშინ ვგრძნობთ სინანულს, როდესაც საქმის შველა შეუძლებელია იქნება.

აქ ვსარგებლობთ შემთხვევით, რომ გულითადი მადლობა განვუცხადოთ თვით თავადს გრიგოლ დავითის ძე გურიელს, რომლისაგანაც ამ დღეებში მივიღეთ სადღაც ოზურგეთში მისგან ნაპოვნი პატარა მე-X საუკ. მშვენიერი ასო-მთავრულიანი და ოქრო ვარაყიანის გასაოცარის ხელოვნების სათაურის ასობით ეტრატზე ნაწერი სახარება. ეს შრომა უჩვენებს, რა მაღალ ხარისხზედ მდგარა ჩვენში თვით მე-X საუკუნეში კალიგრაფია და მხატვრობა. ამისთვის იგი დიდს განძს შეადგენს ჩვენის არქეოლოგიისას, თუმცა საუბედუროდ სახარება ძალიან დაშლილია და ნათრევი.



გრიგოლ გურიელი

აპჩილის 20.
გაზეთი „ღიოება“, 1885, N85, გვ.1.





ლიკა მამაცაშვილი
ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი

ალექსანდრე როინაშვილი და ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება

კოლექციებიც გადასცა ოფიციალური ანდერძის საფუძველზე, რომელიც სიცოცხლეშივე შეადგინა. ანდერძის თანახმად, მისი საკუთრების მნიშვნელოვანი ნაწილის გადასაცემად როინაშვილი არავითარ წინაპირობას არ აყენებდა:

მე, დუშეთელი გლეხი ალექსანდრე სოლომონის ძე როინაშვილი, მთელ ჩემს კუთვნილ ქონებას, რომელსაც შეადგენს: ფოტოგრაფიული დაწესებულება, ყველა ნეგატივებს, აპარატებს, ფოტოგრაფიულ სურათებს, აგრეთვე არქეოლოგიურ და ანტიკვარულ ნივთებს... ვუანდერძებ სრულ განსაკუთრებულ საკუთრებად ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“ - ვკითხულობთ ანდერძის ტექსტში.

ალექსანდრე როინაშვილი (1846-1898) მე-19 საუკუნის საზოგადოებრივ-საგანმანათლებლო-კულტურული სპექტრის ავანგარდში მოღვაწე, გამორჩეული პიროვნებაა, რომელმაც თავისი მრავალმხრივი და ხანმოკლე ცხოვრებით, იმ პერიოდის საქართველოსთვის ყველაზე მნიშვნელოვან სფეროებში მოახერხა სიახლის დამკვიდრება, ძველის შენარჩუნება, არსებული კულტურული ფასეულობების შენახვა და საჯაროდ გამოტანა. ის ერთ-ერთი პირველთაგანი იყო, ვინც ბოლომდე გაიზარა მუზეუმის მნიშვნელობა ქვეყნის განვითარებისათვის, ფოტოგრაფია ერის ისტორიის სამსახურში ჩააყენა და შექმნა ფოტოგრაფიის პროფესიული სკოლა, რომელმაც უკვე როინაშვილის მიერ დანერგილ ტრადიციებზე განაგრძო განვითარება. ალექსანდრე როინაშვილი იყო ერთ-ერთი პირველთაგანი, ვინც საქართველოში ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრი გახდა და ამ საქმეს ემსახურა ბოლომდე.

მე-19 საუკუნის საქართველოს პოლიტიკურ-სოციალური სინამდვილე რუსეთთან ურთიერთობის სირთულეებით გამორჩეულია ცარიზმის ეპოქაში. ამ დროს, საქართველო რუსეთს დაქვემდებარებული გუბერნია იყო, სადაც ეროვნული ინტერესები მუდმივ წნეხს განიცდიდა. სწორედ ამ რთულ და კონფლიქტურ ფონზე, ნებისმიერი ეროვნული სიახლე დიდ მნიშვნელობას იძენდა ქართული საზოგადოების ეროვნული თვითშეგნების განვითარების საქმეში.

1879 წელს შექმნილი წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება კი ამ მიზნით დაფუძნდა. მისი ერთ-ერთი დამაარსებელი იაკობ გოგებაშვილი იმედოვნებდა, რომ საზოგადოებას ბევრი მხარდამჭერი ეყოლებოდა. ალექსანდრე როინაშვილმა თავის მხრივ, უდიდესი სამსახური გაუწია საზოგადოებას, ვინაიდან არა მხოლოდ მატერიალური დახმარება აღმოუჩინა, არამედ სამუზეუმო

ნათელია, რომ ალექსანდრე როინაშვილისთვის ყველაფერი, რაც მისთვის ძვირფას და მნიშვნელოვან საკუთრებას შეადგენდა, ქვეყნის სამსახურში ჩამდგარი საზოგადოების კუთვნილებად უნდა ქცულიყო ისე, რომ მისი განკარგვის მითითებებიც არ დაუკონკრეტებია. როინაშვილი სრულად ენდობოდა საზოგადოების მმართველობას და თვლიდა, რომ ანდერძის თანახმად, მისი მემკვიდრეობა საქართველოს ეროვნულ ინტერესებს მოემსახურებოდა უპირველეს ყოვლისა.

ოფიციალური საანგარიშო ოქმის ჩანაწერიდან ვიგებთ, რომ:

„... საანგარიშო წელიწადიც, როგორც ორი (1884-85) წელიწადი, შესანიშნავია შემოწირულობით საზოგადოების სასარგებლოდ; შარშანდელს ანგარიშში მოხსენებული იყო, რომ ბ-ნმა ალექსანდრე სოლომონის ძე როინაშვილმა ზოგიერთი შემოწირულობის გარდა აღუთქვა ჩვენს საზოგადოებას მდიდარი მუზეუმი ძვირფასი არქეოლოგიური ნივთებისა“. ამ ოქმის შედგენიდან ერთი წლის თავზე, მართლაც 22 მაისს როინაშვილმა ნოტარიულად გააფორმა მუზეუმის დამტკიცების ფაქტი. ამ საქველმოქმედო ნაბიჯის საპასუხოდ, ილია ჭავჭავაძე საჯარო წერილსაც აქვეყნებს „ივერიაში“: „... კავკასიის არქეოლოგიური და ისტორიული „მუზეი“ ოცი წელიწადია, რაც ბა-ნი როინაშვილი, წინა-პირველად დუშეთში მცხოვრები, მოეკიდა ამ მუზეუმი-სათვის კოლექციის შედგენას და შეაგროვა მრავალი და ძვირფასი ნივთები. ნივთები ძველისძველი ხელოვნებისა და ხელსაქმისა. ამ მუზეუმში არის თურმე ნივთები ასურისა, სპარსეთისა, საბერძნე-



თისა, საქართველოსი, რომისა, სომხეთისა და ევროპის და ბევრი მათგანი ეკუთვნის ქრისტიანობის წინა დროსა. როინაშვილს გულში ეჯდა დიდი, პატიოსანი გრძნობა, რომელსაც მამულიშვილურ სიყვარულს ეძახიან; ამ სიყვარულით გულგამთბარმა, თავისი ნაღვან-ნაამაგევი თავის ქვეყანას მიართვა: აჰა შენთვის ვიღვანე, ვიამაგე ჩემი შეძლებისამებრ და ჩემი ნაღვან-ნაამაგევი შენ მოიხმარე შენს სადღეგრძელოდაო“.

ალექსანდრე როინაშვილის ამგვარი საქველმოქმედო აქტი, გარდა იმისა, რომ საქვეყნო მაგალითად იქცა, თავად საზოგადოების მნიშვნელობის და მისი ავტორიტეტის გაძლიერებასაც ემსახურებოდა.

როინაშვილის დამოკიდებულება ამ საზოგადოების როლის მიმართ საქართველოს ეროვნული ინტერესების დაცვაში, ნათლად მეტყველებს იმაზე, თუ რამდენად ფართო ხედვის დიაპაზონი გამოარჩევდა მას ზოგადად და რამდენად დროული და აქტუალური იყო თავად წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მიერ გადადგმული ნაბიჯები იმ ეპოქაში.

როინაშვილი, ბიბლიოთეკებისა და საჯარო განათლების საქმეს უშუალო თანამონაწილეობით აკეთებდა. იძენდა სხვადასხვა თემატიკის წიგნებს, გადასცემდა შენაძენს საზოგადოებას და ამ პროცესში მუდმივად მონაწილეობდა, როგორც ქველმოქმედი. ამგვარმა დამოკიდებულებამ საზოგადოებას დიდი წარმატებაც მოუტანა, როგორც საჯარო განათლების პრობლემების დაძლევის საქმეში, ასევე სამუზეუმო-საგანმანათლებლო და ეროვნული მემკვიდრეობის საკითხებში, ვინაიდან ფართო საზოგადოება საქართველოში გახდა მოწმე იმისა, თუ რამდენად სანდო და ეროვნულ საქმეს აკეთებდა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, რადგან მას ამგვარი შემომწირველები და თანამებრძოლები ჰყავდა.

იმ დროს, აშკარად იგრძნობოდა საგანმანათლებლო დაწესებულებების, სკოლების, თეატრების, მუზეუმების, ბიბლიოთეკების, ეროვნული სამეცნიერო ორგანიზაციების ნაკლებობა. ამას როინაშვილი კარგად ხედავდა და ასევე კარგად აცნობიერებდა იმასაც, რომ ამ ფონზე, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას უჩვეულოდ დიდი ფუნქცია ჰქონდა, ხოლო მისი გაძლიერება ნიშნავდა საქართველოს საზოგადოების ყველაზე ნოვატორული ხედვის და ინტერესების გაძლიერებას. ისტორიული, არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული ნივთების შეგროვება და სამუზეუმო კოლექციად ჩამოყალიბება იმისთვის, რომ საბოლოოდ ყოველივე ეს მემკვიდრეობად და ეროვნულ კუთვნილებად ქცეულიყო, როინაშვილის მხრიდან

საზოგადოებისადმი საჯარო პატივისცემის გამოხატულებად იქცა. თვით სამუზეუმო კოლექციების თემატიკაც იმდენად უნიკალურ ნიმუშებს და სხვადასხვა, ფართო კვლევით მასალას მოიცავდა, რომ საშუალებას აძლევდა საქართველოს მოსახლეობას, არა მხოლოდ საქართველოს მიმართულებით გაეფართოებინა თავისი ცოდნა და თვალსაწიერი. ისტორიის პატივისცემა და მისი შესწავლა, კულტურის ტრადიციების გააზრება, დაფასება, სახელოვნებო-ისტორიული პროცესების საჯარო ხილულ ფაქტებად ქცევა, ამ მემკვიდრეობის გადაცემის ერთ-ერთი მთავარი მიზანი იყო.

როინაშვილის სამუზეუმო ნივთები შეადგენდა **კავკასიის ერთადერთ მოძრავ მუზეუმს, რომელიც ქართული, აღმოსავლური, კავკასიური, დასავლეთ-ევროპული კულტურის უნიკალურ ნიმუშებს უჩვენებდა საზოგადოებას და ამით მუზეუმისა და ისტორიული**

სიძველეების პოპულარიზაციას ახდენდა. როინაშვილის ინტერესი განსაკუთრებით მძაფრი იყო არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის, სახალხო განათლების, ბიბლიოთეკების მიმართ და ამ საქმეში ის საზოგადოების ინტერესებთან თანხვედნილი იყო, რამაც განაპირობა როინაშვილის და წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ერთმანეთთან საბოლოოდ დაკავშირება.



ალექსანდრე როინაშვილი

სწორედ ამ საქმით იყო დაკავებული როინაშვილი, როდესაც სრულიად მოულოდნელად დაასრულა სიცოცხლე - ის დუშეთში მიემგზავრებოდა, სამკითხველოსთვის წიგნებისა და ინვენტარის გადასაცემად. ეს სამკითხველოც, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მზრულველობით უნდა შექმნილიყო.

1898 წლის 11 მაისს, ალექსანდრე როინაშვილი დუშეთისკენ მიმავალ გზაზე გარდაიცვალა. მისი საფლავის ქვაზე დიდუბის პანთეონში, სადაც ალექსანდრე როინაშვილი ილია ჭავჭავაძის თაოსნობით დაიკრძალა, ამოკვეთილია შემდეგი: **„სამაგალითო ქველმოქმედს და ქვეყნისათვის სიყვარულით სავსეს - ალექსანდრე როინაშვილს“.**



დავით ჩუბინაშვილის პირადი კოლექცია ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ფონდში




დალი მაჩაიძე

საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა


თავისი არსებობის მანძილზე (1879-1927 წწ.), ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ, შექმნა და შთამომავლობას შემოუნახა ქართული და უცხოური გამოცემების მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი, ძვირფასი ფონდი. აღნიშნულმა საზოგადოებამ ნესდებით განისაზღვრა იშვიათი ხელნაწერებისა და ყოველი ქართული თუ ქართველოლოგიური გამოცემის შეგროვება და დაცვა. ამით მან საძირკველი ჩაუყარა ეროვნული საარქივო ფონდის შექმნას. მამულიშვილურ საქმეს მალევე გამოუჩნდნენ მხარდამჭერნი, როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ მოღვაწე ქართველთა შორის. საქართველოს ეროვნულ არქივში დაცულია ქმნვე საზოგადოებისადმი სხვადასხვა პირთა და დანებსებულებათა მიერ შეწირული სამუზეუმო ექსპონატების ჩასაწერი დავთარი. იგი გვამცნობს, რომ საზოგადოების წიგნსაცავისათვის პირველი მნიშვნელოვანი შეწირულობა გაუკეთებია მის ერთ-ერთ დამაარსებელსა და საპატიო წევრს, გრიგოლ დავითის ძე გურიელს. მას საზოგადოებისათვისს გადაუცია უმნიშვნელოვანესი ხელნაწერები; მათ შორის ეტრატზე დანერილი, XI საუკუნის სახარე-

ბაც - N 962. გარდა ამისა შეუწირავს თავისი ხარჯით დაბეჭდილი „ქილილა და დამანას“, ვახტანგ VI-ისეული თარგმანის, მთელი ტირაჟი, 3027 მანეთის ღირებულების, 1009 ეგზემპლარი. თავდაპირველ შემწირველთა შორის ყოფილა ილია ჭავჭავაძეც. მასაც რამდენიმე მნიშვნელოვანი ხელნაწერი და ბეჭდური წიგნი შეუმატებია ფონდისათვის. როგორც ჩანს, ქმნვე საზოგადოების წიგნსაცავს მისი გულშემატკივრები სწირავდნენ როგორც საკუთარ, ისე სპეციალურად ამ ფონდისათვის შეგროვებულ, მოძიებულსა და შესყიდულ წიგნებს. ქმნვე საზოგადოება მათ უმეტესობას უსასყიდლოდ ღებულობდა და წერილობით იხდიდა მადლობას მნიშვნელოვანი შეწირულობის შემთხვევაში; თუმცა უხდებოდა წიგნების შეძენა გარკვეული საზღაურის ფასადაც. იმდროინდელი პრესა, ძირითადად, „ივერია“, „დროება“ და „ცნობის ფურცელი“, აცხადებდა ხოლმე ასეთ ფაქტთა შესახებ; საზოგადოებას აცნობდა შემწირველის ვინაობასა და ღვაწლს; ზოგჯერ აქვეყნებდა კიდევ მნიშვნელოვანი შეწირვის სიებს. ასე მდიდრდებოდა ეროვნული წიგნსაცავი.

ფონდის შევსების მნიშვნელოვანი წყარო იყო გარდაცვლილ საზოგადო მოღვაწეთა პირადი ბიბლიოთეკებიც. ისინი, განსვენებულის ანდერძის თანახმად, ან მის მემკვიდრეთა სურვილით გადაეცემოდა ხოლმე ქმნვე საზოგადოების მუზეუმ-ბიბლიოთეკას. ასეთი ფონდები შემოდიოდა საზღვარგარეთიდანაც, სამშობლოს გარეთ მოღვაწე და იქვე გარდაცვლილი ქართველი მამულიშვილებისა; იგზავნებოდა სრული ბიბლიოთეკების ან რაიმე



კიტაიის სიბრძნე, ანუ სწავლა... 1784, ტფილისი, ერეკლე მეფის სტამბა



ლოცვანი. 1768. მოსკოვი. ათანასე ამილახვრის სტამბა. რიფსიმე ბატონიშვილის ავტოგრაფით

ნიშნით შექმნილი კოლექციის სახით. ქმნვე საზოგადოებისათვის ასეთი მნიშვნელოვანი და სამადლობელი წერილით აღნიშნული შეწირულობა ყოფილა რუსეთიდან მიღებული კოლექციები: საზოგადოების ერთ-ერთი დამაარსებლის, დიმიტრი თულაშვილისა და ოდესის უნივერსიტეტის რექტორის (პირველი ქართველი რექტორის), პროფესორ ვასილ პეტრიაშვილის წიგნები. აღსანიშნავია, რომ ქმნვე საზოგადოება იმთავითვე გამორჩეულ ყურადღებას უთმობდა სახელოვან მოღვაწეთა პირად ბიბლიოთეკებს.

ქმნვე საზოგადოების გაუქმების შემდეგ, სახელმწიფო უნივერსიტეტში გადატანილი წიგნადი ფონდი 1937 წელს დღევანდელ ეროვნულ ბიბლიოთეკას გადაეცა. სამუხაროდ, ფონდის მიღების დროს არ გაუთვალისწინებიათ კოლექციის ერთიანობის დაცვის პრინციპი. სადღეისოდ, საბიბლიოთეკო რესურსების დეპარტამენტის დირექტორის, ლევან თაქთაქიშვილის გადანყვეტილებით და მისგანვე სათანადო გზების გამონახვით, განხორციელებულია ქმნვე საზოგადოების ისტორიული მნიშვნელობის ფონდისა და მასში შემავალი პირადი კოლექციების აღდგენა. ესენია: ილია ჭავჭავაძის, დავით ჩუბინაშვილის, დიმიტრი ბაქრაძის, იაკობ გოგებაშვილის, რაფიელ ერისთავისა და პეტრე უმიკაშვილის ბიბლიოთეკები.

ამჯერად ჩვენი მიზანი არაა თითოეული ამ კოლექციის წარმოჩენა. გაგაცნობთ მხოლოდ დავით ჩუბინაშვილის - ისტორიკოს-არქეოლოგის, პედაგოგის, ლიტერატურათმცოდნისა და ენათმეცნიერის; ამასთანავე, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების საპატიო წევრის პირად ბიბლიოთეკას; მიმოვიხილავთ ამ ერთ, მაგრამ განსაკუთრებულ კოლექციას; შევეცდებით, დავასაბუთოთ მისი გამორჩეულობაცა და დავით ჩუბინაშვილის ფასდაუდებელი წვლილი ქმნვე საზოგადოების წიგნსაცავის შევსება-გამდიდრებაში.

მნიშვნელოვანი იყო დავით ჩუბინაშვილის პირველივე, სიცოცხლისდროინდელი, შენატანი ქმნვე საზოგადოების ბიბლიოთეკა-მუზეუმში. საზოგადოებისეულ ქართული წიგნების ინვენტარში შეწირულობა რეგისტრირებულია 2606-2628 ნომრებით და შეიცავს 22 დასახელების გამოცემას, ზოგს რამდენიმე ცალადაც. ესენია XIX საუკუნის რჩეული ქართული გამოცემები, ძირითადად პოეტური კრებულები, ლექსიკონები, გრამატიკა და ისტორიული შინაარსის წიგნებიც. მათგან აღვნიშნავთ N 2628-ს. ესაა ექვთიმე თაყაიშვილის „სამი ისტორიული ხრონიკა. ქართულის მოქცევისა; სუმბატისა, ბაგრატიონების შესახებ და მესხური დავითნისა“. წიგნი დაბეჭდილია თბილისში 1890 წელს. ყურადღება მიიპყრო მის თავფურცელზე შესრულებულმა ექვთიმე თაყაიშვილის ავტოგრაფმა: „ჩვენს პატივსაცემს პროფესორს და ქართული სიტყვიერების მეცნიერს დ. ჩუბინოვს. ე. თაყაიშვილისაგან“. ადვილი

წარმოსადგენია, რაოდენ საჭირო იყო ეს გამოცემა საზოგადოების ფონდისათვის, რომ ჩუბინაშვილმა სამახსოვრო წიგნი გაიღო მისთვის. ჩუბინაშვილის მაშინდელი შეწირულობიდან თავისი ძველნაბეჭდობით, ხუცური შრიფტითა და განსაკუთრებული იშვიათობით გამოირჩევა N 2617. იგი აღწერილი აქვთ, როგორც ლოცვანი, რომლის გამოცემის ადგილი და დრო უცნობია - [Sl. SD]. ეს უთავფურცლო ეგზემპლარი შეიცავს მხოლოდ გ-იდ (3-14) კოლონციფრით დანომრილ გვერდებს. როგორც ჩანს, ესაა 8-8 ფურცლიან რვეულებად შესაკრავი გამოცემის, პირველი რვეულის მხოლოდ 5 ფურცელი, ისინიც არეულად აკინძული. აქ დაბეჭდილია სხვადასხვა ზომის ქართული ანბანი ლოცვებითურთ: „მეუფეო ზეცათაო“; „მამაო ჩვენო“; „მინყალე, ღმერთო“; „სიმვოლო სარწმუნეობისა“ და „ათი მცნება“. გამოყენებული შრიფტის სახეობა და ტექსტის გამყოფი ორნამენტები გვაფიქრებინებს, რომ გამოცემა ერეკლეს II-ის სტამბისაა. შესაძლებლად მივიჩნიეთ, ეს ყოფილიყო დასაწყისი ამ სტამბაში დაბეჭდილი „მცირე ლოცვანისა“, რომელიც გამოიცა 1793 წელს. გამომცემლებს რატომღაც ამოუკლიათ წიგნისაგან პირველი რვეული - 14 გვერდი, ხოლო თავფურცელი იე (15) კოლონციფრით დაუნომრავთ. ვარაუდის სისწორეში დამაეჭვებელი მხოლოდ ისაა, რომ დასახელებულ წიგნში ძირითადი ტექსტი დაბეჭდილია ერთ გვერდზე 25 სტრიქონით, ტექსტის ანაწყობი ზომით (12X7) სმ. ჩუბინაშვილისეულ ცალში კი ერთ გვერდზე 24 სტრიქონზეა, ხოლო ანაწყობი ზომით (11,5X7). ამიტომ ჩნდება მეორე დაშვებაც: ხომ არაა ეს რვეული დასაწყისი 1763 წელს ერეკლეს სტამბაში დაბეჭდილი „ლოცვანისა“, რომელსაც მხოლოდ ქრისტეფორე რაჭველიშვილი ასახელებს თავის წიგნში, მაგრამ ბიბლიოგრაფებს ვერსად უნახავთ და შესაბამისად, არცაა აღწერილი.

ქმნვე საზოგადოების ეროვნული საარქივო ფონდისათვის უძვირფასესი განძი გახდა დავით ჩუბინაშვილის პირადი ბიბლიოთეკა, რომელიც პეტერბურგში გარდაცვლილი მეცნიერის მემკვიდრეებმა, მისი ანდერძის თანახმად, შესწირეს ეროვნულ ფონდს. დავით ჩუბინაშვილის ანდერძი და გარდაცვლილის მემკვიდრეთა შესაბამისი გადანყვეტილება, „ივერიამ“ დაუფარავი სიხარულით ამცნო მკითხველებს 1891 წლის 10 სექტემბერს. სულ რაღაც 4 დღეში ისევ „ივერიამ“ აუწყა ხალხს ქმნვე საზოგადოების განზრახვა: ჩუბინაშვილისეული კოლექციის განსაკუთრებული მნიშვნელობიდან გამომდინარე, სპეციალური, ცეცხლგამძლე შენობა აეგო ბიბლიოთეკისათვის. ჩვენ შევეცდებით, გაგაცნოთ ეს კოლექცია და წარმოვაჩინოთ, თუ რით იყო იგი ესოდენ ძვირფასი.

დავით ჩუბინაშვილის ბიბლიოთეკის კატალოგი, შედგენილი ალექსანდრე ცაგარელის მიერ, დაბეჭდილია მის 1894 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში. ამ კოლექციის აღწერილობა, ხელნაწერის სახით,




დაცულია ეროვნულ არქივში. ხოლო ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში არის შემონახული ქმნვე საზოგადოების ფონდის როგორც ქართულ, ისე უცხოურ წიგნთა საინვენტარო დავთრები (არასრული სახით). ჩუბინაშვილის პირადი კოლექცია მათშიცაა ასახული: ქართულ ფონდში, საინვენტარო ნომრებით: 3624-3732 ხელნაწერებია; 3733-3859 კი ბეჭდური წიგნები. უცხოურ ინვენტარში ჩუბინაშვილის კოლექციისაა NN 213, 778-797, 903-938 და 1621. უნდა ითქვას, რომ ორენოვანი თავფურცლის მქონე 10-ზე მეტი გამოცემა რეგისტრირებული აღმოჩნდა ჯერ ქართულ წიგნთა ინვენტარში და შემდეგ გადატანილი უცხოურში. აქ წარმოვაჩინოთ მათ ძველსა და ახალ ნომრებს: N 226 = N 786; N 234 = N 797; N 253 = N 788; N 255 = N 792; N 256 = N 791; N 257 = N 796; N 258 = N 795; N 259 = N 790; N 260 = N 794; N 261 = N 787/1, N 262 = N 787/2; N 264 = N 789; N 265 = N 793.

როგორც ცნობილია, არაა შენარჩუნებული ყოფილი ქმნვე საზოგადოების ფონდის ერთიანობა. მისი ხელნაწერები ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრშია დაუნჯებული S კოლექციის სახით. გამოცემულია აღწერილობათა შვიდტომეული. მის V ტომში აისახა დავით ჩუბინაშვილისეული ხელნაწერების უძვირფასესი ფონდი. აღსანიშნავია, რომ ეროვნულ ბიბლიოთეკაში განხორციელდა ქმნვე საზოგადოების ფონდისა და მასში შემავალი პირადი კოლექციების აღდგენა. სამუხაზროდ, გამოვლინდა, რომ დროთა განმავლობაში აღნიშნულ ფონდს შესამჩნევი დანაკლისი განუცდია. ჩანს ეროვნულ ბიბლიოთეკამდე არც მოუღწევია გამოცემათა ნაწილს, ნაწილი მერე დაკარგულა ან ეგზემპლარი არ იძებნება ძველი ყდების დაზიანებისა და ახლით შეცვლის მიზეზით, რადგან მათზე აღარ არსებობს ქმნვე საზოგადოებისეული ამოსაცნობი ნიშნები. იგივე ბედი გაიზიარა ჩუბინაშვილისეულმა კოლექციამ. ეს მით უფრო სამუხა-


როა, რომ დაკარგულა ისეთი იშვიათ გამოცემებიც, რომლის სხვა ცალიც ეროვნულ ბიბლიოთეკას არც გააჩნია.

ჩუბინაშვილის კოლექციის ქართულ გამოცემათა ფონდს აკლია 20 დასახელების 24 ერთეული. მათგან 3 ძველნაბეჭდი და იშვიათი გამოცემაა. ესენია: N 3751 - საქმე მოციქულთა, ვახტანგის VI-ის პირველი ქართული სტამბის პირველივე, 1709 წლის, გამოცემა; N 3762 ა(1) ცალი, ესეც ვახტანგის VI-ის სტამბის წიგნი, „ლოცვანი“ 1717 წლის, რომელიც თავიდან შეცდომით ჩაუნერიათ „ჟამნად“. თუმცა მერე შეუნიშნავთ და სათანადო შენიშვნაც მიუწერიათ; ერთი წიგნიც, N3777, ერეკლე II-ის სტამბისა იყო მარხვანი, ტრიოდირი დაბეჭდილი 1793 წელს. უცხოური ვერმოძიებული წიგნებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია N 794, ოსური კონდაკი - Хуцай богтыл. на осетинскомъ языке, Владикавказь, 1878. მისი სხვა ცალი ბიბლიოთეკაში არაა; N 787/ა და N 787/ბ: Исторія Георгіанская обь юношъ князь Амилахваровъ съ краткимъ прибавленіемъ тамошней земли отъ начала до нынѣшняго вѣка, котораго разсказываетъ Анатолийскій купецъ Усимв. Переводъ на русскій, напеч. Въ СПб. Въ 1779 г. На 10й стр. имѣется портретъ Ал. Амилахварова съ подписью: »князь Амилахваровъ родился въ 1750 г. 20 октября. ესენია ერეკლე მეფის საგმობი აკრძალული გამოცემის 2 ეგზემპლარი. წიგნის ავტორი, ერეკლე II-ის წინააღმდეგ აჯანყების მზადებაში მონაწილეობის გამო, მკაცრად იყო დასჯილი. მას მეფის ბრძანებით, ცხვირი მოკვეთეს და ფეხის მყესიც გადაუჭრეს. როცა ერეკლემ ამ წიგნის დაბეჭდვის შესახებ შეიტყო, რუსეთის იმპერატრიცას მისწერა ამილახვარის მემამბოხეობისა და დასჯილობის შესახებ და გამოცემის აკრძალვა მოითხოვა. მისი თხოვნა შესრულდა.

დავით ჩუბინაშვილის ბიბლიოთეკა ქართული



მარხვანი. 1741. მოსკოვი. ბაქარის სტამბა.
დავით ბატონიშვილის წიგნი



სამოციქულო. 1765. მოსკოვი.
ათანასე ამილახვრის სტამბა.
რიფსიმე ბატონიშვილის



ძველნაბეჭდი და იშვიათი გამოცემების ყველაზე სრულყოფილი კოლექციაა. ესაა მისი უმთავრესი ღირსებაც და ფასეულობაც. უმისოდ ბევრი მნიშვნელოვანი გამოცემა დააკლდებოდა ეროვნულ საარქივო ფონდს, რადგან ბევრი მათგანი მხოლოდ ამ კოლექციაშია შემორჩენილი ერთადერთ ცალად.

გასაკვირი არა, მაგრამ საამაყოა, რომ ქართველი ლექსიკოგრაფის, დავით ჩუბინაშვილის ფონდში გვხვდება ქართულ-იტალიური ლექსიკონიც, 1629 წელს დაბეჭდილი რომში, კათოლიკობის გამავრცელებელი საზოგადოების სტამბაში. ეს ქართული შრიფტით დაბეჭდილი უპირველესი გამოცემა, ქართული წიგნბეჭდვის ისტორიას არა, მაგრამ ქართული წიგნის ისტორიას კი იწყებს. ჩუბინაშვილის კოლექციას ამშვენებს პირველი ქართული ბეჭდური გრამატიკის მეორე გამოცემაც, რომში დაბეჭდილი 1670 წელს. ორივე დასახელებული გამოცემა ბიბლიოგრაფიული იშვიათობაა, შემორჩენილი ერთეული ეგზემპლარების სახით. ამ ფონდის იტალიური გამოცემებიდან აღსანიშნავია ასევე 1798 წლის „საქრისტიანო მოძღვრება“.

ჩუბინაშვილის კოლექციის ღირსებაა ვახტანგისეული, პირველი ქართული სტამბის (1709-1722) წიგნთა სიუხვეც. აქაა პირველზე გამოცემა, 1709 წლის „სახარება“. მინაწეთა თანახმად, იგი გიორგი მეფის რძალსა და დავით ბატონიშვილის მეუღლეს, ელენეს, ეკუთვნოდა. წიგნი ჩუბინაშვილს შეუსყიდია პეტერბურგში, მფლობელის გარდაცვალების შემდეგ. აქვეა შოთა რუსთაველის პირველნაბეჭდი „ვეფხისტყაოსანი“, 1712 წელს გამოცემული პირველ ქართულ სტამბაში. ესაა ქართველ მესტამბეთა პირველი დამოუკიდებელი ნაშრომი; პირველნაბეჭდი ქართული მხატვრული ლიტერატურა და პირველი სამეცნიერო, რუსთველოლოგიური გამოცემაც, რადგან პოემის ტექსტი დაბეჭდილია ვახტანგისეული განმარტებებითა და შენიშვნებით. გამოცემა ოციოდე არასრულ ეგზემპლარადაა შემორჩენილი. ჩუბინაშვილის კოლექციის ეს ცალი მანამდე ეკუთვნოდა მხატვარ-კალიგრაფთა ცნობილი ქართული გვარის წარმომადგენელს, დავით რექტორს, ალექსი-მესხიშვილს. წიგნის ხარვეზები შევსებულია მისი ლამაზი ხელწერით. აქ აღდგენილია როგორც ტექსტი და თავფურცელი, ისე ვახტანგის VI-ის პორტრეტი და მხატვრული სამკაულები. წიგნი გამორჩეულია მინაწერებითაც; შეიცავს გამოცემის ბეჭდვისას გამორჩენილ ოთხ რუსთველისეულ სტროფს, რომელიც აკაკი შანიძემ შეიტანა მის მიერ აღდგენილ „ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეულ გამოცემაში. ამ კოლექციაშია ვახტანგის სტამბის კიდევ ერთი იშვიათი საერო გამოცემა, 1721 წელს დაბეჭდილი „აიათი“ - ასტროლოგიური წიგნი, რომელიც სპარსეთში, შაჰის ტყვეობაში მყოფმა ვახტანგმა თარგმნა სპარსულიდან. ეს

გამოცემაც ბიბლიოგრაფიული იშვიათობაა. ჩუბინაშვილისეული ეგზემპლარი უნიკალურია, რადგან მასში შეუვსებლადაა დარჩენილი ნახაზებისათვის განკუთვნილი ადგილები. ცხადი ხდება, რომ ვახტანგის სტამბას არ შეეძლო ნახაზების ბეჭდვა და სხვა ცალებში ისინი ხელითაა ჩახაზული. კოლექციაში გამოირჩევა ვახტანგის სტამბის კიდევ ერთი გამოცემა, ეროვნული ბიბლიოთეკის ერთადერთი ეგზემპლარი სულ სამიოდე ცნობილი ცალიდან. მას არ აქვს თავფურცელი, ბეჭდვა დაუსრულებელია, შეწყვეტილი. შინაარსის მიხედვით, ესაა „წიგნი წინასწარმეტყველთა და სახარება“. საწინასწარმეტყველოს ბოლოს დაბეჭდილ ჩამონათვალში ასახულია თუ „ახალი აღთქმის“ რა წიგნები უნდა შესულიყო გამოცემაში. ცხადია, ამ „ბიბლიის“ გამოცემა დანყებულ-დაუმთავრებელი დარჩენიათ. უცნობია, როდის შეწყდა მისი ბეჭდვა, 1722 წელს, როცა თურქმა დამპყრობლებმა გაანადგურეს თბილისი და ვახტანგის სტამბაც, თუ მანამდე გაჩერეს ეს საქმე წიგნის ანონიმი რედაქტორის, სულხან-საბა ორბელიანის, კათოლიკობაში ბრალდებით.

დავით ჩუბინაშვილის კოლექციას ამშვენებს პირველნაბეჭდი სრული ქართული ბიბლიაც; პირველნაბეჭდი ქართულ ფოლიანტი. რომელსაც „დაბადება“ უწოდეს გამოცემლებმა. იგი დაიბეჭდა 1743 წელს მოსკოვში, იოსებ სამეხელის სტამბაში. მის გამოცემაში ვახტანგ VI-ის მემკვიდრის, ბაქარის, უდიდესი წვლილის გამო, წიგნს „ბაქარის ბიბლიასაც“ უწოდებენ. მინაწერის თანახმად, დავითის კოლექციაში მოხვედრამდე, წიგნი ეკუთვნოდა პლატონ იოსელიანის ბიძას, ზაქარიას. კოლექციის ასევე საყურადღებო ეგზემპლარებია „სამოციქულო“, 1765 წელს დაბეჭდილი მოსკოვში, ათანასე ამილახვრის სტამბაში. იგი შეიცავს მრავალ და მნიშვნელოვან მინაწერს, როგორც მისი შვილების, ისე ბატონიშვილთა შესახებ. აქვეა ჩანერილი ქართული წიგნბეჭდვის ისტორიისა და მოსკოვის ქართული სტამბის მუშაკთა ღვანლის ამსახავი ვრცელი და საყურადღებო გამოუქვეყნებელი ლექსიც. ათანასე ამილახვრის სტამბაშივეა 800 ეგზემპლარად 1768 წელს დაბეჭდილი „ლოცვანი“. რიფსიმე ბატონიშვილისეული ეს ეგზემპლარი სრული, კარგად დაცული ცალია, მდიდრული, ტვიფრულ-მოოქრული ტყავის წითელი ყდით. იგი შეიცავს მრავალ, მნიშვნელოვან მინაწერს.

დავით ჩუბინაშვილის კოლექციაში ვხვდებით ასევე თითქმის ყველა ძველი ქართული სტამბის იშვიათ გამოცემებს. მათი რიცხვი საკმაოა, ხოლო მნიშვნელობა - განუზომელი ქართული საარქივო ფონდისათვის. აქ არ შევუდგებით მათ ჩამოთვლას.

დავით ჩუბინაშვილის კოლექციის ეს გამორჩეულობა, ძველნაბეჭდი და იშვიათი ქართული წიგნებითა და ასევე ძვირფასი ქართული ხელწერების სიუხვით, განპირობებული იყო მასში შე-



დავით ჩუბინაშვილი

მავალი ფონდებით. ესაა დავითის აღმზრდელი ბიძის, ნიკო ჩუბინაშვილის, მდიდარი ბიბლიოთეკა და ქართული სამეფო ოჯახის წევრთა წიგნები, უმეტესად ერეკლე II-ისა და გიორგი XII-ის შვილების ბიბლიოთეკებიდან. ამ კოლექციის წიგნებში უხვადაა ქართულ სამეფო ოჯახის გამოჩენილ წევრთა ავტოგრაფი. აქვეა

რუსეთში გადასახლებულ, პეტერბურგსა და მოსკოვში, გაბნეულ ბატონიშვილთა ურთიერთობების ამსახავი მინაწერებიც. მღელვარე განცდებია ჩატეული მათში. ნათლად ჩანს, როგორ იზიარებენ ერთმანეთის ავ-კარგს; რა ზრუნვითა და სიყვარულითა უგზავნიდნენ ერთმანეთს ახალგამოსულ წიგნებს. ამ ურთიერთობების გარდა, კოლექცია კარგად ავლენს ქართული არისტოკრატიის დამოკიდებულებას განათლებისადმი. თვალსაჩინო ხდება, რა სახის ლიტერატურით საზრდოობდნენ ისინი სულიერად; როგორ უწყობდნენ ხელს წიგნიერების გავრცელებას; რა შეკვეთებს აძლევდნენ, რის დაბეჭდვას სთხოვდნენ რუსეთში მოქმედ ქართულ სტამბებს; რის თარგმნას ავალებდნენ მთარგმნელებს. ბატონიშვილთა შეკვეთებით შესრულებული წიგნები მერე მრავლდებოდა ხელნაწერთა სახით და ზოგი გამოიცა კიდევ, როგორც საქართველოში, ისე რუსეთში. აქ უნდა ვახსენოთ რუსეთში გადასახლებულ მუხრანბატონთა შტოს წარმომადგენელი, ქაიხოსრო მეფის ასული ანა, ჯერ კიდევ სტუდენტ გაიოზს – შემდგომში რექტორს, რომ დაავალა ზნეთსასწავლებელი წიგნის „კიტაიის სიბრძნის“ თარგმნა. გაიოზმა შეკვეთა შეასრულა 1777 წელს. წიგნი 1784 წელს გამოიცა ერეკლე მეფის სტამბაში.

დავით ჩუბინაშვილის ფონდში სამეფო ოჯახი წევრთა არაერთი ავტოგრაფული ხელნაწერიცაა. აქედან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თეიმურაზ ბატონიშვილის ნუსხები; გვხვდება თვით თეიმურაზ პირველის ხელნაწერი წიგნიც. დავით ჩუბინაშვილის კოლექციიდან აქვე წარმოვაჩინოთ ვახუშტი ბატონიშვილის უმნიშვნელოვანეს რუკებს დავით ჩუბინაშვილის შესრულებულს: N 254. 3703 Карты Грузии, копии съ атласа Дюбуа и географии Вахуштия, подь N N 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14 и 11 отдѣльных картъ разныхъ частей Азии. Подь N 14 имѣется слѣдующая записъ: „დავხატე დავით ჩუბი-

ნოვმა“. дл. 7 ¾ вершн., ширин. 5 вершковъ. კოლექციას ავსებს ასევე ფარნაოზ, ბაგრატ, დავით, ლეონ და განსაკუთრებით, რიფსიმე ბატონიშვილის მრავალმხრივ საყურადღებო წიგნები. აქ ვერ დავასახელებთ ყოველ მათგანს. თუმცა აღვნიშნავთ, რომ მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანია ქართველი სწავლულის, თეიმურაზ ბატონიშვილისეული ცალები: ავტოგრაფული ხელნაწერები; მისი შეკვეთით დაწერილ-გადაწერილი წიგნები და რჩეული გამოცემების ეგზემპლარები. თეიმურაზ ბატონიშვილისეული წიგნების სიუხვე ჩუბინაშვილის კოლექციაში მით უფრო შესამჩნევი და ფასეულია, რომ თვით ბიბლიოთეკა გადაეცა პეტერბურგის სააზიო მუზეუმს. თეიმურაზ ბატონიშვილის ამ წიგნსაცავის კატალოგი 1948 წელს გამოსცა ს. იორდანიშვილმა თავისი წინასიტყვაობითა და შენიშვნებით.

აი, ასეთი აღმოჩნდა დავით ჩუბინაშვილის პირადი კოლექცია ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ფონდში. ის შევსებულია საზოგადოებისადმი სიცოცხლისდროინდელი შეწირულობითა და მისი ნაანდერძევი ბიბლიოთეკის თავმოყრით. გამოვლინდა, რომ დავით ჩუბინაშვილის ბიბლიოთეკა წარმოადგენს ქართული ეროვნული საარქივო ფონდის უმნიშვნელოვანეს და უძვირფასეს ნაწილს, როგორც მისი მრავალრიცხოვნებით, ისე მნიშვნელობითაც; რომ ისაა ძველნაბეჭდი და იშვიათი ქართული გამოცემების ყველაზე სრული კოლექცია; თავის თავში მომცველი ნიკო ჩუბინაშვილის ბიბლიოთეკისა და ქართულ სამეფო ოჯახის წევრთა წიგნებით; შევსებულია მრავალმხრივ ფასეული ხელნაწერებით, მათ შორის მეფეთა და ბატონიშვილთა, სხვა გამოჩენილ მოღვაწეთა ავტოგრაფული წიგნებით. ბუნებრივია, ყოველივე ეს გამორჩეულ ღირებულებას სძენენ დავით ჩუბინაშვილის კოლექციის ისედაც მდიდარ და ძვირფას ფონდს.

გამოყენებული ლიტერატურა

დავით ჩუბინაშვილის კოლექციის ეგზემპლარები. „ქმნვე საზოგადოებისადმი სხვადასხვა პირებისა და დაწესებულებათაგან შემოწირული და გადმოცემული სამუზეუმო ექსპონატების ჩასაწერი დავთრის (1885-1913 წწ. 97 (N 6853))“.

ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. ყოფილი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების (S) კოლექცია. ტ. 5. თბილისი : მეცნიერება, 1967.

ქრისტეფორე, რაჭველიშვილი. ქართული სტამბის წიგნი, სტატისტიკურ-ისტორიული ნარკვევი. ტფილისი. სახელგამი, 1934.

Сведения о памятниках грузинской письменности, Т. I. Вып. 3. Пбг. 1894.

იაკობ გოგებაშვილის

პირადი ბიბლიოთეკა

შემდგომ გააძნელა ი. გოგებაშვილის ბიბლიოთეკის ეგზემპლარების იდენტიფიცირება.



მაია მიქაბერიძე

საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში დაცულია დიდი ქართველი პედაგოგის, მწერლის, მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის, იაკობ გოგებაშვილის პირადი ბიბლიოთეკის კოლექცია. თუ რა დამოკიდებულება ჰქონდა იაკობ გოგებაშვილს წიგნებისადმი, საინტერესო მოგონება აქვს შიო მღვიმელს. იგი წერს:

იაკობ გოგებაშვილი ყოველ ახალ გამოსულ წიგნს უჭყველად იძენდა იმ მიზნით, რომ, ჯერ ერთი, წაეკითხა და მერე, გაეგო, სასარგებლო იყო თუ მავნებელი საზოგადოებისათვის ესა თუ ის წიგნი. წიგნს მყიდველ-წამკითხველი უნდა ჰყავდესო, თორემ წიგნი უამისოდ საზოგადოებას ვერ გაეცნობაო” [5].

ი. გოგებაშვილის პირადი ბიბლიოთეკის მოცულობის შესახებ სხვადასხვაგვარი ინფორმაცია არსებობს. მწერლის გაზრდილი ქრისტიანე ბიბლიური - კასრაძის ბავშვობისდროინდელ მოგონებებში ვკითხულობთ: „სასადილოდან ერთი კარით შეხვიდოდით ძიას ბიბლიოთეკაში. აქ სამ-წყებად იყო წიგნებით სავსე კარადები. თუ არ ვცდები, 8-9 კარადა იქნებოდა” [1]. ეს ცნობა კარადების რაოდენობაზე არ ემთხვევა დავით კასრაძის მოგონებებს, სადაც საუბარია ოთხ კარადაზე. „კლასიფიკაციის მიხედვით თითოეულ წიგნის კარადას თავისი დანიშნულება ჰქონდა. ყველაზე ხშირად იღებოდა საპედაგოგო ჟურნალ-გაზეთებისა და წიგნების კარადა. რაც კი რამ ახალი ითქმოდა რუსეთში პედაგოგიკის სფეროში, სულ აქ შეგედლოთ გენახათ“-წერს დ. კასრაძე და ოთხივე კარადის შემადგენლობაზე დანვრილებით საუბრობს [4].

როგორც ცნობილია, იაკობ გოგებაშვილმა თავისი ბიბლიოთეკა ქშნკვ საზოგადოებას უანდერძა. მისი ანდერძის ტექსტი, რომელიც შედგენილია 1912 წლის 2 მაისს, არის ბიბლიოთეკის შესახებ ოფიციალური ხასიათის ერთადერთი დოკუმენტი [3]. თუმცა ანდერძს არ ახლავს გადაცემული წიგნებისა და პერიოდული გამოცემების სია, რამაც

ქშნკვ საზოგადოებამ არსებობა შეწყვიტა 1927 წელს. 10 წლის განმავლობაში მისი წიგნსაცავ-მუზეუმი, რომელშიც შედიოდა იაკობის მიერ საზოგადოებისათვის გადაცემული წიგნებიც, ინახებოდა ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ხოლო 1937 წელს მისი ბეჭდური ნაწილი გადაეცა საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკას (მაშინ კ. მარქსის სახ. სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკა).

საჯარო ბიბლიოთეკაში თავდაპირველად არასწორი ნაბიჯები გადაიდგა ამ კოლექციასთან მიმართებაში. იმის ნაცვლად, რომ შეენარჩუნებინათ წიგნსაცავის მთლიანობა, ბეჭდური ერთეულები გადაანაწილეს სხვადასხვა ფონდში. სხვებთან





ერთად ასე დაიშალა იაკობ გოგებაშვილის პირადი ბიბლიოთეკის კოლექციაც, რომელიც მან უანდერდა ქშნვკ საზოგადოებას. დროთა განმავლობაში ბიბლიოთეკამ სცადა შეცდომის გამოსწორება, მაგრამ ეს რთული საქმე იყო და დიდი ძალისხმევის შედეგად მხოლოდ ილია ჭავჭავაძის კოლექციის აღდგენა მოხერხდა, ისიც არასრულად. ვითარება მნიშვნელოვნად შეიცვალა 1999 წლიდან, როდესაც შემუშავდა წერა-კითხვის წიგნსაცავის ფონდის სრულად აღდგენის პროექტი (პროექტის ხელმძღვანელი: ლევან თაქთაქიშვილი).

საინვენტარო წიგნებსა და, ასევე, სხვადასხვა მონაცემებზე დაყრდნობით აღდგა ქშნვკ საზოგადოების წიგნთსაცავის ძველი ნომრები, რომლებსაც შენახვის შიფრის ფუნქცია დაეკისრა. მათგან ცალკე აღინუსხა ოთხი კერძო კოლექცია: ილია ჭავჭავაძის, დიმიტრი ბაქრაძის, დავით ჩუბინაშვილისა და იაკობ გოგებაშვილის პირადი ბიბლიოთეკები. იაკობ გოგებაშვილის პირადი ბიბლიოთეკის კოლექცია დღეს ინახება ეროვნული ბიბლიოთეკის დედაენის დარბაზში.

ი. გოგებაშვილის პირადი ბიბლიოთეკის კოლექციის გამოყოფისას მთავარი წყარო, როგორც აღინიშნა, იყო წერა-კითხვის საზოგადოების საინვენტარო წიგნები, რომლებზეც მითითებულია წიგნების შემომწირველთა გვარები. მაგრამ, სამწუხაროდ, ასეთი მინიშნება ყველა ჩანაწერს არ ახლავს, რამაც გააძნელა ი. გოგებაშვილის მიერ წიგნსაცავისათვის გადაცემული წიგნებისა და ჟურნალ-გაზეთების ეგზემპლარების მოძიება. თუმცა აქაც მონახა გამოსავალი და ეს გამოსავალი ისევ და ისევ საინვენტარო ნომრები აღმოჩნდა.

აღსანიშნავია, რომ კოლექციის აღდგენა, ერთგვარად, შემოქმედებითი პროცესიცაა. პროფესიონალიზმთან ერთად ბევრი რამ დამოკიდებულია ალღოსა და ლოგიკურ აზროვნებაზე. ლევან თაქთაქიშვილმა შეისწავლა საინვენტარო წიგნებში ერთეულების აღნუსხვის ფორმები და თანმიმდევრობა და გარკვეული კანონზომიერებაც შეამჩნია, რითაც მან შეძლო ანონიმი შემომწირველების დიდი ნაწილის ვინაობის დადგენა. ასე მოხდა იაკობ გოგებაშვილის კუთვნილი წიგნების შემთხვევაშიც. ლ. თაქთაქიშვილმა შეადგინა საინვენტარო ნომრების სავარაუდო საზღვრები, რომელთა შორის მოქცეულ არეალში სწორედ იაკობის კუთვნილი წიგნები უნდა ყოფილიყო აღნუსხული. მართლაც, ამ სქემით შემონმდა წიგნები უშუალოდ, მათი შენახვის ადგილზე და გამოირჩა ი. გოგებაშვილის ეგზემპლარების დიდი ნაწილი, რომლებსაც ახლდა იაკობის ავტოგრაფი ან მისთვის ნაჩუქარი წიგნების ავტორთა მიძღვნილი წარწერები.

დღეისათვის იაკობ გოგებაშვილის პირადი ბიბლიოთეკის კოლექციის მოცულობა ბევრად შემცირებულია მისი ნათესავების მოგონებებში აღწერილ ბიბლიოთეკასთან შედარებით. ამას თავისი ლოგიკური ახსნა აქვს. დავით კასრაძე თავის

მოგონებაში მიუთითებს, რომ წიგნების ნაწილი, ქშნვკ საზოგადოების გარდა, იაკობმა უსახსოვრა თავის ნათესავებსა და ნაცნობ-მეგობრებს. როგორც ჩანს, ეს უნდა ყოფილიყო ძირითადად მხატვრული ლიტერატურა და მისივე სახელმძღვანელოები, რითაც აიხსნება კიდევ მათი სიმცირე ბიბლიოთეკის კოლექციაში.

დღეისათვის იაკობ გოგებაშვილის პირადი ბიბლიოთეკის შემადგენლობა ასეთია: წიგნების უმრავლესობა პედაგოგიურ ხასიათის ლიტერატურაა. თვით იაკობის სახელმძღვანელოებიდან დარჩენილია ათი ეგზემპლარი. ესენია: „დედა ენის“ მე-5 (1886წ.) და მე-6 (1888წ.) გამოცემები, 30-ე (1910წ.) და 33-ე გამოცემების (1910წ.) პირველი ნაწილები, მე-8 გამოცემა წიგნისა „ქართული ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, სახლობაში სახმარებელი“ (1877წ.), „კონა პირველ-დანყებითი მოთხრობებისა ბუნების მეცნიერებიდან“, მე-5 გამოცემა (1900წ.), „ბუნების კარი ანუ ყრმათათვის საკითხავი წიგნი“, მე-16 გამოცემა (1907წ.) და „დედანი ქართული წერისა“ (1884წ.).

დედანი ქართული წერისა” მხოლოდ ერთხელ, 1884 წელს გამოიცა. იაკობი წერდა: „რიგი ასოებისა, მიღებული დედანში, ემორჩილება იმ წესსა, რომელზედ არიან ასოები დაწყობილნი ჩვენს დედა-ენაში. ამ სახით „დედა-ენა“ და „დედანი“ ერთიმეორის შემდეგ უნდა იხმარებოდნენ“ [2]. მიუხედავად ასეთი მნიშვნელობისა, ავტორმა „დედანი“ მეტჯერ აღარ გამოსცა იმ მიზეზით, რომ გამოცემის სიძვირე გასაყიდ ფასსაც აძვირებდა და ათანაბრებდა „დედაენის“ ფასთან (1884 წელს „დედაენაც“ და „დედანი“ ღირდა 30-30 კაპიკი). მომდევნო წლებში მან „დედანი“ შემცირებული სახით შეიტანა „დედაენის“ გამოცემებში და ასე ააცილა ზედმეტი ხარჯი თავის ღარიბ თანამემამულეებს. „დედანი ქართული წერისა“ დღეს ბიბლიოგრაფიული იშვიათობად არის ქცეული.

როგორც ცნობილია, ი. გოგებაშვილი გამუდმებით მუშაობდა „დედაენისა“ და სხვა სახელმძღვანელოების გაუმჯობესებასა და დახვეწაზე, ამიტომ ყოველი ახალი გამოცემა ზუსტად არ იმეორებდა ძველს. კოლექციიდან ასეთი რედაქტირების კვალი ჩანს „დედაენის“ მეხუთე გამოცემაზე (FS 5.803/0).

ი. გოგებაშვილის შენიშვნები ძირითადად არის ტექსტის გვერდებზე ფანქრით მიწერილი პლუსები, კითხვის ნიშნები, გადაჯვარედინებული ან ვერტიკალური ხაზები. უნდა ითქვას, რომ იაკობს არ სჩვეოდა წიგნების ზედმეტად გადახაზვა და დაზიანება. ცოტა გვხვდება მარგინალიები. მხოლოდ ერთადერთი წიგნი არის ი. გოგებაშვილის ბიბლიოთეკაში, რომელიც ავტორმა „უმონყალოდ“ გადახაზა და შენიშვნებიც უხვად დააწერა. ეს არის 1877 წელს გამოცემული „ქართული ანბანი და პირველი

საკითხავი წიგნი, სახლობაში სახმარებელი”, მე-8 ვრცელი და შევსებული გამოცემა. ეს წიგნი იმითაა საინტერესო, რომ ავტორმა მისგან ახალი სახელმძღვანელოს გაკეთება სცადა და ეს ეგზემპლარი (FS 5807/0) გამოიყენა, ასე ვთქვათ, სამუშაო პოლიგონად. მასზე არის უამრავი შესწორება დატანილი. ფანქრით გადახაზულია როგორც სათაურების ერთი ნაწილი, ასევე შეცვლილია ცალკეული სიტყვა ტექსტიდან ან მთლიანად ტექსტი. შეცვლილია წიგნის სათაურიც. მე-8 გამოცემის სახელწოდების („ქართული ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, სახლობაში სახმარებელი“) ნაცვლად ავტორის მიერ მიწერილია ახალი სახელწოდება - „კოკორი ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, სახლობაში სახმარებელი“. 1885 წელს გამოვიდა ამ სახელმძღვანელოს მე-9 გამოცემა, რომელსაც ეწოდა „კოკორი“. იგი რამდენიმე წლის განმავლობაში გამოდიოდა „დედაენის“ პარალელურად.

ი. გოგებაშვილის აზრით, დედა ენიდან ბუნების კარზე გადასვლამდე საჭირო იყო რაღაც შუალედური სახელმძღვანელოს შედგენა, რომლიდანაც ბავშვებს აღარ გაუჭირდებოდათ „ბუნების კარის“ ათვისება. „კოკორის“ შესახებ იაკობი წერდა - „კო-



დედანი ქართული წერისა

კორი” წარმოადგენს შემოკლებულს „დედა ენასა“, რადგან მასში მოქცეულია საუკეთესო ლექსები და მოთხრობები. გარდა ამისა, „კოკორში“ მოვათავსე იმისთანა საგულისხმიერო რამეები, რომელიც არ მოხერხდა „დედა ენაში“ [3].

იაკობ გოგებაშვილის ბიბლიოთეკა საშუალებას იძლევა, შევიხედოთ დიდი მეცნიერის სამუშაო ლაბორატორიაში და ამ რაკურსიდანაც დავინახოთ, თუ რა დიდი შრომა უძღოდა წინ უკვდავი „დედაენის“ შექმნას.

მის ბიბლიოთეკაში პედაგოგიურ წიგნებს შორის ქარბობს არა თვით ი. გოგებაშვილის, არამედ

სხვა ავტორთა, უმეტესად კი რუს პედაგოგთა მიერ შედგენილი სახელმძღვანელოები. კოლექციაში ინახება კონსტანტინე უშინსკის, ლევ ტოლსტოის, ალექსეი ბარანოვის, მიხეილ ვოლპერის, ალექსანდრე რადონეჟსკისა და სხვათა სასწავლო წიგნები. იაკობი აანალიზებდა რუსულ სახელმძღვანელოებს და მათ ნაკლსა თუ დადებით მხარეებს ითვალისწინებდა საკუთარ სახელმძღვანელოთა შედგენის დროს. „დედაენისა“ და „Русское право-ს“ ავტორის ინტერესისა და შესწავლის ობიექტი ერთნაირად იყო რუსული ენის სახელმძღვანელოები როგორც რუსული სკოლებისათვის, ასევე ის წიგნებიც, რომლებიც განკუთვნილი იყო არარუსულენოვანი ბავშვებისათვის. ასეთია, მაგალითად ლ. აღნიაშვილის წიგნი „Первый шаг в изучении русского языка для начальных грузинских школ“. 1883წ. (TS 6.115/0), ივანე როსტომაშვილის „Русская речь и первая книга чтения с азбукою для грузин“. 1886 (TS 6.177/0), ფილიპე ლევიტსკის „Курс русского языка для начальных училищ Закавказья“ (TS 6.158/10) და სხვები. თითქმის ყველა მათგანზე ჩანს იაკობის მუშაობის კვალი.

ი. გოგებაშვილის ინტერესები ქართული ენის გარდა სხვა სფეროებსაც მოიცავს. მისი კოლექციის შემადგენლობაში შედის მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერების სხვა სასკოლო სახელმძღვანელოებიც, რომლებიც იმ პერიოდში გამოიყენებოდა. წიგნების ერთი ნაწილი საქართველოს ისტორიას ეხება.


მკვლევარისათვის სახელმძღვანელოების შედგენაზე არანაკლები მნიშვნელობა ჰქონდა განათლების სისტემას. იგი, როგორც პროფესიონალი, ჩართული იყო სწავლა-აღზრდის პროცესის გაუმჯობესებისათვის ბრძოლაში და შესაბამისად, ამ თემატიკის წიგნებს მნიშვნელოვანი ადგილი უკავიათ მკვლევარის ბიბლიოთეკაში.

ი. გოგებაშვილი წლების განმავლობაში აქტიურად თანამშრომლობდა ჟურნალ „განათლებასთან“, რომელიც იმ პერიოდში ერთადერთი სამეცნიერო-პედაგოგიური პროფილის ქართული პერიოდული გამოცემა იყო. მის ბიბლიოთეკაში ინახება ამ ჟურნალის სხვადასხვა წლის ნომრები, აქედან რამდენიმეს ახლავს მისი გამომცემლ-რედაქტორის, ლუარსაბ ბოცვაძის მიძღვნილი ხასიათის წარწერა.

კოლექციაში დიდი რაოდენობითაა დაცული ავტოგრაფიანი წიგნები. მწერლები, მეცნიერები და, ზოგადად, ქართული კულტურის მოღვაწეები (გაბრიელ ქიქოძე, კალისტრატე ცინცაძე, მოსე ჯანაშვილი, შალვა ამირანაშვილი, ზაქარია ჭიჭინაძე და სხვები) პატივად თვლიდნენ, თავიანთი წიგნები შესაბამისი წარწერებით ესახსოვრათ ი. გოგებაშვილისათვის. ყველა ნაჩუქარ წიგნს, როგორც ჩანს, მიძღვნილი წარწერა არ ჰქონდა. ასეთია, მაგალი-



თად, მიხეილ თამარაშვილის ნაშრომი „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის“, რომელიც 1902 წელს გამოიცა თბილისში. ი. გოგებაშვილისთვის იმდენად მნიშვნელოვანი ყოფილა ეს საჩუქარი, რომ თვითონვე გაუკეთებია წარწერა: „მივიღე საჩუქრად თვით ავტორისაგან. ი.გ.“ კოლექციის წიგნების ერთ ნაწილზე თვით მფლობელის წარწერა ახლავს „იაკობ გოგებაშვილის ბიბლიოთეკიდან“.




ი. გოგებაშვილის ბიბლიოთეკაში ინახება აგრეთვე სამედიცინო თემატიკის წიგნები ფრანგულ და რუსულ ენებზე. ეს გასაგებიცაა, თუ გავითვალისწინებთ, რომ იგი დაავადებული იყო იმ დროისათვის უკურნებელი სენით - ტუბეკულოზით (ჭლექი). მწერალი ყურადღებით ეცნობოდა ამ დაავადების შესახებ ლიტერატურას და შესაბამისად, კარგად ესმოდა თავისი მდგომარეობის სირთულე. ამიტომაც, გასაგებია ის სიფრთხილე, რომელსაც იჩენდა საკუთარი ჯანმრთელობის მიმართ.

იაკობ გოგებაშვილის პირადი ბიბლიოთეკის კოლექციის ეგზემპლართა უმეტესობას თავისი, მეტ-ნაკლებად საინტერესო, ისტორია აქვს. ამ წიგნების გარემოცვაში იქმნებოდა ქართული პედაგოგიკური ლიტერატურის შედეგები, ბრწყინვალე საბავშვო მოთხრობები და საზოგადოებრივი მნიშვნელობის პუბლიცისტური წერილები. თვით კოლექცია, არასრული შემცველობის მიუხედავად, არის იაკობ გოგებაშვილის, როგორც პიროვნების, მწერლის, მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის სულიერი და ინტელექტუალური ცხოვრების ერთგვარი ანარეკლი. ამიტომ იგი ღირებულია ქართული კულტურის ისტორიისათვის.

ლიტერატურა

1. ბიბლიური-კასრაძე ქრისტენე. მოგონებანი ბიძია იაკობ გოგებაშვილზე // წიგნში:



- ზ.ბოცვაძე. იაკობ გოგებაშვილი. - 1991. - გვ.296
- 2. გოგებაშვილი იაკობ. თხზულებანი. ტომი 5. - თბ., 1957. - გვ. 678.
- 3. იოვიძე ა. იაკობ გოგებაშვილი (დოკუმენტური მასალები). - თბ., 1951. - გვ. 159.
- 4. კასრაძე დავით. იაკობ გოგებაშვილი: ბიოგრაფია. - თბ., 1940. - გვ. 78-79.
- 5. მღვიმელი შიო. მოგონებები // წიგნში: ზ. ბოცვაძე. იაკობ გოგებაშვილი. - 1991. - გვ.- 363-364.

დოქტორი

ი. გ.

საქართველოს ბიბლიოთეკის მფლობელი



დავით მულაშვილი

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის
სანოტო და აუდიოვიზუალური გამოცემებით
მომსახურების განყოფილების უფროსი

საქართველო თავისი მრავალსაუკუნოვანი მდიდარი მუსიკალური კულტურით, ოდესღაც ტოლს არ უდებდა ევროპისა თუ აზიის ქვეყნებს ხელოვნების ამ დარგში. დღეს, როგორც ქართული ხალხური მუსიკა, ისე საეკლესიო გალობა მსოფლიო კულტურის საგანძურად არის აღიარებული. პალეოგრაფიული მუსიკალური დამწერლობის, ე. წ. ნევმების ორიგინალური გრაფემების შემცველი X საუკუნის ისეთი ბრწყინვალე და მაღალპროფესიული ხელნაწერები, როგორც არის მიქაელ მოდრეკილის „იადგარი“, ფიტარული ძლისპირნი და „ოქროს ხანის“ სხვა ნიმუშები, გვაფიქრებინებს, რომ იმ დროისათვის ქართული მუსიკის, მისი დამწერლობის განვითარების გზას და მიღწევებს, შესაძლოა გარკვეულწილად შუა საუკუნეების ევროპული მუსიკის ისტორიის მსვლელობაზეც მოეხდინა გავლენა, რომ არა საქართველოს ავბედითი და ხანგრძლივი ომიანობის და ნგრევისა ჟამი. ქართულმა მუსიკალურმა დამწერლობამ, მართალია, პაგანიზებული სახით, მაგრამ XIX-XX საუკუნეების გასაყარამდე მოაღწია, თუმცა იგი უკვე დაზინყებას ეძლეოდა და, სამწუხაროდ, შემდგომი დამკვიდრება-განვითარება ვერ ჰპოვა. რუსიფიკაციის წნეხის პირობებში, ეროვნული მუსიკალური საგანძურის ზეპირი ტრადიციით გადაცემაზე ზრუნვის პარალელურად, მისი გადარჩენის და დაცვის უაღრესად მნიშვნელოვან და სწორ გზას სიმღერა-გალობის თანამედროვე ევროპულ სანოტო სისტემაზე ჩაწერა წარმოადგენდა. ამას ყველაზე კარგად ქართული საზოგადოების ის ბრძენი ნაწილი ხედავდა, რომელიც უმეტესად ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში იყო გაერთიანებული.

ქმნვე საზოგადოების როლი საქართველოში სანოტო გამოცემის საქმის წამოწყებაში

იმ პერიოდისთვის ხუთხაზიანი სანოტო დამწერლობა, ისევე როგორც ზოგადად ევროპული მუსიკალური კულტურა, „ახალი ხილი“ იყო საქართველოში და ჯერ მხოლოდ ძალებს იკრებდა. ამას ხელი შეუწყო თბილისში ოპერის თეატრის აშენებამ, რასაც მალე იტალიური საოპერო დასის პირველი სტუმრობა მოჰყვა. მუსიკალური ნიჭით დაჯილდოებულმა ქართველმა ხალხმა ადვილად შეითვისა და შეიყვარა ეს უცხო და მომხიბვლელი მუსიკალური ენა და კულტურა. ამავე დროს, ქართული საზოგადოების წინაშე მკვეთრად იდგა ეროვნული მუსიკის ორივე ტრადიციული შტოს - ხალხური სიმღერისა და გალობის გადარჩენის პრობლემა.

ამის გამოძახილი იყო 1880-იან წლებში ქართული ეკლესიის მნათობთა და შემდგომში ქმნველის ნევრთა: იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელისა (ქიქოძე) და ეპისკოპოს ალექსანდრეს (ოქროპირიძე) ინიციატივა, შექმნილიყო „ქართული გალობის აღმადგინებელი კომიტეტი“. მათ მხარს უბამდნენ დიდი ილია ჭავჭავაძე, ალექსანდრე ხახანაშვილი, არქიმანდრიტი მაკარი (მატათაშვილი), დეკანოზი დავითი (ღამბაშიძე) და ამავე საზოგადოების მრავალი სხვა წევრი. მღვდლების - ვასილ, პოლიევქტოს და ფილიმონ კარბელაშვილების, ფილიმონ ქორიძის, დეკანოზ რაჟდენ ხუნდაძის, რუსი კომპოზიტორის მიხეილ იპოლიტოვ-ივანოვის, ბერმონაზვნის ექვთიმე კერესელიძისა და კიდევ რამდენიმე პირის სახით ქართულ გალობას ნოტებზე ჩამწერ-გადამრჩენი გამოუჩნდნენ. გალობის შემსრულებელ-გადმომცემნი იყვნენ იმ დროის დიდი მგალობლები: ანტონ დუმბაძე, ივლიანე წერეთელი, დიმიტრი ჭალაგანიძე, რაჟდენ ხუნდაძე, მელქისედეკ ნაკაშიძე, ძმები კარბელაშვილები, არისტო ქუთათელაძე და ამ ხელოვნების სხვა მცოდნენი (დასახელებულთაგან ვასილ და ფილიმონ კარბელაშვილები და არისტო ქუთათელაძე ქმნვე საზოგადოების წევრები გახლდნენ). დიდმა ისტორიულმა წამოწყებამ ნაყოფი გამოიღო და ამ დიდებული ხალხის ნაამაგარის წყალობით დღეს ქართველ ხალხს შეუძლია მსოფლიოს მასშტაბით იამაყოს მაღალმხატვრული მრავალხაზიანი ქართული გალობით.

აღნიშნულის პარალელურად, მაშინვე დაიწყო ზრუნვა ხალხური სიმღერების ნოტებზე ჩაწერისათვის. ქვეყნის ანექსირებულობისა და რუსიფიკაციის აქტიური პროცესის მიუხედავად, მსოფლიო ფოლკლორისტიკის გარიჟრაჟს მალევე უპასუხა საქართველომ და ხალხური მუსიკის შესწავლა-შეგროვების საქმიანობას ამავე პერიოდში დაედო სათავე.





ქართული სიმღერა-გალობის გადარჩენის საქმეში ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრთა მხრიდან ხელმძღვანელობა-მონაწილეობის დამადასტურებელი და ამსახველია სანოტო გამოცემათა კოლექცია, რომელიც საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის სპეციალურ ფონდში არის დაცული. ეს კოლექცია თითქმის სრულად ასახავს ქართული სანოტო გამოცემების ისტორიის დასაწყისს. მასში ქართული გამოცემების გარდა თავმოყრილია როგორც უცხოეთში (რუსეთში, ევროპაში) დაბეჭდილი ქართული მუსიკის პუბლიკაციები, ისე არაქართული, უცხოური სანოტო გამოცემებიც. მთლიანობაში ამ ფონდში წერაკითხვის გამავრცელებელი საზოგადოების კუთვნილი სანოტო გამოცემის 77 ეგზემპლარი ინახება.

ქართველი ავტორის კლასიკური ნაწარმოების პირველი გამოცემა 1863 წლით თარიღდება. კერძოდ, ალოიზ მიხანდარის რომანსი „ჩვენ დავშორდით“. მ. ბარიატინსკის ლექსზე დაწერილი ეს რომანსი პეტერბურგში დაიბეჭდა და გამოიცა. დაახლოებით ათი წლის შემდეგ პეტერბურგშივე იბეჭდება დავით ერისთავის (დ. ერისთავი) საფორტეპიანო ნაწარმოები „ქართული სიმღერების პოპური“. ამ გამოცემის ერთი დედანი ეგზემპლარი წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სანოტო კოლექციამ შემოგვინახა, რომლის ყდაზე ავტორის ქართულად მინერული ავტოგრა-

ფიც მოიპოვება [FS 2679]. სხვადასხვა პირებისა და დაწესებულებათაგან შემოწერილი და გადმოცემული სამუზეუმო ექსპონატების ჩასაწერი დავთრის 97(6853) მიხედვით, 1895 წ. 26 მარტს ამ წიგნის შემწირველია ვასილ ალექსანდრეს ძე აბაშიძე - დრამატურგი, მთარგმნელი, მსახიობი, მწერალი, პუბლიცისტი, ჟურნალისტი, საზოგადო მოღვაწე, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ნამდვილი წევრი (1879-1898). მან დადგა სცენაზე დავით გიორგის ძე ერისთავის „სამშობლო“.

საქართველოში სანოტო გამოცემების ისტორია კი 1878 წელს ხალხური სიმღერების პუბლიკაციით იწყება. მხედველობაში გვაქვს მიხეილ მაჭავარიანის მიერ ნოტებზე ჩაწერილი, 20 ნიმუშის შემცველი კრებული „სამშობლო ხმები. ყმანვილებისათვის სამღერალი სახალხო სიმღერები გარდაღებული ნოტებდ ერთ, სამ და ოთხ ხმისათვის“ [FS 1001]. კრებულის ავტორის შესახებ მოგვეპოვება ცნობები, რომ „გალობის აღმადგინებელი კომიტეტის“ მიერ საგალობელთა ჩაწერა პირველად სწორედ მისთვის დაუვალებიათ [1]. ამ საქმეს მ. მაჭავარიანი კი შესდგომია, მაგრამ გალობის მცოდნეთ მალევე დაუნუნებიათ მისი ჩანაწერები, რის გამოც მიუტოვებია ეს საქმე. არც ხალხური სიმღერის ზემოაღნიშნული კრებული გადაურჩა კრიტიკულ შეფასებას თანამედროვეთაგან [2]. მაგრამ, ყველა შემთხვევაში, ეს კრებული ქართული სანოტო გამოცემის საქმეში პიონერია. აქვე უნდა





დავძინოთ, რომ მიხეილ მაჭავარიანის სახელით წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში სამი პირი ირიცხებოდა, რომელთა ვინაობა სამ-წახაროდ არ არის დადგენილი. სავარაუდოა, რომ რომელიმე მათგანი სწორედ პირველი ქართული სანოტო კრებულის ავტორი ყოფილიყო.

შემდეგი სანოტო გამოცემა 1885 წლით არის დათარიღებული. ანდრია ბენაშვილის „ქართული ხმები“ [FS 1022], რომელიც ქართული საეკლესიო გალობის პირველ გამოცემას წარმოადგენს. ქართლ-კახური კილოს წირვის საგალობლებთან ერთად, კრებული შეიცავს სხვადასხვა კუთხის ქართულ ხალხურ სიმღერებს. ჩანაწერების ხარისხით იგი ბევრად აღემატება მაჭავარიანისეულ კრებულს. სატიტულო გვერდზე აღნიშნულია, რომ წიგნი დაბეჭდილია „მესხივეის ლითოგრაფიაში“. საუბარია კონსტანტინე მესხიშვილზე, რომელიც მოგვიანებით ქშნკვ საზოგადოების წევრთა სიაში ირიცხება.

კ. მესხიშვილის სტამბაშივეა დაბეჭდილი პირველი ქართული მუსიკალური სახელმძღვანელო, სახელწოდებით „სახელმძღვანელო ნოტებისა ანუ ნოტების პირველდასაწყისი ანბანი შედგენილი არხიდაკვნის იოსებ შარაბიძის მიერ“ [FS 1320], რომელიც 1890 წელს გამოიცა. ზემოთ დასახელებული დავთრის მიხედვით, ავტორს გამოცემის 3 ეგზემპლარი იმავე წლის 11 სექტემბერს შეუწირავს საზოგადოებისათვის. წინასიტყვაობაში ავტორი წერს: „ორმა გარემოებამ განაპირობა ამა

ქართული ნოტების გრამატიკისა და ანბანის შედგენა. პირველი ის არის, რომ დღეს საეკლესიო წირვის წესები და რამოდენიმე საეკლესიო საგალობელი უკვე გადაღებულია ნოტებზე, ერთი იმერულ-გურულ კილოზე, მეორე - ქართლ-კახურზე. გარდა ამისა, დაბეჭდილიც არის ქართულს ენაზე რამოდენიმე საერო სიმღერა. როგორც რომ წიგნის წამკითხველმა ჯერ ანბანი უნდა იცოდეს, ისე ნოტებზე გადაღებულ საგალობლის წამკითხველმა ჯერ ნოტების გრამატიკა და ანბანი უნდა იცოდეს, თორემ მისთვის ნოტებზე გადაღებული ისეთივე გამოცანაა, როგორც უცნობ ენაზე დაწერილი წიგნის წაკითხვა მსურველისათვის.“

მუსიკალური განათლების მიმართ ყურადღების გამახვილებასთან ერთად, იმ პერიოდშივე იწყება ზრუნვა ნოტების საბეჭდი დაზღვისა და სანოტო შრიფტის შტამპების მოძიება-შეძენისათვის, რადგან ყველა სანოტო გამოცემაში, რომელიც 1891 წლამდე დაიბეჭდა, ნოტები გრავიორთა მიერ იყო დახატული. ნოტების შტამპებით სტამბური ბეჭდვა კი 1891 წლიდან იწყება. ამასთან დაკავშირებით, საყურადღებო ცნობას გვანვდის ექვთიმე (ესტატე) კერესელიძე თავის მემუარულ ხელნაწერში „ისტორია ქართული საეკლესიო საგალობლების ნოტებზე გადაღებისა“: „1891 წელს ვკითხეთ ფილიმონს [ქორიძეს]: თუ სადმე არის რუსეთის ქალაქებში ნოტების შრიფტი (ასოები), ჩვენ გვინდა გამოვიწეროთ შევიძინოთ მეთქი. გვითხრა: მოსკოვში უნდა იყოსო. იმიტომ ვიცი, რომ მე შევხვედრივარ



იქაურ სტამბაში ნოტებით დაბეჭდულ სიმღერა-გალობის წიგნებსაო. იქ მიკითხვა და გამოძებნა უნდაო. ამის შესახებ იფიქრა მაქსიმე შარაძემ და მივიდა ილია ჭავჭავაძესთან საკითხავად და უთხრა: გვსურს ნოტების ასოები შევიძინოთ. აქ თბილისში არ არის მისი შრიფტი. გვითხრეს მოსკოვში არისო. ხომ არავინ გყავს იქ ნაცნობთაგანი კაცი, რომ მივსწეროთ და გვიშოვნოს ნოტების შრიფტი? მან უთხრა: როგორ არა, მყავს იქ კარგი მეგობარი ქართველი კაცი, პროფესორი ალ. ხახანაშვილი. ის მოგიხერხებს მაგ საქმესო. თვითონაც წერილი მისწერა და მაქსიმესაც მისი მისამართი გადასცა; ამ მისამართით მისწერეთო... ჩვენც ასე მივსწერეთ: თუ შეიძლება ეგ ნოტები უსწავლელად ააწყოს იმისთანა კაცმა, რომელმაც ნოტები კარგად იცის, ასოთამწყობიც და დამბეჭდავიც კარგი არის? იმათ გამოგვიგზავნეს ნოტების კასის პრეისკურანტი და მოგვწერეს: ამ პრეისკურანტის მიხედვით ყველაფერს კარგად შეასრულებსო. ერთი თვის შემდეგ ნოტების ასოები მივიღეთ, სამი ათას მანეთად ღირებული. ჩვენ ძალიან გაგვეხარა ნოტის ასოების მიღება 1891 წლის 10 დეკემბერს. ეს იყო მთელ საქართველოში პირველი შემოღება ნოტების ასოებისა“ [3].

ამ ისტორიული ცნობიდან ნათლად ჩანს საქართველოში ნოტების ბეჭდვის საქმის წარმოებაში ქმნვე საზოგადოების წევრთა აქტიური ხელშეწყობა. სწორედ ამ პერიოდიდან იწყება საქართველოში სანოტო გამოცემების აქტიური ბეჭდვა, საეკლესიო საგალობლების, ხალხური სიმღერების კრებულებისა თუ ქართველ კომპოზიტორთა ნაწარმოებების პუბლიკაციების სახით.

ბაზი უნდა გაეხვას იმ ფაქტს, რომ სანოტო გამოცემათაგან ზოგიერთი უნიკალური ეგზემპლარი დღევანდლამდე საქართველოში მხოლოდ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წიგნთსაცავმა შემოგვინახა. ზემოდასახელებულ გამოცემათა უმრავლესობასთან ერთად, ამის მაგალითია ფილიმონ ქორიძის „სადღესასწაულო საგალობელნი წირვისა“ [FS 6116] და სხვა რამდენიმე სანოტო პუბლიკაცია.


საქართველოში მუსიკალურ განათლებასა და ნოტების წერა-კითხვაზე ზრუნვის გამოხატულებად უნდა ჩაითვალოს ქმნვე საზოგადოების ერთ-ერთი სულისჩამდგმელის, დიდი იაკობ გოგებაშვილის „დედა ენის“ 1912 წლის (ოცდამეშვიდე) გამოცემაში ქართული ხალხური სიმღერების სანოტო ნიმუშების ჩართვაც. მასში წარმოდგენილია ია კარგარეთელის, ზაქარია ჩხიკვაძისა

და დიმიტრი არაყიშვილის მიერ ნოტებზე ჩაწერილი 10 ხალხური სიმღერა, რაც კიდევ ერთხელ ნათლად მეტყველებს ქართული პედაგოგიკის ფუძემდებლის არა მხოლოდ ეროვნულობასა და პატრიოტიზმზე, არამედ მის ევროპულ მსოფლმხედველობაზეც.

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების იმდროინდელ ქართულ მუსიკალურ სამყაროსთან კავშირი მეტად საინტერესო ფაქტებსა და ისტორიებს შეიცავს. ვიმედოვნებთ, მომავალში მისი წარმოჩენა და გაშუქება ინტერესმოკლებული არ იქნება ჟურნალ „საქართველოს ბიბლიოთეკის“ მკითხველთათვის.

ლიტერატურა

- 1-მაჭავარიანი, მ. წერილი რედაქტორთან // დროება. - 1879, 26 მაისი (N108). - გვ. 2.
- 2- არაგველი. ორიოდ სიტყვა ძველი ქართული გალობის აღდგინების გამო // დროება. - 1881, 6 აგვისტო (N164). - გვ. 2.
- 3- კერესელიძე, ესტატე. ისტორია ქართული საეკლესიო საგალობლების ნოტებზე გადაღებისა // XIX საუკუნის ქართველი მოღვაწეები და საეკლესიო გალობა / ილია თავბერიძე. - თბ., 2010. - გვ. 138-139.



დედა ენა. მეორე ნაწილი. ოცდამეშვიდე გამოცემა. 1912



ქმნვე საზოგადოების საპატიო წევრები

1	დავით ჩუბინაშვილი	არჩეული	1880 წ.
2	გრიგოლ გურიელი	არჩეული	1886 წ.
3	იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელ ქიქოძე	არჩეული	1890 წ.
4	იაკობ გოგებაშვილი	არჩეული	1890 წ.
5	რაფიელ ერისთავი	არჩეული	1892 წ.
6	ოლღა გურამიშვილი	არჩეული	1894 წ.
7	გიორგი ქართველიშვილი	არჩეული	1894 წ.
8	ნიკო დადიანი	არჩეული	1885 წ.
9	ეპისკოპოსი ალექსამდრე (ოქროპირიძე)	არჩეული	1896 წ.
10	აკაკი წერეთელი	არჩეული	1896 წ.
11	ილია ჭავჭავაძე	არჩეული	1896 წ.
12	ვახტანგ თულაშვილი	არჩეული	1904 წ.
13	ნიკო ცხვედაძე	არჩეული	1904 წ.
14	იაკობ ზუბალაშვილი	არჩეული	1906 წ.
15	ლევან ზუბალაშვილი	არჩეული	1906 წ.
16	პეტრე ზუბალაშვილი	არჩეული	1906 წ.
17	იაკობ მანსვეტაშვილი	არჩეული	1912 წ.
18	ეკატერინე გაბაშვილი	არჩეული	1914 წ.
19	ანასტასია თუმანიშვილი-წერეთლისა	არჩეული	1914 წ.
20	ეკატერინე თამამშევა-ერისთავისა	არჩეული	1915 წ.
21	ლუარსაბ ბოცვაძე	არჩეული	1918 წ.
22	დავით კარიჭაშვილი	არჩეული	1918 წ.
23	გრიგოლ რცხილაძე	არჩეული	1918 წ.



მოთხოვნები



ნათია კობახიძე

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

იხნა მუნარგია

სხვათა მხატვრულ-დოკუმენტურ ბიოგრაფიებს. როგორც სოლომონ ცაიშვილი წერს, ქართულ მწერლობაში ტრადიციაც კი შემუშავდა - თუ რომელიმე მწერლის სრულ თხზულებათა გამოცემა განიზრახებოდა, ბიოგრაფიის შედგენისთვის უსათუოდ იონას მიმართავდნენო.

იონა მუნარგიას საქმიანობა მხოლოდ ცნობილ ადამიანთა „ცხოვრებისა და მოღვაწეობის აღწერით“ არ შემოიფარგლებოდა: მწერალი, მთარგმნელი, ჟურნალისტი, პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე იონა მუნარგია დაიბადა 1852 წლის 26 ნოემბერს ზუგდიდის მაზრის სოფელ ცაიშში, დეკანოზ მიხეილ მუნარგიასა და სუსანა განერელიას ოჯახში.

მუნარგიების გვარის გენეალოგია, ალექსანდრე სიგუას ვარაუდით, წინაპართა ხელობას უკავშირდება და ისინი უსათუოდ მუნარგირენი ანუ უნაგირის მკერავნი იყვნენ. იონა მუნარგიას ბაბუას, პეპუ მუნარგიას, დასავლეთ საქართველოში ქედური ხატების ცნობილ ოსტატს, რომელსაც 1839 წელს მთავრობამ ოქრომჭედლობის დარგში წარმატებისათვის მედალიც კი გადასცა, უნაგირების კერვაც სცოდნია და მათი ვერცხლითა და სპილოს ძვლით განყოფილ ყოფილა დაკავებული.

იონა მუნარგიამ დაწყებითი განათლება მიიღო მარტვილის სამრევლო სკოლაში, რომლის დასრულების შემდეგ სწავლა თბილისის სასულიერო სემინარიაში, ფილოსოფიურ განყოფილებაზე განაგრძო. როგორც თავის დღიურებში წერს, „უბედური“ გამოდგა იონა მუნარგიასთვის 1874 წელი: ჯერ იყო და სემინარიაში შეექმნა პრობლემები: იონას ბინა გაჩხრიკეს, იპოვეს სოციალისტური ჟურნალ-გაზეთები, ბელინსკის, მოლემოტის, კანტის და სხვათა თხზულებები. შედეგად, სემინარიის მოსწავლე იონა მუნარგია, შემჩნეული არა მარტო შეუფერებელი წიგნების კითხვაში, არამედ შენახვაშიც, 1874 წლის 21 მარტს გარიცხეს ბოლო კურსიდან, როგორც პოლიტიკურად საეჭვო პირი. ეს ამბავი დიდად არ განუცდია:

.. რამ უნდა შემანუხოს? მე რომ ცუდი ყოფა-ქცევის და ზნეწამხდარი ვყოფილვიყავი, ან უნიჭო და უსარგებლო და ერთი რომელიმე ამ მიზეზებისა გამო გამოვერიცხეთ, ძალიან შევწუხდებოდი, რადგან ეს შემთხვევა მე მაგრძნობინებდა ჩემს უვარგისობას, მაგრამ არც ერთი მიზეზთაგანი არ იყო ჩემი გამორიცხვის მიზეზი ...“;

ამავე წელის აპრილის ბოლოს, ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა იონა მუნარგიას დედა. ეს კი მძიმე დარტყმა იყო 22 წლის ახალგაზ-

„...ცხოვრების აღწერა ჯერ არ შედგენილა ჩვენში. სურათები, ლიტერატურული მოგონება, სილუეტი არც კი გაგონილა. თითქოს იღბლად დაპყობილია ჩვენს ლიტერატურას, რუსთაველიდან დაწყებული, შესანიშნავი მწერლებისა და ადამიანების ვინაობის უცოდინარობა...“ - ეს სიტყვები ეკუთვნის იონა მუნარგიას, ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა ბიოგრაფიების პირველ მკვლევარს, რომელსაც აკადემიკოსმა სიმონ ჯანაშიამ „მეცხრამეტე საუკუნის ქართველ მოღვაწეთა პლუტარქე“ უწოდა, თავად კი საკუთარ თავს „ქართული ლიტერატურის მენვრილმანეს“ და „ფაქტების მომქუჩავებელს“ ეძახდა. რა თქმა უნდა, იონა მუნარგიამდეც არსებობდა ქართულ მწერლობაში ცნობილ პიროვნებათა ბიოგრაფიები, თუმცა ისინი დაბადება-გარდაცვალების თარიღებისა და სხვა მსგავსი ფაქტების აღნიშვნით შემოიფარგლებოდნენ.

... ჩვენში კრიტიკა და ბიბლიოგრაფია, რაღაც-მე ვგვარი სალიტერატურო ზრდილობის ბრძანებით, შინაური ცხოვრების აღწერაში ერთობ ხელმოჭერილია... ჩვენ უნდა ვუდალატოთ ამ ზნეს, საყვარელი კაცისა ყველაფერი უნდა ვიცოდეთ...“- წერდა ქართველი ბიოგრაფი.

იონა მუნარგია არასდროს იყენებდა, ყურმოკრულ, გადაუმონმებელ ინფორმაციას. თითქმის ყველა თანამედროვე გამოჩენილ ქართველ მწერალსა და მოღვაწეს პირადად იცნობდა და უახლოვდებოდა. წლების განმავლობაში ავსებდა თავის „სამახსოვრო წიგნს“ მათი გამონათქვამებით, ცხოვრებისეული ფაქტებითა და ეპიზოდებით. სწორედ ეს ჩანაწერები დაედო საფუძვლად ალექსანდრე ჭავჭავაძის, ნიკო ბარათაშვილის, გიორგი ერისთავის, გრიგოლ ორბელიანის, მამია გურიელის, დავით დადიანის, ილია ჭავჭავაძის და

რდა კაცისთვის. „... დედა დავკარგე სამუდამოდ, მისი მხოლოდ ხსოვნა დამრჩა ამიერიდან, რომელსაც ყველგან ვატარებ... მამაც უკმაყოფილოა ჩემი... სიმართლეს მის მხარეზეა... უნდა გავცილდე აქაურობას, უნდა დავიკარგო შორს...“

და მანაც შვეიცარიას მიაშურა. ორი წლის განმავლობაში იონა მეუნარგია ჟენევის აკადემიაში სწავლობდა. აქ გაიცნო და დაუახლოვდა ნიკო ნიკოლაძეს, ოლგა და დავით გურამიშვილებს, ალექსანდრე სარაჯიშვილსა და ალექსანდრე ჭყონიას. მათი რჩევით და დახმარებით 1876 წელს პარიზში გადავიდა სასწავლებლად.

იონა მეუნარგია საზღვარგარეთ გამგზავრებამდეც კარგად იცნობდა დასავლურ ფილოსოფიურ და ლიტერატურულ მიმდინარეობებს. კითხულობდა სპინოზას, ჰეინეს, კუნო ფიშერის, კანტისა და სხვათა ნაშრომებს. საფრანგეთში განაგრძო ლიტერატურის შესწავლა, გაეცნო ჟან-ჟაკ რუსოს, ვოლტერის, იპოლიტ ტენისა და სხვათა შემოქმედებას; თავის დღიურში იონა მეუნარგია იხსენებს შეხვედრას ვიქტორ ჰიუგოსთან და ამ უკანასკნელის დაინტერესებას რუსთაველის „ვეფხისტყაოსანით“, რომლის შესახებ მხოლოდ შორიდან გაეგო.

ევროპაში ყოფნისას, იონა მეუნარგია ასევე გაეცნო უცხოენოვან ლიტერატურას საქართველოს შესახებ და ქართულ ხელნაწერებს, რომლებიც სხვადასხვა დროს, სხვადასხვა გზით აღმოჩნდნენ საფრანგეთის ეროვნულ ბიბლიოთეკაში. მან გადანერა ნანუჩა ციციშვილის დაწერილი „ვეფხისტყაოსნის დამატების“ 396 ხანა.

იონა მეუნარგია საქართველოში 1878 წელს დაბრუნდა და აქტიურად ჩაერთო საზოგადოებრივ და პუბლიცისტურ საქმიანობაში: თანამშრომლობდა თბილისში გამომავალ ქართულ და რუსულენოვან გაზეთებთან. წერდა „Тифлисский Вестник“-სა და „Кавказ“-ში, „დროებაში“, სადაც ხშირად რედაქტორის მოვალეობასაც ასრულებდა სერგეი მესხის ავადმყოფობის გამო. განსაკუთრებით ნაყოფიერი იყო მისი თანამშრომლობა გაზეთ „ივერიასთან“ - თითქმის ყოველ ნომერში იბეჭდებოდა ფრანგული ჟურნალ-გაზეთებიდან სტატიების მისეული თარგმანი და „ნაკვესები“ „ლელოს“ ფსევდონიმით. როგორც ზაქარია ჭიჭინაძე წერს:

ისე გავრცელდა და ისე ელოდა ხალხი ამ „ნაკვესების“ ბეჭდვას, რომ მრავალ გონიერმა მგოსანმა აკაკიმ, მასზეც დააკვესა თავის ნაკვესი ასე: „ივერიაში სულ ლელო და სულ ლელოვო“. ეს შეურაცხყოფათ არავინ იფიქროს, ეს იყო პოეტის მახვილ გონიერი შენიშვნა, რომ „ივერია“ ყოველთვის სავსეა იონას ნაკვესებითაო...“.

1878 წელს იონა მეუნარგია აირჩიეს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მმართველობის წევრად და მდივნად. ის დიდი ენთუზიაზმითა და ენერგიით ჩაერთო საზოგადოების საქმიანობაში.

1880 წლის 5 აპრილის მმართველობის სხდომაზე, მოისმინეს იონა მეუნარგიას ინიციატივა: „საზოგადოების მმართველობამ შეადგინოს თავის სამწიგნობრო, როგორც თავის წევრებისთვის ისე ხალხისთვის საკითხავადო“. სხდომამ, რომელსაც ესწრებოდნენ ილია ჭავჭავაძე, ნიკო ცხვედაძე, ივანე მაჩაბელი, გიორგი თუმანიშვილი და გიორგი უთურგაული, დაადგინა: „ბიბლიოთეკა გაიმართოს: პირველ ხანში ბიბლიოთეკას კანცელარიაში ჰქონდეს ადგილი ...“, ხოლო იონა მეუნარგიას - საზოგადოების მდივანს (სეკრეტარს) დაევალა „მწიგნობრობის მცოდნეებთან“ მიმოწერის წარმოება.



ქმნვე საზოგადოების მმართველობის 10 მაისის სხდომაზე დაამტკიცეს იონა მეუნარგიას მიერ შედგენილი „ბიბლიოთეკის წესიც“, რომელიც ფართო საზოგადოებისთვის სრულად დაიბეჭდა გაზეთ „დროების“ 1880 წლის 124-ე ნომერში.

ზაქარია ჭიჭინაძე წერს „...არა რაისაგან შექმნა მან თან ასე გამდიდრებული სამკითხველოს ნიჟადაგი. ... მართოთ მე ისე გამამხნევა და წამაქეზა, რომ ხსენებული საზოგადოების სამკითხველოს დაარსების დღეს ჩემგან შეიძინა 500 ძველი ქართული ხელთნაწერი წიგნები სულ 150 მანეთათ, რომელშიც პეტერბურგიდამ მე 3000 მანეთს მაძლევდნენ, მაგრამ ეს როგორ მოხდებოდა, როცა საქართველოში არსდებოდა ასეთი საქმე იონა მეუნარგიას თავოსნობით.

... ასევე მან შეანიღვინა ამ სამკითხველოსთვის ბევრს ქართველ თავადის შვილს, გენერლებს სხვა და სხვა ძველი და ახალი ქართული წიგნები და ასეთის თავდადებულის შრომით ჩაუყარა საძირკველი ჩვენი წერაკითხვის სამმართველოს სამკითხველოს...“

განსაკუთრებით აღსანიშნავია იონა მეუნარგიას მიერ „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დადგენისთვის განეული შრომაც. ეს აზრი მას პირველად პარიზში გაუჩნდა, ვეფხისტყაოსნის ნანუჩა (მანუჩარ) ციციშვილისეული ინტერპრეტაციის ნახვის შემდეგ. როგორც წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მდივანი, ის შეეცადა შეეკრიბა ვეფხისტყაოსნის ხელნაწერი ეგზემპლარები, მაგრამ ვერაფერს გახდა, რადგან წიგნს, როგორც განძს არავინ თმობდა. დასახმარებლად გრიგოლ ორბელიანს მიმართა, რომლის შემწეობითა და რეკომენდაციებით შეძლო ვეფხისტყაოსნის ათი-ოდე ეგზემპლარის შეკრება.



ნიგნების ერთმანეთთან შედარება და შესწორება „თბილისის საადგილ-მამულო ბანკის“ დარბაზში, რამდენიმე კვირის განმავლობაში მიმდინარეობდა. მუშაობაში მონაწილეობდნენ გრიგოლ ორბელიანი, ილია ჭავჭავაძე, ნიკო დადიანი, რაფიელ ერისთავი, ივანე მაჩაბელი, დავით ერისთავი და სხვანი. ტექსტთა შედარების შედეგად შესაძლებელი გახდა გადამწერთა მიერ დამახინჯებული ადგილების გასწორება და სწორედ ამ გასწორებული ტექსტით დაიბეჭდა 1888 წელს გიორგი ქართველიშვილის გამოცემა, ზიჩის ილუსტრაციებით.

იონა მეუნარგიას საქმიანობა ვეფხისტყაოსნის გარშემო მხოლოდ ტექსტის დადგენით არ შემოიფარგლება. მასვე ეკუთვნის რუსთაველის ქმნილების ფრანგული თარგმანიც. 1881 წელს თბილისში ჩამოვიდა ცნობილი უნგრელი მხატვარი მიხაი ზიჩი. ამ დროს თბილისში უკვე იდგებოდა „ვეფხისტყაოსნის“ ცოცხალი სურათები. უნგრელი ხელოვანიც დაინტერესდა და 1882 წლის თებერვალში თბილისში თვითონაც დადგა 10 ცოცხალი სურათი, რითაც ქართული საზოგადოების პატივისცემა დაიმსახურა, თუმცა, გამოითქვა შენიშვნებიც. უზუსტობების შესასწორებლად, ზიჩმა რუსთაველის ქმნილების მისთვის გასაგებ ენაზე თარგმნა ითხოვა.

მიმართეს იონა მეუნარგიას. 1883 წლის 18 თებერვლით დათარიღებულ წერილში ის ნიკო ნიკოლაძეს წერს „...ვეფხისტყაოსანზე მწერდი გადამეთარგმნა. ქრისტიანო, ხომ იცი რამდენი თავის-ტეხა და დრო სჭირია ამის თარგმნას. ძალიან მარჯვე კალამი და ენის ცოდნა უნდა რომ ერთ წელიწადში მოხერხდეს იმის მოთავება. რის ვაისყოფით ვარიანტის გათავება მოვასწარით ორ წელში და თარგმნას რომ შეუდგე ვერც ოთხ წელს გავათავებ. თუ მაინც და მაინც იქნება შენი სურვილი, ვეცდები პირველი სამი ათასი თავი ე.ი. საუკეთესო ნაწილი პოემისა, გადავთარგმნო (ამის პირობას მოგცემ); მთელი პოემის გადათარგმნა კი შეუძლებელია...“. თუმცა, მოგვიანებით, როცა თხოვნით ილია ჭავჭავაძემაც მიმართა, იონა მეუნარგიამ მიიღო წინადადება და დიდი ენთუზიაზმითაც შეუდგა საქმეს.

1884 წელს აგვისტოში გაზეთი „დროება“ იუნკებოდა: „...ერთი ჩვენი მწერალთაგანი შესდგომია სრულის „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანს ფრანგულს ენაზედ. მეოთხედი კიდევაც გადაუთარგმნია და დანარჩენის გათავების იმედი სექტემბრისთვის აქვს ...“.

მართლაც, წლის ბოლოს, ნაჩქარევი ფრანგული თარგმანის ერთი ეგზემპლარი იონა მეუნარგიამ მიხაი ზიჩს პეტერბურგში გაგუზავა. იმ დროს პეტერბურგშივე მყოფ ნიკო ნიკოლაძეს მთარგმნელი წერს: „... ზიჩთან მიდი ... შენ იცი რასაც ეტყვი თარგმანზე; მე მაგინე რამდენიც გინდა მხოლოდ წიგნის დიდება არ დაუმცირო იმას, თორემ გულს აიყრის. უთხარი, რომ ჯერ თარგმანს ბევრი შესწორება სჭირიათქო...“.

თარგმანზე მუშაობა იონა მეუნარგიამ ფრანგ ჟიულ მურიესა და ავსტრიელ ცოლ-ქმარ, ბერტა და არტურ ზუტენერებთან ერთად განაგრძო. ამ შესწორებული და რედაქტირებული თარგმანის ხელნაწერი 1915 წელს იონა მეუნარგიამ გადასცა ქუთაისში სტუმრად ჩასულ რუს პოეტს, კონსტანტინე ბალმონტს. რომელმაც მისი დაბრუნება ვეღარ მოახერხა და ხელნაწერი დაკარგულად ითვლება.

იონა მეუნარგიას ეკუთვნის ვეფხისტყაოსნის რუსული პროზაული თარგმანიც (Руставели, Шота. Барсова кожа в рассказе И. Меунаргия - Тифлис : Тип. Либермана), რომელიც 1888 წელს სპეციალურად, რუსეთის იმპერატორის, ალექსანდრე III-ის და მისი მეუღლის, მარია თეოდორეს ასულის საქართველოში ვიზიტის გამო დაიბეჭდა გიორგი ქართველიშვილის ხარჯით. ამ ძღვენისათვის იონა მეუნარგიამ იაგუნდითა და ბრილიანტებით შემკული ბეჭედი მიიღო საჩუქრად.

გარდა სამწერლო და საზოგადოებრივი საქმიანობისა იონა მეუნარგია იყო ფოთის ქალაქის გამგეობის წევრი, ფოთის ქალაქის თავის ნაცვალის 1891-1895 და 1907-1913 წლებში. ამ ასპარეზზე იონა მეუნარგიას საქმიანობა ცალკე განხილვის თემაა, აქ კი მოკლედ აღვნიშნავთ, რომ 1913 წელს, ნიკო ნიკოლაძესთან დაპირისპირების გამო, მან თანამდებობა დატოვა და ფოთს გაერიდა. სიცოცხლის ბოლო წლები იონა მეუნარგიამ მშობლიურ სამეგრელოში გაატარა. მსახურობდა შავი ზღვის განაპირა რკინიგზის სამმართველოში.

ზაქარია ჭიჭინაძე წერდა: „...იონა მეუნარგიას ცოტა ოდენი ჯანის სისუსტე და უძლეურობა დაემართა მის შემდეგ, რაც ქართველთა მეჭირეთა და ბოროტ ენათა წყალობით იონასა და ნიკოლოზ ნიკოლაძეს შორის უსიამოვნება მოხდა და ამდენი ხნის კარგი ძმა მეგობარ კაცები ერთმანეთს გაეყარნენ და იონაც იძულებული იყო ფოთის ქალაქის გამგეებს მოსცილებოდა. ესა ქმნა ავმა ენამ და არა ნიკ. ნიკოლაძემ...“

„ქართული ლიტერატურის მენვრილმანე“ 1919 წლის 15 მაისს გარდაიცვალა. დაკრძალეს ცაიშის ძველი ეკლესიის გალავანში.

გამოყენებული ლიტერატურა

მეუნარგია, იონა. ქართველი მწერლები. ტ. [1]. - თბ., 1954.
მეუნარგია, იონა. ქართველი მწერლები. [ტ.] 2. - თბ., 1957.
მეუნარგია, იონა. ნანახი და გაგონილი ილიას ცხოვრებიდან - თბ., 1937
მენაბდე, დ. იონა მეუნარგია „ვეფხისტყაოსნის“ გამომცემელი და მთარგმნელი // რუსთველოლოგია. - 2003. - NII
ნიკო ნიკოლაძის არქივი. ფონდი N1 (სპებ)
სიგუა, ა. იონა მეუნარგია // მნათობი. - 1969. - N9
ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების არქივი. ფონდი №481 (სცსა)
ჭიჭინაძე, ზ. იონა მიხეილის ძე მეუნარგია // ქართული მწერლობა. - 2010. - N 2.



ირმა სისაური

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

„დიდებული ადამიანები უძეგლოდ იკარგებიანო“ - წერდა ნიკო ლორთქიფანიძე. სწორედ ასეთი დიდებული ადამიანი და უანგარო მოღვაწე გახლდათ ნიკოლოზ მთვარელიშვილი. ეს მოკრძალებული მამულიშვილი თავისი საისტორიო, ლიტერატურული და პედაგოგიურ-მეთოდოლოგიური ხასიათის თხზულებებით მხარს უმაგრებდა ცნობილ ქართველებს: ილია ჭავჭავაძეს, აკაკი წერეთელს, იაკობ გოგებაშვილსა და ექვთიმე თაყაიშვილს. ეს უკანასკნელი განსაკუთრებული მადლიერებით იხსენებდა უანგარო მუშაკს, რომელიც ძალ-ღონეს არ იშურებდა მისი ფუნდამენტური ნაშრომის „სამი ქრონიკის“ გამოსაცემად: „ჩემი წიგნის გამოცემა დიდხანს გაჭიანურდა...ბოლოს გავბრაზდი, ისე რომ თავსაც მივანებებდი, ნიკო მთვარელიშვილს რომ არ დავემშვიდებინე...გარდა გამხნეებისა, კორექტურასაც კი მისწორებდა ხშირადო“- იგონებდა ექვთიმე თაყაიშვილი (ჟურ. „მნათობი“, 1958, N5, გვ.173.)

ნიკოლოზ (ნიკო) ვასილის ძე მთვარელიშვილი 1845 წლის 6 დეკემბერს დაიბადა კახეთის სოფელ ვახისუბანში. თელავის სასწავლებლის, თბილისის სემინარიისა და სანკტ-პეტერბურგის სასულიერო აკადემიის დამთავრების შემდეგ პროგრესულად მოაზროვნე ახალგაზრდა თელავის სასწავლებლის ზედამხედველად დაინიშნა. აი. როგორ აფასებდა ზ. ჭიჭინაძე ნიკო მთვარელიშვილის პედაგოგიურ მოღვაწეობას:

იგი მხურვალედ მოქმედებდა თელავის სასწავლებელში, სადაც დიდი ცვლილებები მოახდინა, როგორც სწავლა-განათლების საქმეში, აგრეთვე გარეგანი აუცილებელი კულტურული მორთულობის მხრითაც... მისი მეცადინეობა მიმართული იყო ქართული მამულიშვილური აღორძინებისაკენ, რათა ქართველი მოზარდი თაობა

ნიკოლოზ მთვარელიშვილი


მსოფლიო მეცნიერების შეთვისებით განმტკიცებულიყო. ასეთი მამულიშვილური სამსახურით მორთო მან სკოლის ქართველ მოწაფეთა გონება, მათში უადრესად დანერგა მშობელი ქვეყნის ისტორიის შესწავლის ტრფიალება“ (გაზ. „ქართული სიტყვა“, 1924. N19.)

საინტერესოა, რომ ნიკო მთვარელიშვილი თელავში ქართულ ენასა და ლიტერატურას ასწავლიდა ყმაწვილ ლუკა რაზიკაშვილს - ვაჟა-ფშაველას.

ცნობილი პედაგოგი 18 წელი ემსახურებოდა ახალგაზრდობის სწავლა-განათლებას თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიაში. იგი უდიდეს პატივს სცემდა ქართველ განმანათლებელს, იაკობ გოგებაშვილს და სწავლების მისეული მეთოდის დანერგვას ცდილობდა სასკოლო ცხოვრებაში.

„საჭირობორთო საქმედ უნდა ჩაითვალოს საპედაგოგო საქმეც ჩვენში...ამისთანა შრომა მით უფრო საქებურია და ხელმოსამართი, რომ ჩვენში აცდენდნენ ხოლმე პედაგოგიური საქმის თავის ბუნებითად გაკვერილ გზას და სრულიად შეუფერებელ გზაზე აყენებდნენ, რადგან მეთაურნი შესტრფიან არათუ საქმის შეუბღალავ სიკეთეს, არამედ იმ შედეგებს, რომელიც განუზრახავთ საქმის დამწყებთ“ (ჟურ. „მოამბე“, 1894, N3, გვ.160.)

პედაგოგიური მოღვაწეობის პარალელურად ნიკო მთვარელიშვილი მნიშვნელოვან საზოგადოებრივ-სამეცნიერო საქმიანობასაც ეწეოდა. ის იყო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მდივანი და გამგეობის ერთ-ერთი წევრი. ცნობილია, რომ წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ უზარმაზარი შრომა გასწია ძველი ხელნაწერებისა და ნაბეჭდი წიგნების შესაგროვებლად. ამ დიდ საქმეში დიმიტრი ბაქრაძეს, ექვთიმე თაყაიშვილსა და დავით კარიჭაშვილს მონივნებით ედგა გვერდით ნიკოლოზ მთვარელიშვილიც. რვა წლის განმავლობაში შეიკრიბა მრავალი ხელნაწერი თუ დაბეჭდილი წიგნი, სამწუხარო მხოლოდ ის იყო, რომ ამ წიგნების კატალოგის შედგენა ვერ მოხერხდა. 1886 წელს გამგეობამ გადაწყვიტა ვრცელი სამეცნიერო კატალოგის შექმნა და ამ საქმისათვის საგანგებო კომისიაც გამოჰყო. კომისიის წევრთა შორის გახლდათ ნიკო მთვარელიშვილიც. რადგან ვრცელი კატალოგის შედგენა ძალიან დიდ დროს მოითხოვდა, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობა თავდაპირველად „მოკლეს“ დასჯერდა. ამ ეროვნული და საპასუხისმგებლო საქმის გაძღოლა კი საზოგადოების საქმეთ-მწარმოებელ ნიკო მთვარელიშვილს მიანდო. გულმოდგინე მუშაკმა



ნიკო მთვარელიშვილი

ზუსტად ერთი წლის თავზე გამოსცა წიგნთსაცავის კატალოგი. იგი შვიდი ძირითადი განყოფილებისაგან შედგებოდა და მოიცავდა 395 ხელნაწერი და 939 ბეჭდური წიგნის აღწერილობას. აი, რა სახით წარმოადგენს ფონდს მთვარელიშვილისეული კატალოგი:

ლვთისმეტყველება,

ქადაგებანი, ლოცვანი.

ფილოსოფია, პოლიტიკური მეცნიერება, კანონმდებლობა, პუბლიცისტიკა;

ბუნების მეცნიერება, ექიმობა, სასოფლო მეურნეობა, ტექნოლოგია, მათემატიკა, ხუროთმოძღვრება, ნაოსნობა;

გეოგრაფია, ისტორია, წმიდათა ცხოვრება, საეკლესიო ისტორია, სტატისტიკა, ბიოგრაფია, ნუმისმატიკა, არქეოლოგია, აღწერა წმიდათა ადგილთა;

სიტყვაკაზმული ლიტერატურა, პოეზია, ბიბლიოგრაფია, კრიტიკა, მჭერმეტყველება, სახალხო გარდმოცემა;

პედაგოგია, საყმანვილო წიგნები, გრამატიკა, ლექსიკონები, კალენდრები, ნარევი;

პერიოდული გამოცემები.

ზემოხსენებულ განყოფილებებში წიგნები განლაგებულია ანბანური წესით. თუ ავტორის გვარი ცნობილი იყო, მაშინ მონაცემი გვარით იწყებოდა, წინააღმდეგ შემთხვევაში კი - წიგნის სათაურით. თითოეულ განყოფილებას ერთვოდა ინდივიდუალური წიგნთაღრიცხვა: „წიგნის სათაურის შემდეგ არის ნუმერი წიგნისა არაბულის ციფრით, ხოლო ნუმერი შკაფისა რომულის ციფრით...გასარჩევად იმისა ხელთ-ნაწერია წიგნი, თუ დაბეჭდილი, ან როგორის ასოებით, მხედრული, თუ ხუცურით, მიღებულია სამი ნიშანი: *, +, #, - პირველი არის ნიშანი მხედრულის ხელთ-ნაწერისა, მეორე - ხუცურის ხელთ-ნაწერისა, მესამე - ხუცურის დაბეჭდილისა. მხედრულად დაბეჭდილს წიგნებს ნიშანი არა აქვსთ.“- ვკითხულობთ 1887 წელს ნ. მთვარელიშვილის მიერ გამოცემული ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წიგნთსაცავის კატალოგის წინასიტყვაობაში. კატალოგში შესულია აგრეთვე 15 დასახელების ჟურნალთა აღწერილობაც, რამაც კიდევ უფრო შეავსო ეს გამოცემა.

მუხედავად კატალოგის სიმცირისა (სულ 128 გვერდი), ეს უკანასკნელი იმ დროისათვის

უძვირფასეს ბიბლიოგრაფიულ ნაშრომს წარმოადგენდა. მისი გამოცემის დღიდან ყველა განათლებულ ადამიანს შეეძლო ამ კატალოგით სარგებლობა, ხელმძღვანელობა, მეცნიერული კვლევა და სურვილის შემთხვევაში, ერთი მხრივ, წიგნსაცავისა და მეორე მხრივ, მუზეუმის შევსება-გაფართოება.

ნ. მთვარელიშვილი აქტიურად თანამშრომლობდა იმდროინდელ ქართულ პრესასთან. იგი „ივერიაში“, „დროებაში“, „მოამბესა“ თუ სხვა ჟურნალ-გაზეთებში ფსევდონიმებით აქვეყნებდა ლიტერატურულ-იტორიულ-მეთოდოლოგიური ხასიათის სამეცნიერო კვლევებს. მისი ფსევდონიმები: „ქართლოსისძე“, „ქართლოსი“, „მოკეთე“, „სამღვდელოების კეთილისმყოფი“, „ურიათუბნის გულშემატკივარი“... აღრიცხული და გაშიფრულია „ქართული გაზეთების ანალიტიკური ბიბლიოგრაფიის“ მეორე ტომში. (1952 წ., გვ.979 - 986.) ასევე მისი ფსევდონიმებია: „ნ. მთვარელიშვილი“, „სამღვდელოთ სიკეთის მოსურნე“, „სამღვდელოების მოკეთე“, „ქართული გალობის მოყვარე“.

ნ. მთვარელიშვილს, ამ მრავალმხრივ განათლებულ მამულიშვილს, ეკუთვნის საინტერესო გამოკვლევები კათალიკოზ ანტონ პირველის მოღვაწეობისა და თელავის სემინარიის პირველი რექტორის, გაიოზ ნაცვლიშვილის საქმიანობის შესახებ.

აკადემიკოს ექვთიმე თაყაიშვილის არქივში დაცულია ნ. მთვარელიშვილის მიერ 1889 წელს შედგენილი აღწერილობა - „ქართული ხელთნაწერები ბ. ენფიანჯიანცის წიგნთსაცავისა“, რომელშიც შეტანილია ოთხი ხელნაწერი.

იმხანად უკვე განთქმულმა პუბლიცისტმა, ნიკოლოზ მთვარელიშვილმა, ქართული გალობის საუკეთესო ცოდნა გამოავლინა და „ივერიის“ 1878 წლის მეთოთხმეტე ნომერში ქართული სიმღერის საკითხების განხილვა წარმოგვიდგინა ფსევდონიმით „ქართული გალობის მოყვარე“. ამავე წერილში ნიკო მთვარელიშვილი მოითხოვდა, რომ ქართული გალობის ნოტებზე გადამღებს, მუსიკის კანონებთან ერთად, გალობაც კარგად სცოდნოდა: “ვინც ქართული გალობის ჩაწერას შეეცდება, მან უნდა მიიღოს თეორიული განათლება უმაღლეს სასწავლებელში...ქართული გალობა მან თუ ძალიან კარგად არა, რამდენადმე მაინც უნდა იცოდეს, რომ გადაღებაში ქართული ხალხური ხასიათი და კილო არ შეეცვალოს“ (გაზ. „ივერია“, 1878, N43). ექვთიმე თაყაიშვილი ერთ-ერთ მოგონებაში აღნიშნავდა, რომ ნიკო მთვარელიშვილი არა მხოლოდ კარგად იცნობდა ქართულ გალობას, არამედ თითონაც გამოირჩეოდა გალობის განსაკუთრებული ნიჭით. ილია ჭავჭავაძის „ხუთშაბათობებს“ - განთქმულ საღამოებს ის თურმე თავისი მშვენიერი გალობით აგვირგვინებდა.

აღსანიშნავია, რომ ნიკო მთვარელიშვილი გახლდათ საეკლესიო მუზეუმის კომიტეტის წევრი და

დიდი შრომა გასწია ეკლესია-მონასტრებში ძველი წიგნების შესწავლა-შეკრებისათვის. ილია ჭავჭავაძის თხოვნის თანახმად, გაზ. „ივერიაში“ მისი წერილების ციკლი გამოქვეყნდა სათაურით „მოკლე მიმოხილვა ჩვენი საღმრთო და საეკლესიო წიგნების მდგომარეობისა“ (გაზ. „ივერია“, 1891, N77-79, N81-86, N116-119, N123-125). ერთ-ერთ წერილში ნიკო მთვარელიშვილი შენიშნავს: „ქართული ენა გამშვენდა და დამყარდა საქართველოს ეკლესიაში, უმეტესად ჩვენი ისტორიის ეგრეთ წოდებულ ოქროს (XI-XII) საუკუნეთა განმავლობაში. ჩვენთა ღირსად პატივცემულთა და ქებით სახსენებელთა დავით აღმაშენებელისა და თამარის მეფობის დროს“ (გაზ. „ივერია“, 1891, N77).

ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორიაში მკვლევარი გამოყოფდა მეფე-პოეტ არჩილსა და ვახტანგ მეექვსეს. არ ივიწყებდა ქართული ბიბლიის გამომცემელ ქრისტეფორე გურამიშვილსა და მელქისედეკ კავკასიძეს. მიმოიხილავდა რუსეთში არსებულ სამწიგნობრო კერებს, აღნიშნავდა ასევე ანტონ კათალიკოსის, გრიგოლ ხარიჭაშვილისა და გაიობ რექტორის მამულიშვილურ საქმიანობას. „ყველა ზემოთ ჩამოთვლილნი თავიანთი სტამბებით სცდილობდნენ... საქართველოსთვის და მწიგნობრობის აღორძინებისათვის ჩვენს სამშობლოში... აღნიშნულ გვამთა თაოსნობით და თავგანწირული შრომით შესწორებულ და დაბეჭდილ იქნა მრავალგვარი წიგნი როგორც რუსეთში, აგრეთვე საქართველოში.“

ნიკო მთვარელიშვილს დიდი დამსახურება მიუძღვის როგორც გამომცემელს. იგი იყო თავისი ეპოქისათვის ნიჭიერი მკვლევარი, კომენტატორი, ტექსტოლოგი და ბიბლიოგრაფი. მან 1890 წელს შეკრიბა მუშა-მგოსან იოსებ დავითაშვილის ნაწარმოებები და ახლად ჩამოყალიბებულმა „ქართული წიგნების მბეჭდავმა ამხანაგობამ“ იმავე წელს ითავა მისი გამოცემა. წიგნს დართული ჰქონდა ავტორის სურათი და ნიკო მთვარელიშვილისეული ბიოგრაფიული მიმოხილვა.

1892 წელს გულმოდგინე პედაგოგმა იმავე „ქართული ამხანაგობის“ გამომცემლობაში სამჯერ და-



ნიკო მთვარელიშვილი მოსწავლეებთან ერთად

ბეჭდა სულხან-საბა ორბელიანის სიბრძნე-სიცრუისა“ კომენტარებით და დაურთო ლექსიკონი „ახსნა არაკების სიტყვებისა“.

ჩვენ ეს წიგნი არაკებად დავანაწილეთ და თითოეულს არაკს შესაფერი სათაურიც დავუწერეთ. ეს ცვლილება საჭიროდ დავინახეთ როგორც წიგნის ადვილად ხმარებისა და სარგებლობისათვის, აგრეთვე მისი შესწავლისა და გავრცელებისათვის ხალხში“ - წერდა ნიკოლოზ მთვარელიშვილი.

თანამედროვეთა შეხედულებას ნიკო მთვარელიშვილზე შესანიშნავად გამოხატავს მისადმი მიძღვნილ ლექსში აკროსტიხების ცნობილი მთხზველი ნიკოლოზ დადიანი:

„მატიანის მრკვევლობაში არ უამაგო პირია,
თითოს და თითოს რამესა სურს მოუძებნოს ძირია,
ვერ ვიტყვი საერთომიდაც ცუდად ეჭიროს ჩხირია,
არც მარტო ცეცებით იგნებს,
რის დასკვნაც გასაჭირია.
რიგს არ გადუხვევს გულ-დასმით უზის,
რაც დასაკვირია,
ერის მშობელის ნაღვანთა წინ უდევს განძი ძვირია;
ლარნაკ, ზარქაში, ნაქარგი, ფესვედი დიდ-საღირია
იკვლიოს, იცნოს, გვაცნობოს, -
ეს მისგან შენაპირია.“

(ნ. დადიანი, *საამეჩოვო გამოცანები, ქუთაისი, 1897, გვ. 22.*)

ილია ჭავჭავაძის მკვლევლობის შემდეგ, ნიკო მთვარელიშვილმა თბილისი მიატოვა და თელავში დაბრუნებულმა მეუღლესთან ერთად კერძო პანსიონი გახსნა. სავალდებულო საგნებთან ერთად ღვანლმოსილი მამულიშვილი აღსაზრდელებს ილიას შემოქმედებით მემკვიდრეობას ასწავლიდა. რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის შემდეგ, საოკუპაციო რეჟიმმა სასწრაფოდ დახურა ილია ჭავჭავაძის სკოლა. გულნატკენი პედაგოგი იძულებული გახდა მშობლიურ სოფელში დამკვიდრებულიყო, სადაც 1923 წლის 3 ოქტომბერს 78 წლის ასაკში გარდაიცვალა. იგი დაკრძალეს ვაზისუბნის სასაფლაოს გვერდით, მისსავე ვენახში, რომელსაც „სმოტრიტელის ზვარს“ ეძახდნენ.

მიუხედავად მრავალმხრივი საქმიანობისა, არაერთი მეცნიერული, პედაგოგიკურ-მეთოდოლოგიური ნაშრომის გამოქვეყნებისა და თავდაუზოგავი მამულიშვილური მოღვაწეობისა, ნიკო მთვარელიშვილი „მივიწყებულთა და გამორჩენილთა“ რიცხვს მიეკუთვნება. ვიმედოვნებთ, მომავალი თაობა სათანადოდ დაფასებს ქართველ პედაგოგს და ღირსეულ პატივს მიაგებს ამ დროთა უკუღმართობით „მიჩქმალული გმირის“ ხსოვნას.




ნანა ფირცხალავა

ჩერქეზული (ადიდური) კულტურის
ცენტრის მკვლევარ-ბიბლიოგრაფი

1885 წლიდან გრიგოლ ტატიშვილმა ქართული ანბანის სხვადასხვა სახის ალბომების შედგენა და გამოქვეყნება დაიწყო. მისი ამ გადანყვეტილების შესახებ გაზეთი „ივერია“ წერდა: „ხეზედ სურათების ამომჭრელს გრ. ტატიშვილს, რომლისაგან ამოჭრილი ასოებით მორთულია „ვისრამიანი“ და „ნობათი“, განუზრახავს შეადგინოს ქართული ანბანი სხვადასხვა რიგად მორთული ასოებისა და გვარისა და სახელის დასანიშნად ხელსახოცებზე ან სხვა თეთრეულზედ. ამ ანბანთანვე ჩართული იქნება სხვა რამ მორთულობაც მხატვრობის ხასიათით“. ამ ალბომს გრავიორმა „ქართული ანბანის თაიგული“ უწოდა.



კრიუკი ტატიშვილი

პირველი ქართული გრავიორ-ქსილოგრაფი



„ქართული ანბანის თაიგულში“ ორი სახის ანბანი წარმოდგენილი. აქ სტილიზებული ფოთლოვანი, ყვავილოვანი თუ გომეტრიული ფიგურები მოჩუქურთმებულ წრეებშია მოქცეული.

1888 წლის იანვარში გამოქვეყნდა ქართული ასოების „კანვაზე საკერი ანბანი“. ქართველი საზოგადოება კმაყოფილებას ვერ მალავდა. გაზეთი „ივერია“ წერდა: „ქართველ ქალებს სასიამოვნოდ დარჩებათ ის გარემოება, რომ ბ-ნ ტატიშვილს






შეუდგენია ქართულად „კანვაზე საკერი ანბანი“, რომელშიც სხვადასხვა ზომის ქართული ასოებია გამოყვანილი. ნიგნაკი ძლიერ ლაზათიანად არის გამოცემული, ყდაზე ოქროს ვარაყიანი ასოებია ამოჭრილი. ეს ძვირფასი შრომა ბ-ნ ტატიშვილისა უეჭველია დიდს ყურადღებას მიიქცევს ქართველ ქალების მხრივ და მალე გავრცელდება ჩვენში“. (გაზ. „ივერია“, 1888 N16).

1892 წლის აგვისტოში დაიბეჭდა გრიგოლ ტატიშვილის კიდევ ერთი ალბომი „ქართული ანბანის თაიგული“, რომელიც შემდგენელმა „ქართველ ქალთა მომავალ სკოლას“ მიუძღვნა. ამ გამოცემის შემდეგ გრიგოლ ტატიშვილი მეუღლესთან, მინადორასთან ერთად ბეჭდავს ქართული მონოგრამების ახალ ალბომს - „ჩართულ ანბანს“. „ჩართული ანბანი“, ანუ, როგორც მას ტატიშვილი სხვაგვარად „ქართულ ანბანს“ უწოდებდა, ნყვილ-წყვილად ერთმანეთთან გადახლართული ქართული ასოების კრებულს წარმოადგენდა და სპეციალურად სითვით ქარგვისთვის იყო დამზადებული.

„ჩართული ანბანის“ შექმნის ისტორიას გრიგოლ ტატიშვილი ალბომის წინასიტყვაში მოგვითხრობს:

სრული თერთმეტი წელიწადი ვიშრომე ამ ჩართულ ანბანზე (მონოგრამებზე) და ჩემი თავისუფალი დრო მთლად მის შედგენა-ამოჭრას მოვანდომე. ეს ჩემი განზრახვა 1882 წელს განსვენებულმა დავით ერისთავმა, რომელსაც ხელოვნება უყვარდა და რომელიც მისი დიდი თაყვანისმცემელი იყო, ძალიან მომიწონა და უფრო წამახალისა კიდევ იმით, რომ ხშირად შემიკვეთდა ხოლმე სხვადასხვა ჩართულს ასოებს, ზოგს თავისთვის და ზოგს სხვისთვის. ამასთანავე მეტყოდა ხოლმე, რომ ჩვენ, ქართველებს არა გვაქვს ხელოვნური ანბანიო სხვადასხვა ლითონის ნივთებზე ამოსაჭრელად და ქსოვილებზე დასითვით (გლადით) ამოსაკერადო. განსვენებულის ერისთავისგან წახალისებულმა, რაც კი შემეძლო, ვიშრომე და დავამთავრე კიდევ“.



იმისათვის, რომ საზოგადოების მეტი დაინტერესება გამოეწვია, გრიგოლ ტატიშვილმა გამოცემის შემოსავლიდან 10% ქალთა იმ სკოლას შესწირა, რომელიც მომავალში უნდა დაარსებულიყო.


საზოგადო საქმისადმი თავისი ერთგულება გრიგოლ ტატიშვილმა იმითაც გამოავლინა, რომ ალბომი მიუძღვნა ცნობილ საზოგადო მოღვაწეს, მთარგმნელს, ქართული სათავადაზნაურო გიმნაზიის გამგეობისა და ქართული უნივერსიტეტის დამხმარე საზოგადოების კომიტეტის წევრს, მრავალი საქველმოქმედო წამოწყების ინიციატორს, პატიოსანსა და უმნივლო ქართველ ქალს მარიამ ვახტანგის ასულ ჯამბაკურ-ორბელიანს, რომელიც ყოველმხრივ - ცოდნითაც და სახსრებითაც ხელს უწყობდა ქალებისათვის სასწავლებლის დაარსების საქმეს.

ერეკლე მეფის შვილთაშვილი მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანი დაიბადა 1852 წლის 22 აგვისტოს პოეტ ვახტანგ ორბელიანისა და ეკატერინე ილინსკაიას ოჯახში. 1870 წელს მან დაამთავრა თბილისის ქალთა კურსები. 1882 წელს მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანი აირჩიეს სათავადაზნაურო სკოლის სამზრუნველო კომიტეტის წევრად, იყო მასწავლებელ ქალთა საზოგადოების გამგეობისა და სამუსიკო სკოლის კომიტეტების წევრი, თანამშრომლობდა საბავშვო ჟურნალების „ჭეჭილისა“ და „ნაკადულის“ რედაქციებთან, ქალთა საზოგადოება „განათლებასთან“. 1918 წელს ის აირჩიეს ახალდაარსებული თბილისის უნივერსიტეტთან ჩამოყალიბებული დამხმარე საზოგადოების წევრად. ეწეოდა პედაგოგიურ და მთარგმნელობით საქმიანობას. სწორედ ამიტომ მისი სახელი მინიჭებული აქვს ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახ. უნივერსიტეტის 201-ე აუდიტორიას.

„ჩართული ანბანის“ ალბომს აქვს დამატებაც, რომლის სათაურია „რამდენიმე ნიმუში“. იგი მოიცავს გამოჩენილი ქართველი საზოგადო მოღვაწეების: ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ზაქარია ჭიჭინაძის, ტასო აბაშიძის, დავით ერისთავისა და სხვათა სახელისა და გვარის დასაწყისი ასოების მიხედვით გრ. ტატიშვილის მიერ შესრულებული მოზრდილი ზომის მონოგრამებს.

„ილია ჭავჭავაძის მონოგრამასთან დაკავშირებით საინტერესო ისტორიას ჰყვება გრ. ტატიშვილის ბიოგრაფი მ. ურუშაძე: „ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმში (საგურამო) მრავალრიცხოვან ექსპონატთან ერთად დღეისათვის დაცულია დროშა ტარიტურთ, რომელიც სპეციალურადაა გაკეთებული ჩვენი სახელოვანი მგოსნის ილია ჭავჭავაძისათვის. პოეტისათვის დროშა საჩუქრად მიურთმევიათ 1898 წლის 20 ივლისს (ძვ. სტილით) სახელწოდების დღესასწაულთან დაკავშირებით. როგორც ცნობილია, ამ დღეს საგურამოში მრავალრიცხოვან სტუმართა შორის ი. ჭავჭავაძეს ორ-

მოცი ქართველი ცხენოსანი ეწვია. როდესაც ილია გამოეგება სტუმრებს, ჯგუფს გამოეყო ვალ. გუნია და გრ. აბაშიძე, რომლებმაც გულთბილი მისალმებისა და მილოცვის შემდეგ პოეტს მიაართვეს წითელი ფერის დროშა, რომლის ერთ მხარეზე ოქროს ძაფებით ამოქარგული იყო სიტყვები: „კაცი უნდა კაცად იყოს, სანთელივით თვით დაიწვას და სხვას კი გზას უნათებდეს. ილია ჭავჭავაძე“. (სიტყვები ამოღებულია ილიას პოემიდან „დიმიტრი თავდადებული“ მ. უ.), ხოლო მეორეზე - მონოგრამა „ი. ჭ.“ - პოეტის სახელისა და გვარის დასაწყისი ასოები. საჩუქარს ილია დიდად აუღელვებია და თვალეზზე ცრემლმორეულს მოწინებით შეუპატიჟნია სახლში ძვირფასი სტუმრები.



დროშაზე ამოქარგული მონოგრამა „ი. ჭ.“ გრიგოლ ტატიშვილის მიერ შედგენილი მონოგრამის ასლს წარმოადგენს. აშკარად ჩანს, რომ იმ პირს, რომელსაც დროშაზე მონოგრამა ამოუქარგავს, გრ. ტატიშვილის 1894 წელს გამოცემული ალბომით „ჩართული ანბანი“ უსარგებლია“.

„ჩართული ანბანის“ შემდეგ, 1900 წელს გრიგოლ ტატიშვილმა კიდევ ერთი ალბომი „ჩართული ჩუქურთმა“ გამოაქვეყნა. ამ ალბომში 1888 წელს გამოცემულ ქართველიშვილისეულ „ვეფხისტყაოსანში“ გამოყენებული მხატვრული გაფორმების ელემენტებია თავმოყრილი - არშიები, თავი ასოები, ბოლოსამკაულები. ალბომი მხოლოდ ათ ეგზემპლარად დაიბეჭდა.

1901 წელს გრიგოლ ტატიშვილმა, როგორც მისი უბის წიგნაკის ჩანაწერიდან ჩანს, ალბომი საჩუქრად გაუგზავნა ქართველ საზოგადო მოღვაწეებს: ი. ჭავჭავაძეს, კირიონს, სახოკიას, კლდიაშვილსა და პეტერბურგის ბეჭდვითი საქმის რუს მოღვაწეთა საზოგადოებას.

ქართული ალბომების გამოცემით გრიგოლ ტატიშვილმა დიდი ეროვნული საქმე გააკეთა, ხელი შეუწყო ქართული ენის განმტკიცებისა და გაძლიერების მეტად საპასუხისმგებლო საქმეს და საზოგადოებას ამცნო, რომ ქართველი ხალხი ხატოვან ასოებსა და მონოგრამებს ჯერ კიდევ ხელნაწერ წიგნებში იყენებდა.

გრიგოლ ტატიშვილს დიდი დამსახურება მიუძღვის ქართული მხედრული შრიფტის გრაფიკული მოხაზულობის დახვეწასა და სრულყოფაში. მას კარგად ესმოდა, რომ ნაბეჭდი ასოები წიგნის გაფორმების ერთ-ერთ უმთავრეს ელემენტს წარმოადგენდა და ამიტომ შეეცადა შეექმნა ისეთი შრიფტი, რომელიც გრაფიკული ხერხების წყალობით ადვილად ასათვისებელი და მხატვრული იქნებოდა.

გრიგოლ ტატიშვილმა გადააკეთა ვახტანგ მეექვსის სტამბაში დაბეჭდილი „ვეფხისტყაოსნისათვის“ გამოყენებული შრიფტი, რომელსაც უმთავრესად სასულიერო უწყება იყენებდა და მას შედარებით მოზრდილი სახე მისცა. მის მიერვეა შედგენილი ის შრიფტებიც, რომლებიც „ტატიშვილის ჩონჩხის“ ან „ჩონჩხის“ და „ეგვიპტურის“ სახელითაა ცნობილი. ამ შრიფტებმა საგრძნობლად წასწია წინ პოლიგრაფიული საქმე.

გრიგოლ ტატიშვილის ნამუშევართა ცნობა ადვილი შესაძლებელია სურათების ბოლოს ამოტვიფრული ასო „ტ“-ით, რომელიც ავტორის გვარის ინიციალს წარმოადგენს.

საინტერესოა გრიგოლ ტატიშვილის სამწერლო-მთარგმნელობითი საქმიანობაც. მას არაერთი საბავშვო მოთხრობა აქვს თარგმნილი ან გადმოკეთებული ფრანგული და რუსული მოთხრობებიდან. ერთ-ერთი მათგანია 1897 წელს გამოქვეყნებული საბავშვო სურათებიანი წიგნი „ხუმარა სპილოები“, რომელიც მას ფრანგული მოთხრობიდან გადმოუკეთებია. „ხუმარა სპილოები“ თორმეტი პატარა თავისაგან შედგება. თითოეული მათგანი სპილოების მიერ შესრულებულ რომელიმე საცირკო ილეთზე მოგვითხრობს. თითოეულ თავს ერთი, ზოგჯერ ორი სურათი აქვს მიძღვნილი, საიდანაც კარგად ჩანს, თუ როგორ ფაქიზად ამუშავებდა გრავიორი ხის დაფას... ფრანგულიდანვე თარგმნა გრ. ტატიშვილმა მეორე მოთხრობა „კეთილი ძაღლი“, რომელიც 1896 წელს გამოქვეყნდა. წიგნისთვის მან ხეზე ამოკვეთა ძაღლის გამოსახულება, რომელიც ვენეციის ქუჩის, ხიდისა და წყალზე მოცურავე გონდოლის ფონზე მოჩანს.

„1903-1904 წლებში გრიგოლ ტატიშვილს წელის ტკივილი დასჩემდა. პირველ ხანებში ის ამას ყურადღებას არ აქცევდა, უჯდა თავის მაგიდას და თავაუღებლად მუშაობდა. გაათავებდა თუ არა ერთ საქმეს, მეორეს იწყებდა. შესვენება არ სწამდა. და თუ ვინმე დასვენებას ეტყოდა, მწარედ ამოიხვნეშებდა, გატკაცუნებით გაისწორებდა მუდამ მოღუნულ ხერხემალს და ისევ შეუდგებოდა შრომას!“ - იგონებს მღვდელი ზ. გულისაშვილი სტატიაში „ჩვენი ქსილოგრაფი გიგო ტატიშვილის ხსოვნას“, რომელიც „სახალხო გაზეთის“ 1911 წლის 370-ე ნომერში დაიბეჭდა.

...და წლების მანძილზე განუწყვეტელმა მუშა-



ობამ ხელოვანი ლოგინად ჩააგდო. იგი 1911 წლის 29 ივლისს 63 წლის ასაკში გარდაიცვალა.

გრიგოლ ტატიშვილის გარდაცვალების შესახებ ცნობები გამოაქვეყნეს „სახალხო გაზეთმა“, „თემმა“ და სომხურმა გაზეთმა „თარაზმა“. გრავიორისადმი დიდი სიყვარულისა და პატივისცემის გამომხატველი ნეკროლოგი მოათავსა ჟურნალმა „ნაკადულმა“. ჟურნალის სახელით ნეკროლოგის ავტორი ნინო ნაკაშიძე წერდა:

**... ვისაც კი გადაუვლია თვალი ქართულ დასუ-
რათებულ წიგნებისა და ჟურნალებისათვის,
„დედა-ენიდან“ დაწყებული ჩვენს საყმაწვილო
ჟურნალებამდის, უნდა იცოდეს, რომ მრავალისაგან
მრავალი სურათი არის გადმოღებული ჩვენს წიგ-
ნებში გრიგოლის მეოხებით. მისთვის სცემს პატივს
იმის ხსოვნას ქართველი ხალხი, გლოვობს იმის და-
კარგვას... ერთნაირად საყვარელი იყო დიდისა და
პატარისათვის, ერთნაირად სასარგებლო და ძვირ-
ფასი ყველასათვის, ვისაც უყვარს და სასარგებ-
ლოდ მიაჩნია მშობლიური მხატვრობა, მშობლიური
ლიტერატურის დასურათება“.**

2 აგვისტოს გრიგოლ ტატიშვილის ცხედარი ქვაშეთის ეკლესიაში დაუსვენებიათ. სიტყვით გამოსულა კალისტრატე ცინცაძე, რომელიც იმ დროს ამ ეკლესიის მღვდელი იყო.

იმავე დღის ნაშუადღევს გრიგოლ ტატიშვილის ცხედარი წმინდა ნინოს სასაფლაოზე (კუკიაზე) დაკრძალეს გიორგი ქართველიშვილის, „იმ ადამიანის გვერდით, რომელმაც თავისი ქონება უკვდავი „ვეფხისტყაოსნის“ ბრწყინვალე გამოცემას მოახმარა და გრიგოლ ტატიშვილთან ერთად სამარადისო ძეგლი დაიდგა ყოველი პატიოსანი ქართველის გულში“- ბ. გორდეზიანი.

... და თანდათანობით მივიწყებას მიეცა მისი სახელი. ის მხოლოდ 1927 წელს გაიხსენეს, როცა თბილისში გიორგი ნათიძის თაოსნობით გამოფენა მოეწყო, რომელიც ქართველ მხატვრებს: ტატიშვილს, გველესიანს, ბერიძესა და გოგიაშვილს მიეძღვნა. ცოტა ადრე, 1924 წელს გრიგოლ ტატიშვილისადმი მიძღვნილი წერილი გამოაქვეყნა შალვა მამალაძემ ჟურნალ „მნათობში“. 1943 წელს ქართული ქსილოგრაფიის ოთხმოც წლისთავთან დაკავშირებით გრიგოლ ტატიშვილის შესახებ წერილები გამოქვეყნდა ჟურნალ „მნათობში“ (N8), გაზეთებში „კომუნისტა“ (N265) და „ზარია ვოსტოკაში“ (N247). 1946 წლის 27 ივლისს გრიგოლ ტატიშვილი მხატვართა კლუბის გრაფიკულმა სექციამ გაიხსენა და მისი გარდაცვალებიდან 35 წლისთავი აღნიშნა. 1958 წელს მურმან ურუშაძემ გრიგოლ ტატიშვილს მონოგრაფია უძღვნა სახელწოდებით „პირველი ქართველი გრაფიკორი გრიგოლ ტატიშვილი“, რომელიც გამომცემლობა „ხელოვნებამ“ გამოსცა.

... და სულ ახლახანს გავეცანი ნინო ჭიშკარი-

ანისა და მერაბ გენაძის მონოგრაფიას „ქართული შრიფტი გრაფიკული დიზაინერებისათვის“, რომელშიც სხვა გრაფიკოს დიზაინერებთან ერთად დაბეჭდილია ცნობები გრიგოლ ტატიშვილის შესახებ:

„გრიგოლ ტატიშვილი (1848-1911)
თვითნასწავლი მხატვარი, პირველი გრაფიკორ-ქსილოგრაფი;

ახალი გრაფიკული ხელოვნების ფუძემდებელი;
1889-ვერცხლის მედალი („კავკასიის გამოფენა“, თბილისი);

1900-ქების სიგელი და დიდი ვერცხლის მედალი წიგნის გაფორმებისათვის (შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ (1888), პარიზის მსოფლიო გამოფენა);

გააფორმა „ყარამანიანი“ (1875-76), იაკობ გოგებაშვილის „დედაენა“ (1878) და სხვ.“

P.S. გრიგოლ ტატიშვილის, ამ დიდი ქართველის საფლავი, დიდხანს ვეძებე, მაგრამ ვერ ვიპოვე. მინდოდა მისდამი ჩემი უღრმესი პატივისცემის ნიშნად, ყველაზე ლამაზი მინდვრის ყვავილებით შემემკო, ქართული ასოები ამომექარგა, დაახლოებით ისეთი, როგორც საც თვითონ აგვირისტებდა მთელი სიცოცხლის მანძილზე..., მაგრამ სურვილი ვერ ავიხრულე...

მომავალ 2021 წელს გრიგოლ ტატიშვილის გარდაცვალებიდან 110 წელი სრულდება. კარგი იქნება, თუ ამ თარიღთან დაკავშირებით ეროვნული ბიბლიოთეკის პირველ კორპუსში ერთ-ერთ ოთახს იმ ოთხი ოთახიდან, სადაც წლების განმავლობაში „ვეფხისტყაოსნის“ 1888 წლის ქართველიშვილისეული გამოცემის გრაფიკულად გაფორმებაზე მუშაობდა და შენობისათვის ჩუქურთმებს ძერწავდა, მის პატივსაცემად მემორიალური დაფა გაუკეთდება თუნდაც ისეთი ტექსტით, როგორც ნინო ჭიშკარიანისა და მერაბ გენაძის მონოგრაფიაშია, თვით ოთახში კი მისი გაფორმებული გამოცემების მუდმივმოქმედი გამოფენა მოეწყობა. ეს იქ ახალდაარსებულ წიგნის მუზეუმს დამთავალიერებლებისათვის ბევრად უფრო საინტერესოს გახდის და თუ მის საფლავსაც მივაგნებთ და დროდადრო ყვავილებით მოვრთავთ, ამით მომავალ თაობებს ღირსეული წინაპრების დაფასების ღირსეულ მაგალითს მივცემთ.

გამოყენებული ლიტერატურა

გორდეზიანი, ბ. გრიგოლ ტატიშვილი. - თბ.: სახელგამი, 1957, გვ. 86.

ნაკაშიძე, ნინო. გრიგოლ ტატიშვილი // ნაკადული. - 1911. - სექტემბერი.

ურუშაძე, მურმან. პირველი ქართველი გრაფიკორი გრიგოლ ტატიშვილი. - თბ.: ხელოვნება, 1958. - 235გვ.

ჭიჭინაძე, ზაქარია. დავით ერისთავი. - თბ., 1892. - 40გვ.- (სამშობლო ქვეყნის მოღვაწეები).

დასახული
(დასაწყისი იხ. 2020, N3)



ვახტანგ თულაშვილი

ჯერ ისევ ადრე, ესე იგი 1870-იან წლებში, შევიყარენით რამდენიმე ახალგაზრდა კაცი (ზოგი ქალებიც ერივნენ), რომლებსაც ყოველ თვეს შემოჰქონდათ კასსაში თითო მანეთი (ზოგს მეტიც). ამნაირად მოგროვილი ფულით დავაარსეთ სკოლა ს. ხოვლეს, გორის მაზრაში, სადაც თავადნი ჯავახიშვილნი სცხოვრობენ. სკოლა იყო კნ. მარიამ, თავად გიორგი ჯავახიშვილის მეუღლის სახელობაზე დაარსებული, ხოლო საჭირო ფულს ჩვენის კასსიდან ვიხდიდით. შემდეგ ამ სკოლას თავადმა ჯავახიშვილებმა სახლის ალაგიც შესწირეს, სადაც შემდეგ სახლი აშენდა და სადაც ამჟამად სკოლა არსებობს. რადგანაც ამ ჩვენს პატარა კრებულს სურვილი დიდი ჰქონდა და ღონისძიება იმდენი არა, რომ თვისი სურვილი განეხორციელებინა, ამიტომ დაიბადა აზრი, დაგვეარსებინა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება. სხვადასხვა აზრი გამოითქვა ამ საგნის შესახებ ჩვენ შორის. ბევრი იმასაც ამბობდა, რომ მთავრობა ნებას არ მოგვცემს ამ საზოგადოების დაარსებისასაო. შემდეგ ეს პატარა კრებული დაიფანტა, თუმცა ხოვლესის სკოლა კიდევ არსებობდა ჩვენ მიერ ადრევე მოგროვებულის ფულით.

დადგა 1877 წელიწადი და, როგორც მკითხველსაც ეხსომება, დაიწყო რუსეთ-ოსმალთა ომი. ამ წლის აპრილის პირველ რიცხვებში გამოვიდა რუსეთის მთავრობისაგან მოწოდება (Воззвание) ქართველ ერის მიმართ. მთავრობა ამ მოწოდებაში იხსენიებდა, რომ საქართველო მუდამ რუსეთის მთავრობის ერთგული ყოფილა და ქართველთ ტომი (აქ პირველად იყო ნახმარი რუსულად სიტყვა - Картвельское племя) განთქმულია თავისის ვაჟკაცობითა და სხვადასხვა ამისთანა ქება ჩვენის სამშობლოსი და მისის ერისა. ვიფიქრე, რომ ეს დრო სწორედ კარგი დროა ჩვენის აზრის განსახორციელებლად - მეთქი...

გაზეთებში მქონდა წაკითხული, რომ პეტერბურგში ჰმოქმედებდა წერა-კითხვის გამავრცელებელი

წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაარსება

ბელი კომიტეტი (Комитет грамотности при Импер. Вольно-Экономическом Обществе). მივწერე ამ კომიტეტს, რომ თავისი წესდება გამოეგზავნა ჩემთვის. მივიღე პასუხი, რომ ჩვენი წესდება თქვენ არ გამოგადგებათ და გირჩევთ, ხარკოვს მიჰმართოთ, სადაც დაწესებულია იმისთანა საზოგადოება, როგორც თქვენა გსურთ და გამოგადგებათ. მე ხარკოვის საზოგადოებასაც მივმართე. იქიდგან მოიწერეს, რომ ჩვენ საზოგადოებას დაბეჭდილი წესდება არა აქვს და გადაწერაც ეგრე ადვილი არ არისო. იმასაც უმატებდნენ, რომ ერთი ეგზემპლარი ჩვენის საზოგადოების წესდებისა ამ რამდენიმე წლის წინად ტფილისს თავად ზაქარია გიორგის ძე ერისთავს გავუგზავნეთო.

მაშინვე მივმართე ამ დიდად პატივცემულ პირს, რომელმაც დიდის სიხარულით გადმომცა ხარკოვის საზოგადოების წესდება. ამ დროს დიმ. ყიფიანი... მარშლად კი აღარ იყო, არამედ ტფილისის მოურავად იყო (როგორც მახსოვს, მოურავად ამორჩეულ იქმნა 1876 წელს); ნ. ცხვედაძე, ი. გოგებაშვილი და მე შევიყარენით და ვთხოვეთ დ. ყიფიანს, მონაწილეობა მიეღო ამ სასარგებლო საქმეში - შეგვემუშავებინა ხარკოვის საზოგადოების წესდება და შეგვედგინა საქართველოში წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წესდების პროექტი. დ. ყიფიანმა წინაპირველად არ ისურვა, მონაწილეობა მიეღო ამ საქმეში, მაგრამ შემდეგ ჩვენი აზრი მოეწონა, დაგვეთანხმა და კვირაში ერთხელ, ხანდისხან ორჯელაც, ვიკრიბებოდით ხოლმე იმის სახლში წესდების შესადგენად.

თუმცა, როგორც ზევით მოვიხსენიეთ, ხარკოვის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წესდება გვქონდა, მაგრამ იმაში ბევრი იმისთანა რამ იყო, რაც ჩვენ არ გამოგადგებოდა, ჩვენს ცხოვრებასა და ზნეს ეწინააღმდეგებოდა; ამიტომ წესდების შედგენას თითქმის მთელი 1877 წლის ზამთარი და 1878 წ. იანვარი მოუწდა. ვიდრე გავათავებდით მის შედგენას, ზევით მოხსენებულთა გარდა არავის მონაწილეობა არ მიუღია, ხოლო მახსოვს, ერთხელ თუ ორჯელ, ბატონი ანტონ ფურცელაძე დაესწრო ჩვენს შეკრებას; ისიც, ვგონებ, როგორც დიმიტრი ყიფიანის სახლობის ნათესავი, სტუმრად მოსულიყო. როდესაც წესდება მზად იყო, 30 იანვარს 1878 წ., თ. გრ. დიმ. ორბელიანის სახლში შევიყარენით, სადაც მოწვეულნი იყვნენ მის მიერ ყველანი, რომელთაც მონაწილეობა უნდა მიეღოთ ამ საზოგადოებაში, როგორც წევრთ. დ. ყიფიანმა წაკითხა წესდებ, რომელიც ყველამ მოინწონა. კრებაზედ ერთი ეპიზოდი მოჰხდა, რომლის მოხსენება არ იქნება მეტი, რადგანაც მით ცხადად



სჩანს დიმიტრი ყიფიანის აზრი სომეხთა შესახებ.

წესდების პროექტის წაკითხვის შემდეგ დიდს ხანს იყო ბაასი იმის გამო, თუ რა სახელი გვეწოდებინა საზოგადოებისთვის. თავადი გრიგოლ ორბელიანი იმ აზრისა იყო, რომ ის სახელი გვეწოდებინა, რომელსაც ამჟამად ვუწოდებთ. ამაზე დიმიტრი ყიფიანმა უპასუხა, რომ ეგ სახელი ვერ გამოვა რიგიანიო, რადგანაც სომეხთ, ამ ჩვენთა მოძმეთა და მეზობელთა, წილი აღარ დაედებათ იმათში, რომელთა შორისაც უნდა ვრცელდებოდეს წერა-კითხვა და ეს, ჩემის აზრით არ არის სასურველიო. გრ. ორბელიანმა სთქვა, რომ ეგ დასამალავი არ არის, ყველამ გავიგეთ, შევიტყუეთ და დავრწმუნდით, რომ სომეხნი, თუმცა ჩვენი მეზობელნი არიან, მაინც იმათგან მტრობის მეტს არას უნდა მოველოდოთო, რადგანაც ამ ბოლო დროს აშკარად გამოიჩინეს და დაამტკიცეს ასეთი თვისი განზრახვაო. თავადმა გიორგი რომანოზის ძე ერისთავმა (ატამანმა) დიმიტრი ყიფიანის მხარე დაიჭირა და გრ. ორბელიანს უპასუხა, რომ ჩვენ მაგას არ უნდა გამოვუდგეთო; ჩვენ როგორც აქამდე ვყოფილვართ სომეხთათვის ერთგულნი მეზობელნი და ამხანაგნი ლხინსა და ჭირში, ისევ ისე უნდა დავრჩეთ, ხოლო სომეხებს, როგორცა სურდეთ, ისე მოიქცნენო.

შემდეგ ამისა, კრებამ ისურვა, რომ სომეხებსაც შეეძლოთ მონაწილეობის მიღება საზოგადოებაში. ამის გამო საზოგადოების დამფუძნებელ წევრთა შორის ირიცხებიან: გრაფი მ. ტ. ლორის-მელიქოვი, თავადნი: ის. შიოშის ძე თუმანიშვილი, იასონ თუმანიშვილი, ალ. სტ. ანანოვი, ს. შაჰ-პარონიანცი და სხვ.

იმ დღესვე კრებამ დაადგინა: მიენდოს დიმიტრი ყიფიანს, თ-დ ილია ჭავჭავაძეს და ბესარიონ ლოლობერიძეს, წარუდგინონ ეს წესდება მთავრობას დასამტკიცებლად... თითქმის ოთხი თვე ვატარებდი ამ წესდებას ხელის მოსაწერად იმათთან, ვინც კი ტფილისში სცხოვრობდა; შემდეგ წესდება გადავიცი დიმიტრი ყიფიანს და 24 ივნისს 1878 წ. წარდგენილ იქმნა მთავრობის წინაშე დასამტკიცებლად. ახლა ის გვანუხებდა, რომ მთავრობას მალე დაემტკიცებინა; თუმცა ბევრსა ვცდილობდით, მაინც დამტკიცებამ ძალიან დაიგვიანა - ცხრა თვეზე მეტმა გაიარა (დამტკიცდა 31 მარტს 1879 წ.). მიზეზი ის იყო, რომ ძალიან დიდი ბაასი გამოიწვია ამ წესდების შესამე მუხლმა, რომელშიაც მოხსენიებულია: „საზოგადოება თავისს მიზანს იმითი მიაღწევს, რომ სახალხო სკოლებში დასაწყისს სწავლებას დაადგენს სამშობლო ენაზედ, რომელიც ესმით მოსწავლეებს“ და სხვ.

ჩვენი წესდება მთავრობამ გადასცა კავკასიაში სწავლა-განათლების მზრუნველს თვისის აზრის გამოსათქმელად. იმ ჟამად ძველი მზრუნველი ნევეროვი გამოსცვალეს და წავიდა აქედგან, ახალი კი ჯერ არ იყო დანიშნული. მისს თანამდე-

ბობას ასრულებდა ნ. ლ. მოძალევსკი, რომელსაც მე კარგად ვიცნობდი და არ ვასვენებდი, ძალას ვატანდი, მალე წარედგინა მთავრობისათვის თავისი აზრი. მოძალევსკიმ მოითხოვა ზემოხსენებული მუხლის შეცვლა, ამიტომ ჩვენ, წესდების შემდგენლები, იძულებულნი ვიყავით, ზოგიერთი რამ დაგვეთმო მესამე მუხლში მოხსენებულიდან და ამ მიზეზით წესდების ზოგიერთი ფურცლის გადაწერა დაგვჭირდა. შემდეგ მოძალევსკიმ ორჯელ კიდევ მოითხოვა ამავე მუხლის გადაკეთება, მაგრამ ჩვენ აღარ დავთანხმდით და პირდაპირ ვუთხარით, რომ შეგიძლიანთ თქვენი აზრი წარუდგინოთ მთავრობას და, თუ ის არ დაამტკიცებს, დაეწესდეს დაამტკიცებს, ჩვენ კი მაგ მუხლს ვეღარ შევცვლით, რადგანაც მაგ მუხლის შეცვლით საზოგადოებას წაერთმევა ღონისძიება, თვისი დანიშნულება აღასრულოსო და სხვა და სხვა.

ცოტა ხანს შემდეგ კავკასიის ნამესტნიკის მთავარ-სამმართველომ თავის მხრივაც მოითხოვა ამ მესამე მუხლის შეცვლა. ამაზე დიმიტრი ყიფიანმა 25 მარტს 1879 წ. წარადგინა ჩვენ მიერ ერთად შედგენილი განმარტების ქალაღი და არ გავიდა ერთი კვირა (31 მარტს), რომ წესდება დამტკიცდა...



ვახტანგ თულაშვილის მოგონება „წერა-კითხვის საზოგადოების დაარსება“ მეტად საყურადღებო და, რაც მთავარია, სანდო წყაროა ქმნვე საზოგადოების დაარსების ისტორიისათვის. სანდო იმდენად, რამდენადაც ვ. თულაშვილი ფაქტების გადმოცემისას საერთოდ გამოიჩინოდა ობიექტურობითა და კეთილსინდისიერებით... ამის გარდა, იგი ქმნვე საზოგადოების სათავეებთან იდგა და თვალსაჩინო ფიგურაც იყო ამ სრულიად განსაკუთრებული მნიშვნელობის საზოგადოებრივ-კულტურული დაწესებულების დაფუძნებაში.

ვ. თულაშვილის წინამდებარე მოგონება (დასათურება ჩვენია) ამოღებულია ავტორის წერილიდან - „შენიშვნა“ („მოამბე“, 1895, N5, განყ. II, გვ. 44-53), რომელშიც ვ. თულაშვილი ეხება დიმიტრი ყიფიანის საზოგადოებრივი მოღვაწეობის რამდენიმე მიმართულებას (სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკი, ქმნვე საზოგადოება, თეატრი)...

დასასრულ, დავძენთ, რომ ვ. თულაშვილის წინამდებარე თხზულება ავსებს (ზოგ შემთხვევაში აზუსტებს კიდევ!) ი. გოგებაშვილის მიერ 1911 წელს დაწერილ მოგონებას - „როგორ დაარსდა „წერა-კითხვის საზოგადოება“ (ი. გოგებაშვილი, რჩეული თხზულებანი ხუთ ტომად, ტ. III, თბ., 1990, გვ. 251-258).

**პუბლიკაცია მოამზადა
თამაზ ჯორჯუამ**

**დალი მაჩაიძე**

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

140 წელზე მეტი გავიდა, რაც დიდ ეროვნულ საკითხთა მოსაგვარებლად დაფუძნდა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება. მთელი თავისი არსებობის მანძილზე ემსახურა ის ეროვნული სულისკვთების გაღვივებასა და კულტურის წინსვლას; ქართული პედაგოგიური აზრის განვითარებასა და განათლების სისტემის ჩამოყალიბებას. მრავალმხრივი და კეთილნაყოფიერი იყო მისი მოღვაწეობა: თბილისსა და ქუთაისში დააფუძნა ქართული სათავადაზნაურო გიმნაზიები; როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთულ ქართულ დასახლებებში დაარსა და განავითარა სასკოლო-საგანმანათლებლო კერები და საბიბლიოთეკო ქსელი; უცხოეთის უნივერსიტეტებში საზოგადოების ხარჯზე სწავლის გაგრძელების საშუალება მისცა ქართველ ახალგაზრდებს; შექმნა ქვეყნის უმდიდრესი ბიბლიოთეკა: მოიძია, შეისყიდა, შემოწირულობათა სახით შეკრიბა იშვიათი ხელნაწერი თუ ძველნაბეჭდი წიგნები; წიგნსაცავის ფონდი შეავსო როგორც ქართული, ისე საქართველოს შესახებ დაბეჭდილი უცხოური გამოცემებით და ამით საფუძველი ჩაუყარა ეროვნული წიგნადი ფონდის შექმნას; მნიშვნელოვანი ყურადღება დაუთმო წიგნების გამოცემას; ქართული ხალხური სიტყვიერებისა და სამუსიკო ფოლკლორის ნიმუშთა შეკრება-გამოქვეყნების საქმეს; მრავალხმიანი საერო სიმღერებისა და სასულიერო საგალობლების ნოტებით ჩაწერას; თავი მოუყარა ხელოვნების ნიმუშებსა და ისტორიულ ნივთებს, უზრუნველყო ამ საგანძურის აღრიცხვა და დაცვა ბიბლიოთეკა-მუზეუმში; მატერიალურად და იდეურად ეხმარებოდა ქართულ თეატრს; ზრუნავდა სამეცნიერო თუ სალიტერატურო პროცესების განვითარებაზე; მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა სოციალური პირობების გაუმჯობესებაზე; მართავდა გარდაცვლილ მამულიშვილთა ხსოვნის უკვ-

მერეთელი ფურცელაძეები ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა და ერის სამსახურში

დავსაყოფ ღონისძიებებს; იტვირთა ისტორიულ-არქიტექტურულ ძეგლთა შესწავლა-პატრონობაც და ეს ყველაფერი აკეთა მეტად თავმდაბლური სახელწოდების ქვეშ...

ქმნვე საზოგადოების შექმნისა იდეა გაჩნდა შიდა ქართლში, გორში, ლიტერატორისა და საზოგადო მოღვაწის, იოსებ მამაცაშვილის ოჯახში. ერის გულშემმატკივართა ამ შესაკრებელში ხშირად სტუმრობდნენ, სამშობლოს ბედზე ბჭობდნენ და სამოქმედო გზებს სახაზდნენ: იაკობ გოგებაშვილი, დიმიტრი ბაქრაძე, დიმიტრი მუსხელიშვილი, კონსტანტინე მამაცაშვილი, ვახტანგ თულაშვილი, ანტონ ფურცელაძე და სხვები. ისინი დარწმუნდნენ, რომ თითო-ოროლა კერძო სკოლის გახსნა და ქართული ენის სწავლების შემოღება მხოლოდ დანყებით კლასებში, არსებითად ვერ უშველიდა ვერც ქართული ენის და ვერც ქართული ცნობიერების გადარჩენას. ამიტომ განიზრახეს ფართო პროფილის საზოგადოების ჩამოყალიბება. შეთანხმდნენ, რომ მთელ საქართველოს გადასწვდენოდნენ საქმით, რომ ამ გზით შეწინააღმდეგებოდნენ რუსიფიკატორული პოლიტიკის გამანადგურებელ გავლენას; საზოგადოებისათვისაც მოკრძალებული სახელწოდება შეარჩიეს. ამით შეუნიღბეს რუსეთის იმპერიას მათი დიდი ეროვნული მიზანი. საბედნიეროდ, ხერხმა გაჭრა: საზოგადოებამ დაარსების უფლება მოიპოვა, ხოლო იდეამ - ერის საუკეთესო ნაწილის სრული მხარდაჭერა. ქმნვე საზოგადოებაში აქტიურად თანამშრომლობდნენ გამოჩენილი მოღვაწეები. მთლიანობაში საზოგადოება ითვლიდა 23 საპატიო და 15 ათასზე მეტ მხარდამჭერ წევრს. მათმა ურთიერთთანადგომამ და თავდადებას ნათელი კვალი და მამულისადმი მსახურების მაგალითი დაუტოვა შთამომავლობას.

ცხადია და ბუნებრივი, რომ ქმნვე საზოგადოების საქმიანობას უმთავრესად ქართველი თავად-აზნაურები - წარჩინებული გვარის წარმომადგენლები წარმართავდნენ. ამჯერად მკითხველის ყურადღებას მივაპყრობთ აზნაურ ფურცელაძეების როლს მამულის სასარგებლოდ ზრუნვაში. მრავალრიცხოვანია ფურცელაძეთა გვარი. ისინი სახლობენ იმერეთში, ქართლსა და კახეთში. მათგან საზოგადოებრივ ასპარეზზე მეტად აქტიურობდნენ ქართლის სატახტო და საციციანო აზნაურები. ფურცელაძეთა შორის ქმნვე საზოგადოების წევრებად

სახელდება 20-ზე მეტი პირი. ჩვენი მიზანი არაა თითოეული მათგანის ვინაობისა და საქმიანობის კვლევა. წარმოვაჩინოთ მხოლოდ საციციანოს ფურცელაძეებს, სოფელ მერეთის მკვიდრთ, რომელნიც გამორჩეულად ემსახურნენ მამულს და თავისი ღირებული წვლილი შეიტანეს ქმნვე საზოგადოების წარმატებულ საქმიანობაში.

ფურცელაძეთა სამკვიდრო სოფელი მერეთი ქართლის ვაკეზე, გორიდან 30 კილომეტრის დაშორებით, პატარა ღიახვის პირასაა გაშენებული. იგი მრავალი ჭირ-ვარამის გადამტანი ქართლის სატკივართა მოზიარე იყო ოდითგანვე. კონფლიქტის ზონაში, გამყოფ ხაზთან, მოექცა მერეთი 2008 წლის ომის შემდეგ. მაშინ არაერთი ისტორიული სოფელი მიიტაცა ოკუპანტმა; იძულებით დაატოვებინა სამკვიდრო; უპოვარად აქცია იქაური შეძლებული მოსახლეობა - მოსპო, მიწასთან გაასწორა მათი სახლ-კარი; გააჩანაგა ქართლის ცნობილი ხილის ბაღებიც - იმ კუთხის კეთილდღეობის უმნიშვნელოვანესი საყრდენი, მერეთელი ხალხოსნის, აზნაურ ისაია იოველის ძე ფურცელაძის (1851-1924) მამულიშვილური მოღვაწეობის შედეგი. ოკუპანტთაგან სარწყავი წყლის გადაკეტვით განადგურება დაემუქრა მერეთში ისაია ფურცელაძის მიერ 100-ზე მეტი წლის წინ გაშენებულ ხეხილის ბაღში შემორჩენილ ხეებსაც...

რჩეული პიროვნებები და საზოგადო მოღვაწეები შეჰმატა ჩვენს ქვეყანას მერეთელი ფურცელაძეების შტომ. მათ შორის უპირველესად სახსენებელია საქართველოს საჩინო, უერთგულესი და თავდადებული შვილი - დიმიტრი ყიფიანი. 1814 წლის 14 აპრილს მერეთში, მერეთელმა ფურცელაძემ გაუჩინა იგი სამშობლოს. იქ, დედუღეთში, დაიბადა ქოჩო (ივანე) ყიფიანისა და ბარბარე ფურცელაძის სასიქადულო ვაჟი; ფურცელაძეთა ოჯახში აიდგა ფეხი; იქ ისწავლა წერა-კითხვა; მერეთის წმინდა გიორგის ეკლესიაში მონათლა მღვდლმა იოსებ ფურცელაძემ ან საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის სინოდის მიერ წმინდანად შერაცხული, სამშობლოს ღირსების დაცვისათვის თავდადებული მამულიშვილი.

თავისი დროის თითქმის ყველა საერო წამოწყების მოთავე და ხელმძღვანელი იყო დიმიტრი ყიფიანი. უიმისოდ არ ყოფილა რაიმე მნიშვნელო-

ვანი საზოგადოებრივი საქმე იმდროინდელ საქართველოში. მან გახსნა პირველი კერძო ბიბლიოთეკა თბილისში. მისი თანადგომითა და უშუალო მონაწილეობით დაფუძნდა პროფესიული ქართული თეატრიც და თბილისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკიც. მისი შუამდგომლობით დაარსდა პირველი ქართული ჟურნალი - „ცისკარი“ და საფუძველი ჩაეყარა ეროვნულ ჟურნალისტიკას. საქართველოს მომავალ თაობაზე ზრუნვის თვალსაჩინო მაგალითია მისი „ახალი ქართული გრამატიკა, სხარტულად დაწერილი მამისაგან შვილებსათვის“. პეტერბურგის აკადემიის სტამბაში, 1882 წელს დაბეჭდილი ეს წიგნი ადვილად დაგარნმუნებთ, რომ ავტორი, საკუთარ შვილებთან ერთად, მთელი საქართველოს შვილებზე ფიქრობდა მისი შექმნისას. სახელი გაუთქვა საზღვარგარეთ ქართულ ტრადიციულ მეღვინეობას; დიდება მოუპოვა სამშობლოსა და ქართულ ღვინოს დიმიტრი ყიფიანმა, როცა, 1907 წელს, ბელგიის ქალაქ ოსტენში, ევროპის ღვინის ფესტივალზე გაიტანა თავის ღვინო, თავის მამულში ჩამოსხმული, ბიძაშვილთან ერთად. ოქროს გრან-პრი დაიმსახურა მაშინ ღვინომ, საბჭოთა ეპოქაში ხვანჭკარად სახელდებულმა. აღიარებული პუბლიცისტი და მთარგმნელი, დაფასებული სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე, დიმიტრი ყიფიანი, სხვადასხვა დროს გახლდათ: თბილისის თავადაზნაურობის წინამძღოლი; თბილისის ქალაქის თავი და ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლი.



დიმიტრი ყიფიანი

დიმიტრი ყიფიანმა წარმმართველი როლი შეასრულა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაარსებასა და ფუნქციონირებაშიც: მან შეიმუშავა საზოგადოების წესდების პროექტი; მან, ილია ჭავჭავაძესა და ბესარიონ ლოლობერიძესთან ერთად, წარადგინა საზოგადოების წესდება კავკასიის მეფისნაცვლის კანცელარიაშიც. მისი დამტკიცებისა და საზოგადოების დაარსების შემდეგ, დიმიტრი ყიფიანი ქმნვე საზოგადოების დამფუძნებელი წევრი, გამგეობის წევრი და პირველი თავმჯდომარე გახდა (1879-1882 წწ); მანვე შეადგინა საზოგადოების საქმის წარმოების წესებიც.

მუდამ სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა დიმიტრი ყიფიანისათვის ეროვნული ინტერესები-



სა და ღირსების დაცვას. ამის გამო გადაასახლეს ორჯერ: პირველად 1832 წლის შეთქმულებაში მონაწილეობის გამო; მეორედ - ქართველი ერის დამანყევარი ეგზარხოსის, პავლე ლებედევის, საქართველოდან გაძევების მოთხოვნისათვის. 1887 წლის 24 ოქტომბერს იქ, უცხოეთში, მოკლეს ვერაგულად მსცოვანი მამულიშვილი. „ის ტვინი, რომელიც საქართველოზე ჰფიქრობდა, თავზე გადაანთხიეს... იმ გულზე, რომელიც სამშობლოსათვის სძგერდა, ცივი ხელები დააკრეფინეს“ – წერდა ამის შესახებ აკაკი წერეთელი. ეროვნულ მანიფესტაციად ქცეულა დიმიტრი ყიფიანის ჩამოსვენება და დაკრძალვა საქართველოში. პოლიციას უცდია მთავარმართებლის ბრძანების შესრულება, მაგრამ ვერ შეუკავებია ეპისკოპოსი ალექსანდრე ოქროპირიძის წინამძღოლობით სასახლის გავლით მთაწმინდისაკენ მიმავალი პროცესია.

დიმიტრი ყიფიანის დედულეთის, მერეთელი ფურცელაძეების არაერთი წარმომადგენელიც მრავალმხრივ და გულმოდგინედ ემსახურა სამშობლოს. მათ შორის იყვნენ: წიგნიერებისა და კულტურის მსახურნიც, წარმატებული სამხედროებიც, ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მოამაგე ერისკაცებიცა და სასულიერო პირებიც. ზოგი მათგანი მერეთიდან გავიდა დიდ ასპარეზზე; ზოგმა სამკვიდრო მამული იკმარა სამოღვაწეო სივრცედ და იქიდან ემსახურა ქვეყანას. მერეთში, სოფლის განაპირას, მონაზონ მართა და თეკლა ფურცელაძეების ძალისხმევით აღდგენილი წმინდა გიორგის ეკლესიის შემოგარენშია ფურცელაძეთა ძვალთშესალაგი. სამუდამო განსასვენებელიც იქ ჰპოვა ბევრმა მათგანმა.

თავდაპირველად უნდა ვახსენოთ ანტონ ნიკოლოზის ძე ფურცელაძე (1839-1913) - ცნობილი მწერალი, მთარგმნელი, პუბლიცისტი, სათავადაზნაურო ბანკის თავმჯდომარეც. მერეთში დაიბადა და გაიზარდა იგი. ქართველ ხალხოსნებთან დაახლოვებული ანტონი სრულად იზიარებდა მათ სულისკვეთებას; იბრძოდა სკოლებში ქართულ ენაზე სწავლების დასამკვიდრებლად; განათლებისა და კულტურის გასავრცობად; ნაფიც მსაჯულთა და ერობის ინსტიტუტის შემოსაღებად. ანტონ ფურცელაძეს, თბილისში ცხოვრების დროს, რამდენიმე სემინარიელთან ერთად, დაუქირავებია ოთახი კალოუბნის ქუჩაზე, მანამდე ბარონის (ბარონ როზენის) ქუჩას რომ უწოდებდნენ. დღეს ეროვნული მუზეუმის ადმინისტრაციული შენობა და ეროვნული ბიბლიოთეკის მეორე-მესამე კორპუსების ერთი მხარე გამოდის იმ ქუჩაზე, ახლა ანტონ ფურცელაძის სახელს რომ ატარებს. მოწინავე ახალგაზ-

რდობის თავშესაყარ ადგილად გადაუქცევია ანტონს ის ბინა; შემოუკრებია ისინი, ვინც ქვეყნის თვითგანვითარების აუცილებლობას აცნობიერებდნენ; საზოგადოებრივი საკითხებით ინტერესდებოდნენ და მამულის გაძლიერების საშუალებებს ეძებდნენ. ამ წრეში შეკრებებზე ეცნობოდნენ მოწინავე მიმართულების უცხოურ გამოცემებს და კითხულობდნენ მომზადებულ რეფერატებს. ფაქტობრივად, ამ წრემ ჩაუყარა საფუძველი ქართულ თეატრს; მათ შორის იყვნენ ქმნვე საზოგადოების დაარსების მესვეურიცა და შემდგომ წევრებიც.

როგორც აღვნიშნეთ, ანტონ ფურცელაძე იყო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაარსების იდეის ერთ-ერთი პირველი მხარდამჭერთაგანი. იგი საზოგადოების გამგეობის აქტიური წევრიც გახდა და, როგორც ხელმოკლე აზნაურს, ყოველწლიურ საწევროდ მათთვის დანესებული 3 მანეთი შეჰქონდა საზოგადოებაში. ანტონს საზოგადოების წიგნადი ფონდისათვის შეუწირავს ერთი იშვიათი, ქართული გამოცემა - სავედრებელი ღვთისმშობლისა, იმერეთის სამეფოში გამოცემული პირველი მინიატურული წიგნი, რომელიც რაჭის სოფელ წესში დაიბეჭდა 1809 წელს, ჟამიანობის დროს. დღეს იგი ეროვნული ბიბლიოთეკის ქმნვე საზოგადოების კოლექციაშია დაცული FS 1327 ნომრით.

ანტონ ფურცელაძის წრეს გააზრებული ჰქონდა ქვეყნის სამეურნეო განვითარების აუცილებლობაც. მათი მიზანდასახულებები აისახა ანტონის პუბლიცისტურ საქმიანობაშიც: იგი თანამშრომლობდა „ცისკარსა“ და „დროებასთან“; რედაქტორობდა „გუთნის დედას“ - პირველ აგრონომიულ ჟურნალს ქართულ ენაზე. მისი თაოსნობით გამოდიოდა ჟურნალი „მნათობიც“. ამასთან დაკავშირებით, ერთი უსიამოვნო შემთხვევა შავ ლაქად გაჰყვა ანტონ ფურცელაძის ცხოვრებას. უზომოდ განურისხებია იგი ჟურნალ „მნათობის“ შესახებ გამოქვეყნებულ ნიკოლაძის კრიტიკულ წერილს; რედაქციაში მივარდნია ნიკო ნიკოლაძეს და ორჯერ უცდია მისი მოკვლა. საბედნიეროდ, ორივეჯერ მოუსწრია ნიკოლაძეს იარაღზე ხელის აკვრა...

1905 წელს ანტონ ფურცელაძე სათავადაზნაურო ბანკის თავმჯდომარედ აირჩიეს და თითქმის სიცოცხლის ბოლომდე მუშაობდა ბანკში. ორიოდ წლით ადრე დაანება თავი სამსახურს; სოფელ არბოში გადასახლდა მუდმივ საცხოვრებლად, მაგრამ იქ გარდაიცვალა 1913 წლის 3 ნოემბერს. ანდერძის თანახმად დაუკრძალავთ მერეთის საგვარეულო სასაფლაოზე ანტონ ფურცელაძე; ამითაც გამოუვლენია თავისი განსაკუთრებული სიყ-



ვარული სამკვიდრო მამულის მიმართ. ვინ იცის, ნიკოლაძესთან დაკავშირებული შემთხვევა იყო თუ არა ამის მიზეზი, რომ სიცოცხლეში სათანადოდ დაფასებულად არ მიიჩნია ეს დაუღალავი მოღვაწე ცნობილმა მწერალმა ეკატერინე გაბაშვილმა და ნუხილი გამოთქვა ამის გამო. ზაქარია ჭიჭინაძემ შეკრიბა და წიგნად გამოსცა ანტონ ფურცელაძის გარდაცვალებასთან დაკავშირებული სამგლოვიარო სიტყვები. ამ გამოცემაში პირველი ადგილი ეთმობა ეკატერინე გაბაშვილის გამორჩეულად ემოციურ წერილს. ესაა მოკლე, მაგრამ ამომწურავი, მრავლისმეტყველი შეფასება ანტონ ფურცელაძის პიროვნებისა და მოღვაწეობის; წარმოაჩენს რა გარდაცვლილის უმთავრეს ღირსებებს, ეკატერინე გაბაშვილი აღნიშნავს, რომ ანტონ ფურცელაძე იყო ცოცხალი ნიმუში ქართული გულგუტეხელობისა; რომ ეს, ღარიბი აზნაურის ოჯახში დაბადებული კაცი, გამოირჩეოდა გასაოცარი თანადგომის უნარით; რომ მისი სახლი, ჯიბე და ხელი, მუდამ დროულად და მეგობრულად განვდილი დახმარებისათვის, სწორ გზაზე აყენებდა და საზოგადოებრივი საქმიანობისათვის ამზადებდა უილაჯობისაგან თავგზააბნეულ ახალგაზრდებს; რომ ქალთა საკითხებსაც მოიცავდა მისი მოწინავე იდეები; რომ მისი ხელშეწყობით არაერთი ქართველი ქალი ჩაება საზოგადოებრივ საქმიანობაში; გავიდა ქართულ სცენაზე; სასწავლებლად წავიდა უცხოეთში.

ქმნვე საზოგადოების წევრი იყო ალექსანდრეც, ანტონ ფურცელაძის უფროსი ძმა. მერეთელ ღირსსახსოვარ ადამიანთა რიცხვს განეკუთვნება ისაია იოველის ძე ფურცელაძე. მისი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბება და საზოგადოებრივ საქმიანობაში ჩართვა მნიშვნელოვნად განსაზღვრა გვარიშვილებისა და მათი საახლობლო წრის პირადმა მაგალითებმა. ამიტომ იყო, რომ ისაიას სახით კიდევ ერთი ჩინებული წევრი და მოამაგე შეემატა ჩვენს ქვეყანას. ისაია ფურცელაძე იყო მეხილეობის ფუძემდებელი საქართველოში და ამით ქართლის მოძლიერების მესაძირკვე. მან მოახერხა, დაერწმუნებინა ქართლის მოსახლეობა მათთვის მეხილეობის უპირატესობაში, მევენახეობასთან შედარებით. ისაია გახდა ხალხის დამკვალიანებელი, განმანათლებელი და დამხმარე ამ საქმეში. მერეთი ყველაფერი იყო ისაიასთვის: სამკვიდრო მამულიც, დაბადების ადგილიცა და სამოღვაწეო ასპარეზიც. ცნობილია, რომ იგი ზრუნავდა სამკვიდრო მამულის კულტურულ მდგომარეობაზე და თეატრალურ წარმოდგენებს მართავდა სოფელ მერეთში. სწორედ მისი ხელმძღვანელობით დაიწყო

სასცენო მოღვაწეობა ელისაბედ ჩერქეზიშვილმა, შემდგომში ცნობილმა მსახიობმა, რომელმაც მერეთში განასახიერა თავისი პირველი როლი - ქაბატო, სიკო ცაგარელის სპექტაკლში „ხანუმა“. პირველად იქ, ისაიას დამსახურებით, მიიპყრო ყურადღება ელისაბედმა, როგორც მსახიობმა, იქ განაცვიფრა თავისი სასცენო მონაცემებით სოფელში სააგარაკოდ ჩასული ინტელიგენცია და იქიდანვე გავიდა დიდ ასპარეზზე.

თბილისის სამასწავლებლო სემინარიის დამთავრების შემდეგ, ხალხოსანთა თანამოაზრე ისაიამ, გორის მაზრაში, სოფელ ორთევში დაიწყო პედაგოგობა. თუმცა მას სკოლის დატოვება გადაწყვეტინა მაშინდელმა რუსიფიკატორულმა საგანმანათლებლო პოლიტიკამ, რომელიც სასწავლო პროცესის მხოლოდ რუსულად წარმართვასა და ქართულის უგულბელებს ავალდებულებდა პედაგოგს. ისაია ფურცელაძე აგრონომი და მეხილეობის მამამთავარი გახდა საქართველოში; თავისი შრომითა და მოღვაწეობით გაუთქვა სახელი სამკვიდრო სოფელსაც. კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების მდივნის, ეგნატე იოსელიანის თქმით, მერეთში საუკეთესო ხეხილის ბაღის გამშენებელ ისაია ფურცელაძეს, არც უმაღლესი არც სპეციალური განათლება არ ჰქონდა საამისოდ. თუმცა სანინააღმდეგოს გვამცნობს მერეთში არსებული ზეპირი გადმოცემა, რომლის მიხედვითაც, ისაია ფურცელაძეს საფრანგეთში მიუღია აგრონომიული განათლება; სამშობლოში დაბრუნებულა და თან ჩამოუტანია ხეხილის ახალ ჯიშთა ნერგები. თავის პატარა მამაპაპისეულ მამულში დაურგავს ნამყენები და ამით ჩაუყრია საფუძველი ხეხილის ბაღის გაშენებისათვის მერეთის ერთ-ერთ უბანში, ხაშილაურში. ფაქტი ისაა, რომ ისაია ფურცელაძე გონივრულად წარუძღვა მეურნეობას: მან თანდათან გააფართოვა თავისი ბაღი ღიახვის ქალის მამულთა შესყიდვით, ხოლო წყალმომარაგებისაგან მისი დაცვის მიზნით, დიდ მანძილზე გაამაგრა მდინარის ნაპირი. ისაია ადგილობრივ პირობებს უხამებდა ბაღში დასარგავ ჯიშებს; ყურადღებას აქცევდა: ნამყენთა ნაყოფის გემოს, ხარისხს, გამძლეობასა და მდგრადობას გარემო პირობების მიმართ. ისაია უცხოეთიდან იწერდა კატალოგებსა და სხვა სპეციალურ წიგნებს თვითგანვითარებისთვის. სწავლობდა პრაქტიკული გამოცდილებითაც. ამის შედეგად იყო, რომ ხეხილის ბაღში ჰქონდა 200-მდე ჯიშის ვაშლი, მსხლი და ატამი. ვაშლის სხვადასხვა ჯიშთა შეჯვარებით, მან ხაშილაურის მამულში გამოიყვანა ახალი სახეობა, რომელსაც „მერეთულა“ დაარქვა. ისაია ფურ-



ცელაძის სახელს უკავშირდება მსხლისა და ვაშლის სხვა ისეთი ჯიშების შექმნასაც, დღემდე რომ მოსწონთ და აშენებენ. მათგან საუკეთესოა მსხალი ჟოზეფინა დე-მალინი, რომელიც შემოდგომაზე ჯერ კიდევ მკვახე იკრიფება, არც გემო აქვს და არც სურნელი, მაგრამ იანვარში მნიფდება, ძალზე გემრიელდება და კარგადაც ინახება ორ თვეს; ისაიასეულ ვაშლებს შორის კი განსაკუთრებით გამოარჩევენ ბანანს. მებაღეობასთან ერთად, პედაგოგობაც ძირითადი საქმიანობა იყო ისაია ფურცელაძისათვის. ის ცოდნას უზიარებდა ყველას, ვისაც ამ საქმით დაინტერესებას შეატყობდა. არც ნერგებს იშურებდა მათთვის და უფასოდ ატანდა; არ დარდობდა მოპარულ ნერგებზეც, ოღონდ გარჯილიყვნენ და მოენდომებინათ გასაჭირიდან თავდაღწევა. მამულის საკეთილდღეოდ, ფაქტობრივად, სასწავლო-სამეურნეო ხეხილის ბაღი შექმნა ისაიამ ხაშილაურში; ბაღებისგან მიღებული შემოსავლით კი შეძლო მერეთის სამეურნეო სასწავლებლის გახსნაც, რითაც სასოფლო-სამეურნეო განათლების ერთ-ერთი სულისჩამდგმელი გახდა საქართველოში. თავისი თავდაუზოგავი მონდომებითა და თვალსაჩინო შრომისნაყოფიერებით მოახერხა ისაიამ ხალხის დაინტერესება მეხილეობით. მისი ბაღებით ირწმუნა ხალხმა ამ დარგის მომგებიანობა და უპირატესობა ქართლისათვის. ისაია ფურცელაძის მოღვაწეობის ამბები აისახა იმ დროის ქართულ პრესაში. აქ წარმოგვიჩინოთ ზოგიერთ მათგანს:

1886 წლის 3 ოქტომბერს „ივერია“ იტყობინებოდა: „ქართლიდან გვწერენ, აგერ რამდენიმე ხანია მერეთში სასოფლო სკოლა დაარსდაო. სკოლის მასწავლებელია იმ სოფლის მკვიდრი ისაია ფურცელაძე. რომელმაც თავის მამულში სამაგალითო ბაღი, სივრცით 20 დღიურამდე გააშენა და 1000-მდე მარტო ვაშლისა და მსხლის ხე უდგიაო. თავისუფალ დროს თვითონვე მუშაობს და შეგირდებს ასწავლის მცნობას და ბაღის მოვლას“. 1888 წელს იმავე „ივერიის“ ცნობით, გამორჩეულად უხვი და მრავალფეროვანი ნიმუშები გაუტანია ისაია იოველის ძე ფურცელაძეს მეხილეობის გამოფენაზე.

1910 წელს ჟურნალი „მოსავალი“ (№6), იუწყებოდა, რომ იმ დროისათვის ისაიას ბაღი უკვე საყოველთაოდ ცნობილი და მხილველთა აღტაცების საგანი ყოფილა: „პატარა ლიახვის ხეობაზე ისაია ფურცელაძის ბაღი ყველას გაუგონია. მართლაც შესანიშნავია. ოცდაათზე მეტი დღიური საუკეთესო ვაშლით, მსხლით და ატმით არის სავსე. ამოდენა ხეხილის ბაღს ძნელად შეხვდებით ქართლში“. 1914 წელს „სასოფლო გაზეთი“ აქვეყნებდა ისაიას უმ-

ნიშვნელოვანეს განზრახვას, თავისი ბაღის ბაზაზე გაეხსნა უფასო სამეურნეო სასწავლებლი: „ცნობილ მეურნეს ისაია ფურცელაძეს გორის მაზრის სოფელ მერეთში ფრიად კეთილი საქმე დაუწყია: უზარმაზარ ქალაქში, რომელიც სამოც დესატინას შეიცავს, აშენებს ხილის დიდ სასოფლო ბაღს თავის ხარჯებით. ბ-ნ ფურცელაძეს გადანყვეტილი აქვს, აქვე დააარსოს სამეურნეო სასწავლებელი, რომლის ხარჯიც დაიფარება ამ უზარმაზარი ბაღის შემოსავლით“. ასე ცდილობდა ისაია ფურცელაძე ხელი შეეწყოს სამეურნეო განათლებისა და მებაღეობის მომგებიანი დარგის განვითარებისათვის ქვეყანაში. განთქმული აგრონომი თავადვე ასწავლიდა თავის დაარსებულ სკოლაში. სკოლისგან თავისუფალ დროსაც კი ბაღში მუშაობდა და იქაც პრაქტიკულად ასწავლიდა შეგირდებს ხეხილს მცნობასა და ბაღის მოვლას.

ხეხილის სანერგეების გაშენება ქართლში „ქართული სამეურნეო-საზოგადოების“ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გადანყვეტილება იყო. საბჭოს ხედვებზე დაასკვნეს ისაია ფურცელაძის გაგზავნა, სპეციალურ კომისიასთან ერთად, გორის რაიონის სოფელ ტყვიავში, სადაც უნდა შეემონებინათ 20 ჰექტარზე მეტი გასაყიდი მიწის ნაკვეთის ვარგისიანობა ხეხილის სანერგის გასაშენებლად. ისაია ერთ-ერთი პირველთაგანი იყო „ცენტრალური ამიერკავკასიის მეხილეთა ამხანაგობის“ 19-კაციან შემადგენლობაშიც.

საყურადღებოა ისაია ფურცელაძის შრომისა და პოზიციის შეფასება ცნობილი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწე იოსებ იმედაშვილის (იოსებ არიმათიელი) მიერ: 1918 წელს ჟურნალ „თეატრი და ცხოვრების“ N12-ში იგი აქვეყნებს სტატიას - „სოფლის ჩუმი მუშაკნი“. იქ, ძმები არჯევანიძეები და ისაია ფურცელაძე დასახელებული არიან სამშობლოს ერთგულ, სოფლის ჩუმ მუშაკებად, რომელთაც ჩვენი ბუნებით უხვი ქვეყანის გაჭირვებიდან გამოსაყვანად, ბევრი ქართველი ინტელიგენტისაგან განსხვავებით, მიყრუებულ სოფელში საქმის კეთება არჩიეს კანცელარიაში ჯდომას. „მათ თავიანთი დედულ-მამული ბანკში კი არ დააგირავეს, კი არ გაყიდეს, არამედ მიხედეს, უპატრონეს, შეჰმატეს კიდევ და ზედ გონივრული სამეურნეო საქმიანობა გააჩაღეს“ - წერდა იოსებ იმედაშვილი.

ისაია ფურცელაძის პიროვნების უკეთ შესაცნობად, საგულისხმოა მისი პუბლიცისტური ნაშრომებიც. მათში ვლინდება ავტორის განათლებულობაც, ღირსეულობაც, სათქმელის შერჩევის უნარიც, საქმის არსში წვდომის ნიჭიცა და საკე-

თებლისადმი დამოკიდებულების კეთილსინდისიერებაც. ჟურნალ „მოსავალის“ 1910 წლის N 6-ში ისაია ფურცელაძემ გამოაქვეყნა წერილი - „რა და რა ჯურა ხილია საქართველოში და რომელი უფრო სასარგებლოა გასაჩენად“. მებაღეობით დაინტერესებულ პირს უდაოდ წაადგება ეს ნარკვევი, ხილის ჯიშების სიღრმისეული დახასიათებებითა და სათანადო რჩევებით წარმოდგენილი ცოდნა; იმავე წერილში ავტორი აღნიშნავს მეხილეობის 40 წლის წინანდელ ვითარებას საქართველოში; ამ საქმის დაწყების სიძნელეს, როცა სანთლით საძებარი იყო ორიოდ ხეირიანი სახელმძღვანელო. კატალოგები არ იშოვებოდა, გამოწერა კი ძვირი ჯდება. ახლა მეხილეობის მიყოლა ადვილია, არ მიყოლა კი საძრახისიცო - შეაგონებდა მკითხველს ხალხის კეთილდღეობისათვის მეხილეობის ფართოდ გავრცელების მსურველი ისაია. ცნობილი აგრონომი იქვე ასახელებს და მადლობს ყველა იმ პირს, ვისაც კი დაუკვალა იხილი იგი მეხილეობაში, დახმარებია წერგების მოპოვებაში, ან თუნდაც კარგი ჯიშის ხილის მქონებელი პიროვნებები მიუსწავლებია ადგილობრივთა შორის.

თავისი მეორე საყურადღებო წერილი ისაია ფურცელაძეს, ფულად შეწირულობასთან ერთად, გადაუზავნია ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთის, „ივერიის“ რედაქციისათვის. 1900 წლის 5 მაისს (N 97, გვ.4) აღნიშნული წერილი გამოქვეყნდა სარედაქციო მინაწერით: ისაია ფურცელაძის მიერ ფულის შეწირვა სათავადაზნაურო სკოლის შენობის ასაგებად. ვაკეში თბილისის სათავადაზნაურო სკოლის (ამჟამინდელი სახელმწიფო უნივერსიტეტის) ახალი შენობის მშენებლობის დაწყებასთან დაკავშირებით, სტატიის ავტორი იხსენებს, რომ 20 წლის წინ გორში, კონსტანტინე მამაცაშვილისა და ადიკო ამილახვრის თაოსნობით გამართულ კრებაზე, გადაწყდა თბილისის სათავადაზნაურო სკოლის დაარსების საკითხიც და ისიც, რომ საამისოდ თავად-აზნაურთა ოჯახებს, მათი გვარისა და შეძლების შესაბამისად, გაეღოთ 10-დან 40 თუმანამდის გადასახადი. საბედნიეროდ, ეს გადაწყვეტილება შემდეგ მიიღო თბილისის მთელმა გუბერნიამ. სკოლა დაარსდა და გიმნაზიად გადაიქცა. ახლა შერჩეული და ნაყიდა მისი შესაფერისი შენობის ადგილი; ჩატარე-

ბულია წინასამშენებლო სამუშაოები; დამტკიცებულია პროექტი და მალე შენობის საფუძველსაც ჩაყრიან „ვისაც ამ საქმისთვის გული შესტკივა, ის ბოქაულსა და ჩაფრებს არ მოუცდის, თავის მოვალეობას აასრულებს და ამ საშვილიშვილო საქმეს ხელს მოუმართავს“ - წერდა ისაია, რომელსაც თვითონ უკვე შეტანილი ჰქონია თავისი წილხვედრი 10 თუმანი, 5-იც წერილთან ერთად გაუგზავნია რედაქციისათვის. „თავადაზნაურობას ამ საუკუნეში ასეთი საქმე არა დაუწყია რა, დასრულებას კი მხნეობა, ერთობა და ფული სჭირია“ - აცხადებდა იგი და ამ ეროვნული საქმის მხარდასაჭერად მოუწოდებდა თანამემამულეებს.

უდაოდ აღსანიშნავია ისაია ფურცელაძის აქტიური ურთიერთობა ქმწკ საზოგადოებასთან: ის იყო ამ საზოგადოების ნამდვილი წევრი (1900-1918 წწ.). ყოველწლიური საწევრო შესატანის გადასახადის გარდა, იგი უშურველად ეხმარებოდა საზოგადოებას სხვადასხვა სახის შეწირულობებითაც. ამიტომ მუდამ ჰქონდათ მისი თანადგომის იმედი. საზოგადოების მთავარმა გამგეობამ მას გაუგზავნა მატერიალური დახმარების მოწოდება ილია ჭავჭავაძის ძეგლის ფონდისათვის.

ქმწკ საზოგადოების წიგნსაცავისადმი ისაია ფურცელაძის მნიშვნელოვანი შეწირულობის შესახებ ინფორმაციას გვანდის ამ საზოგადოების სარეგისტრაციო დავთარი, წარმოებული 1885-1913 წლებში. (დაცულია სახელმწიფო არქივში) ჩანაწერის მიხედვით, 1891 წელს ისაიას საზოგადოებისათვის შეუწირავს ბეჭდური წიგნები - NN1402-1405; ფურცლოვანი გამოცემები N1406, 12 ერთეული და ხელნაწერები, ძირითადად XIX საუკუნისა NN 1407-1420. მათგან გამოცემებს და ზოგ ხელნაწერსაც ზედა არშიაზე დიდი მსხვილი ასოებით აწერია „ი. ფ.“ ეს რომ ისაია ფურცელაძეს ნიშნავს, ცხადყოფს ხელნაწერთა ნაწილზე იმავე ხელით გაკეთებული მსგავსი და უფრო სრული მინაწერები. აღსანიშნავია, რომ ისაიას მიერ საზოგადოებისათვის შეწირულ ხელნაწერებს შორის გვხვდება XVII-XVIII საუკუნეების ვეფხისტყაოსანიც - FS 1418.

ისაიასაგან შეწირული ბეჭდური წიგნებისა და ფურცლოვანი გამოცემების ნაწილი იშვიათობადაა ქცეული. აქ მეტწილად არის როგორც მხედრული, ისე ნუსხური შრიფტით ნაბეჭდი წეს-კანონები,



ანტონ ფურცელაძე



ფორმები, განცხადებები და ინსტრუქციები. FS 1405 - შედეგი სამადლობელისა გალობისა უფლისა მიმართ ღვთისა, რომელი გარდახდელ იქნების დღესა მაცხოვრისა ჩუენისა იესო ქრისტეს შობის და მოხსენებისა ეკკლესიისა და სახელმწიფოსა როსიისა გამოხსნისა ზედა მოსვლიდან ღალთასა და მათთა ათორმეტთა ენათასა. [მოსკოვი], [1827-1828]. ესაა ნუსხურით ნაბეჭდი, იშვიათი, უთავფურცლო, ქართული წიგნის ბიბლიოგრაფიაში შეუტანელი ანონიმური გამოცემა. ეროვნულ ბიბლიოთეკაში დაცული 2 ცალად. ორივე ქმნვე საზოგადოებისეულია. მეორე ეგზემპლარი, მინაწერის მიხედვით, ფარნაოზ ბატონიშვილისათვის გაუგზავნია მოსკოვის სინოდალური სტამბის მუშაკსა და კალიგრაფს, პეტრე ქებაძეს. გამოცემის დაბეჭდვის დრო და ადგილი დავადგინეთ მიძღვნის თარიღისა და გამოცემის ტექსტში არსებული მოსახსენიებლის საიმპერატორო კარის ცოცხალ წევრთა ჩამონათვალზე დაყრდნობით;

ისაიას მიერ შეწირული ფურცლოვანი 12 გამოცემა საზოგადოებას გაერთიანებული აქვს ერთ ნომერში 1406/1-12.

ისაიამ, მეხილეობის პირველმა მესვეურმა ქართლში, სიცოცხლეშივე გადასცა სოფლის მეურნეობის საზოგადოებას თავისი ბაღი და საწერე. 1914 წელს ისაია ფურცელაძის გარდაცვალების ფაქტს გამოეხმინა მაშინდელი პერიოდული გამოცემები. ნოემბერში მიიბარა მერეთის მიწამ მისთვის დამაშვრალი შვილის, ისაია ფურცელაძის ნეშტი. იქ, „ასწლოვანი ცაცხვების ქვეშ მდებარეობს რკინის მესერშემოვლებული საფლავი. ბაზალტში ჩასმულ თეთრ მარმარილოს ქვაზე ისევ იკითხება: აგრონომი ფურცელაძე ისაია იოველის ძე. 1851-1924 წ.წ.“ - აღნიშნავს ია გორგიშელი.

ასე წარმოგვიდგა მერეთელ აზნაურ ფურცელაძეთა მრავალმხრივი საქმიანობა და ღირსშესანიშნავი მსახურება ერთიანი მამულისა თუ თავიანთი სამკვიდროსადმი; გამოიკვეთა მათი თვალსაჩინო

ქმედება საზოგადოებრივ ასპარეზზე; იდეური და საქმიანი სიახლოვე ხალხოსნებთან, სხვა ცნობილ ქართველი მოღვაწეებთან; წარმოჩინდა მათი უშუალო მონაწილეობა ქმნვე საზოგადოებების დაარსებასა და საქმიანობაში; ცხადი გახდა, რომ მათ ცხოვრება-მოღვაწეობას წარმართავდა მამულის საჭიროებების შეცნობა და ქმედება მამულიშვილობის ვალის შესაბამისად, რომელიც ასე ხმიანებდა ილია ჭავჭავაძის ცნობილ სიტყვებში: „რას ვეტყვი მე ჩემს ქვეყანას ახალს და რას მეტყვის იგი მე?... შევძლებ კი, რომ მას ღვიძლი სიტყვა ვუთხრა და იმ სიტყვით გულისტკივილი მოვურჩინო, დავრდომილი აღვადგინო, უნუგემოს ნუგემი მოვფინო, მტირალს ცრემლი მოვწმინდო, მუშაკს შრომა გავუადვილო?“ - ჩანს, ამ საკითხთა გადაჭრის სურვილი განსაზღვრავდა მათი სიცოცხლის ძირითად არსს, ნაყოფიერი მოღვაწეობის მიზეზსა და თავგანწირვის შესაძლებლობსაც კი.

გამოყენებული ლიტერატურა:

ქართველთა შორის წერა კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში სხვადასხვა პირებისა და დაწესებულებათაგან შემოწირული და გადმოცემული სამუზეუმო ექსპონატების ჩასაწერი დავთარი 1885-1913 წწ. 97 (№ 6853). გაციფრებული ვერსია: საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა. ციფრულ ბიბლიოთეკა „ივერიელი“.

ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა: ყოფილი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების (S) კოლექციისა. ტ. 2. თბ., 1961;

ინიციატივა ცვლილებისათვის. წ. 2. თბ., 2016;

ანტონ ნიკოლოზის ძე ფურცელაძე 1837-1913.[გარდაცვალების გამო წარმოთქმული სიტყვები, სტატიები და სხვა] გამოცემული ზ. ჭიჭინაძისაგან. ტფ., 1914

ია გორგიშელის ბლოგი - <https://goianna.wordpress.com>

ეროვნული ბიბლიოთეკის ქმნვე საზოგადოების კოლექციის ფონდი. ფურცელაძეთა მიერ შეწირული გამოცემები.

ილია ჭავჭავაძე



ლევან თაქთაქიშვილი

საქართველოს პარლამენტის ეროვნული
ბიბლიოთეკის საბიბლიოთეკო რესურსების
დეპარტამენტის დირექტორი

1984 წელს გამომცემლობა „ნაკადულმა“ სერიით „გამოჩენილ ადამიანთა ცხოვრება“ გამოსცა აკაკი ბაქრაძის წიგნი „ილია ჭავჭავაძე: წინამური“, რომელშიც ავტორმა პირველად დააყენა ილიას მკვლევლობის ისტორიაში თეთრი ლაქების არსებობის საკითხი. მან ილიას მკვლევლების სიაში შეიტანა უცნობი იმერელი და დასძინა: მისი ვინაობა დღესაც დაუდგენელია და არავინ უწყის, მოხერხდება თუ არა მისი დადგენა. მოარული ხმებით იმ „იმერელ ბიჭში“ სერგო ორჯონიკიძეს გულისხმობდნენ.

აკაკი ბაქრაძის წიგნი მრავალმხრივ საყურადღებო იყო, თუნდაც იმით, რომ საუბარს საიდუმლოთი იწყებდა და საიდუმლოთი ამთავრებდა. წიგნის დასაწყისში ვკითხულობთ: „20 იანვარს პორუჩიკ თავად გრიგოლ პაატას ძე ჭავჭავაძეს და მის რჭულიერ თანამეცხედრეს მაგდალინა ქრისტეფორეს ასულს დაებადათ ვაჟი – ილია. დალოცა და მონათლა იგი ამავე თვის 26-ს მღვდელმა დანიელ ზურიაშვილმა. მიმრქმელი იყო ცოლი განსვენებული თავადის გიორგი ერისთავისა, ნინო მალხაზის ასული. ყვარელი. იოანე ნათლიმცემლის ეკლესია. მეტრიკული წიგნი. 1837 წლის ჩანაწერი N 2“.

აქვე აკაკი ბაქრაძე აგრძელებს: „თვითონ ილია კი წერდა: „დავიბადე 27 ოქტომბერს 1837 წელს ყვარელში“ ორ განსხვავებულ თარიღს –20 იანვარსა და 27 ოქტომბერს, – თავის დროზე, პატარა პაექრობაც გამოუწვევია, მაგრამ ბოლოს მოკამათენი შერიგებულან და ილიას დაბადების დღედ 27 ოქტომბერი მიუჩნევიათ“.

საოცარიც ესაა, რომ ილია ჭავჭავაძის დაბადების თარიღად დღესაც 1837 წლის 27 ოქტომ-


რომელ წელს დაიბადა

ილია ჭავჭავაძე?

ბერია მიჩნეული, მაშინ როცა ილია მეტრიკულ წიგნში იმავე წლის იანვარში არის რეგისტრირებული. მოვიძიეთ, თუ ვის შორის და როდის იყო ეს პაექრობა ილია ჭავჭავაძის დაბადების თარიღთან დაკავშირებით. აღმოჩნდა, რომ ამ საკითხით დაინტერესდნენ მხოლოდ მაშინ, როცა მიხეილ გედევანიშვილმა გადაწყვიტა ილიას თხზულებათა აკადემიური გამოცემის დაბეჭდვა. ეს იყო 1912 წელს. წიგნის საგამომცემლო კომისიას მეტრიკული ამონაწერის გამონახვა და შემოწმება მიუღწევია ორი კაცისათვის: ილიას ყვარლის მამულის მოურავის მოსე ცქიტიშვილისა და მწერალ დავით ნახუცრიშვილისათვის. მოსე ცქიტიშვილმა სარედაქციო მდივანს–იოსებ გედევანიშვილს მეტრიკული ამონაწერი გაუგზავნა ყვარლიდან, ხოლო დავით ნახუცრიშვილმა იგივე ცნობა სინოდალურ კანტორაში ნაპოვნი ილიას მშობლების გარდაცვალების ცნობასთან ერთად გაუგზავნა თხზულებათა სარედაქციო კომისიას 1912 წლის 29 მაისს. რამდენიმე თვეში დ. ნახუცრიშვილმა გაზეთ „თემში“ ილია ჭავჭავაძის დაბადების ცნობა დაბეჭდა სათაურით „ილია ჭავჭავაძის დაბადების დრო“.

დ. ნახუცრიშვილი წერდა: „აქედან ნათლად ჩანს, რომ ნამდვილ დაბადების დღედ უნდა დაიდოს 20 იანვარი 1837 წლისა. მართალია, ხშირად მოხდება ხოლმე, ჩვენი მღვდლები ბავშვის დაბადების დღედ შეცდომით სწერენ და იანვრის მაგიერ აპრილს ან მაისს ჩასწერენ, მაგრამ აქ ასეთი შეცდომა მგონია, არ უნდა მომხდარიყოს, რადგანაც ათი თვით აღრეა ჩანწერილი და არა დაგვიანებული, მაშინ შეიძლებოდა შეცდომათ მიგველო ასეთი ცნობა, რომ იანვარში დაბადებული ოქტომბერში ჩაეწერა; აქ კი ისე გამოდის, თუ შეცდომად მივიღებთ ამ ცნობას, რომ ბავშვი ჯერ არ დაბადებულიყო და მღვდელს კი მოუნათლავს და დაუწერია კიდეც წიგნში. რასაკვირველია, ასეთი მოვლენა შეუძლებელია.“

ყოველივე ზემოთ მოცემული ინფორმაციიდან ერთი დასკვნის გამოტანა შეიძლება: 1837 წლის 27 ოქტომბერი არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება იყოს ილიას დაბადების თარიღი, რადგან იგი უკვე ამავე წლის იანვარში იყო რეგისტრირებული. ამ შემთხვევაში, გადამწყვეტი მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს 1902 წელს ილიას მიერ დაწერილ



ავტობიოგრაფიას ისეთი პოპულარული ენციკლოპედიისათვის, როგორცაა ბროკჰაუზ – ეფრონის ენციკლოპედიური ლექსიკონი, სადაც იგი თავის დაბადების თარიღად ასახელებს 1837 წელს. სხვადასხვა დროს ილიას თავისი დაბადების თარიღი არაერთხელ მიუთითებია და სულ შეცდომით:

-1869 წელს ილიას თავის დაბადების წელთან დაკავშირებით დაუშვია შეცდომა – ფორმულარული ნამსახურობითი სიის მიხედვით 1869 წლის 10 სექტემბერს თავის წლოვანებად 30 წელი მიუთითებია (იხ. ლიტერატურული მემკვიდრეობა, ტ.1. თბ.1935 წ.გვ.570.) ამ შემთხვევაში პოეტის დაბადების წელი 1839 გამოდის.



-1906 წლის 26 მაისს კი ბროკჰაუზ–ეფრონის ენციკლოპედიისათვის ავტობიოგრაფიის დაწერიდან 4 წლის შემდეგ რუსულ ენაზე დაწერილ ავტობიოგრაფიაში, რომელიც სახელმწიფო საბჭოს წევრად არჩევის შემდეგ სახელმწიფო საბჭოს კანცელარიას წარუდგინა, თანახმად მათი თხოვნისა, აცნობა, რომ დაბადებულია 1838 წლის 27 ოქტომბერს. ეს დოკუმენტი სანკტ–პეტერბურგში რუსეთის სახელმწიფო არქივში ინახება (ცსსა. ფონდი 1162, აღწერა 6, საქმე N836, ფ. 1).

ილია თავის დაბადების თარიღად სხვადასხვა

დროს სამ ურთიერთგამომრიცხავ ინფორმაციას აწვდის, თან სამივე ინფორმაცია (1837 წლის 27 ოქტომბერი, 1838 წლის 27 ოქტომბერი, 1839 წელი) ეწინააღმდეგება მეტრიკული წიგნის მონაცემს. ერთი კი აღსანიშნავია, ილია დაბადების თვესა და რიცხვს 27 ოქტომბერს აღნიშნავს ყველგან.

გიორგი ლეონიძე 1935 წელს წერდა: „საყურადღებოა მცირე მოგონებანი ილია ჭავჭავაძის დის ელისაბედ საგინაშვილისა, რომელიც რამდენიმე წლის წინათ გარდაიცვალა. როგორც მასალებიდან ირკვევა, სადავოდ ჩასათვლელია ილიას დაბადების თარიღი. თვით ილიას მიერ გაცხადებულ და მაშასადამე ოფიციალურ თარიღად დღემდე მიღებულია 1837 წ. 27 ოქტომბერი მაშინ, როცა ყვარელის ივანე ნათლისმცემლის მეტრიკული ამონაწერიდან ილიას დაბადება 1837 წ. 20 იანვარს მიეკუთვნება. გრ.ყიფშიძე – ილიას ბიოგრაფი, გამოუკვლევად ემხრობა პირველ თარიღს მხოლოდ იმ მოსაზრებით, რომ გარდა ილია ჭავჭავაძისა, მის დასაც ასე ხსომებია, ერთ ძველებურ სახარებაზე იყო ასე ილიას დაბადების დრო აღნიშნულიო. ყოველ შემთხვევაში, ილია ათი თვით ადრეა ჩანერილი მეტრიკულ წიგნში და ეს გარემოება თითქოს უნდა აბათილებდეს დღემდე მიღებულს ოფიციალურ თარიღს პოეტის დაბადებისას–27 ოქტომბერს. ამიერიდან საკითხი უნდა შესწავლილ იქნეს და გამოიკვლიოს“ (იხ. ლიტერატურული მემკვიდრეობა, ტ.1. თბ.1935 წ.გვ.548.)

საყურადღებოა ელისაბედ საგინაშვილის მოგონება: „...ტყუილია, ვითომ განსვენებული ჩემი ძმა





დაბადებულიყვეს იანვარში. მე კარგად მახსოვს, ჩვენს ოჯახში იყო სახარება, რომელშიაც მამაჩემისაგან საკუთარს ხელით იყო აღნიშნული ყველა მისი შვილის დაბადების დღე. კარგად მახსოვს, ჩემი ძმის შესახებ ეწერა, რომ დაიბადა 27 ოქტომბერსაო“ (იხ. ლიტერატურული მემკვიდრეობა, ტ.1. თბ. 1935 წ. გვ.556.). ამ შემთხვევაში აღსანიშნავია ისიც, რომ ილიას და - ელისაბედ საგინაშვილი, არ ამბობს, რომ სახარებაზე ეწერა 1837 წლის 27 ოქტომბერი. იგი ამბობს და წინააღმდეგია ილიას დაბადების დღედ 20 იანვრის გამოცხადებისა, როგორც მეტრიკულ წიგნში წერია. არც იმას ამტკიცებს, რომ ილია 1837 წელს არის დაბადებული. მეტრიკული წიგნის მონაცემი გამორიცხავს მხოლოდ იმ თარიღებს, რომლებიც მასში გატარების თარიღის შემდგომია და არა იქამდე.

ცნობილია, რომ მეტრიკულ წიგნში ბავშვებს დაბადებიდანვე არ ატარებდნენ. გატარება ხშირად მონათვლის წინ ხდებოდა. ასეთი შემთხვევები თითქმის ყველა ბავშვზე ვრცელდებოდა. ასე მოხდა სტალინის დაბადების თარიღის შემთხვევაშიც, რომლის დაბადების წელი აღმოჩნდა არა 1879, არამედ 1878 წელი.

ამ ლოგიკით ილია ჭავჭავაძის დაბადების წელი შეიძლება იყოს 1835 ან 1836 წელი, მაგრამ არა 1834, რადგან ამ წელს ილიას და დაიბადა და ის მისი ტყუპის ცალი არ იყო, იგი მასზე უფროსი იყო.

ჩვენი ვარაუდები ვარაუდებად დარჩებოდა რომ არა ერთი ფაქტი:

1897 წელს ქართულმა მაშინდელმა საზოგადოებამ გადაწყვიტა ილია ჭავჭავაძის საზოგადოებრივი მოღვაწეობის 40 წლისთავის აღნიშვნა. შექმნა კომიტეტი, რომელმაც გამოაცხადა კონკურსი პოეტის შესახებ დაწერილ ბიოგრაფიულ-კრიტიკულ ნაშრომზე და დანიშნა პრემია. ნაშრომი შეზღუდული იყო მოცულობით, ხოლო მისი ავტორი – დროით.

1898 წლის ივნისში გამოვიდა მიხეილ ნასიძის ავტორობით დაბეჭდილი საიუბილეო ბროშურა „თ. ილია ჭავჭავაძე. ბიოგრაფიული და კრიტიკული ეტიუდი“.

ავტორი, თავისი მოკრძალებული ბუნების გამო, შეიმოსა ფსევდონიმით „მე გახლავარ“.

სწორედ ამ ბროშურაში ავტორი-მიხეილ ნასიძე თეთრზე შავით წერს, რომ ილია ჭავჭავაძე დაიბადა 1836 წლის 27 ოქტომბერს. ყოველგვარი ეჭვი, რომ ეს არის კორექტურული შეცდომა, გამორიცხულია ორი მიზეზით:

1-ეს რომ ჩვენს თავში ჩამჭდარი 1837 წელი ყოფილიყო, მაშინ ეს იუბილე და ეს წიგნიც მიეძღვნე-

ბოდა ილიას როგორც მოღვაწეობის 40 წლისთავს, ასევე, დაბადების 60 წლისთავს. არადა, ყდაზე წერია მხოლოდ მოღვაწეობის 40 წლისთავისადმი მიძღვნა.

2-საიუბილეო გამოცემაში უყურადღებობა ნაკლებად დასაშვებია და თან ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ბიბლიოთეკისადმი ავტორის მიერ მიძღვნილ ცალში ავტორს შეცდომა, სავარაუდოდ, უნდა გაესწორებინა, როგორც მაშინდელი ავტორები აკეთებდნენ კიდეც.

სხვათა შორის, აღნიშნული გამოცემა ილია ჭავჭავაძის პირად ბიბლიოთეკაშიც არის დაცული.

მაგრამ ისმის კითხვა: სად იყო ამ წიგნის ავტორი, როდესაც 1912 წელს ილიას დაბადების თარიღს იხილავდნენ? ნუთუ მიხეილ ნასიძისათვის აღარ იყო საინტერესო ეს საკითხი? აღმოჩნდა, რომ იგი ამ დროს ბაქოში ცხოვრობდა. იგი ბაქოში 1906 წლიდან იყო გადასული, რადგან მას საქართველოში ცხოვრება მეფის მთავრობამ აუკრძალა.

საქართველოში მ. ნასიძე მხოლოდ 1917 წელს დაბრუნდა და სიღნაღში დასახლდა. იქაც დაარბიეს შემდგომ, დაუნვეს მდიდარი ბიბლიოთეკა, სცემეს, რის გამოც ყველაფრის ინტერესი დაკარგა და ლოგინად ჩავარდა. გარდაიცვალა 1935 წლის 5 აპრილს, იმ წელს, როდესაც გიორგი ლეონიძემ გამოაქვეყნა ილიას დაბადების წლის პრობლემაზე წერილი.

რა პარადოქსულია, რომ საქართველოს ყველაზე სათაყვანებელი შვილის-ილია ჭავჭავაძის სიცოცხლის დასაწყისი და დასასრულიც საიდუმლოებით იყო მოხილი. იყო, რადგან ვთვლი, რომ ამ წერილით ერთი საიდუმლო – მისი დაბადების თარიღი გაცხადდა, მეორეს კი, ალბათ, ვერასოდეს გავიგებთ ბოლომდე, რადგან ზემოთ განხილულ თითქმის უმარტივეს საიდუმლოს გახსნას 110 წელი მოვანდომეთ.

ისიც ვიცი და შეგუებული ვარ, რომ პოეტის დაბადების თარიღად 1937 წლის მითითება, სამწუხაროდ, კვლავ გაგრძელდება. არადა ილიას ამა სოფელში ნაცხოვრები დრო ერთი წლით გაიზარდა. მართალი აღმოჩნდა ექიმი იაშვილი, რომელმაც გაკვეთა ილია 1907 წელს, როცა თქვა, რომ „ის ხომ 70 წლის იყოო“, ე.ი. მართლა 71-ე წელი იყო მისი ცხოვრებისა. 1906 წელი ილიასათვის, წესით, საიუბილეო უნდა ყოფილიყო, რეალურად კი იგი ყველაფრისგან მოკვეთილი და იმდენად დათრგუნული იყო, რომ საგურამოში აივანზე გასვლას ერიდებოდა, რომ არ ესროლათ.



თამაზ ჯოლოგუა

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

ლევან თაქთაქიშვილის სტატია „რომელ წელს დაიბადა ილია ჭავჭავაძე?“ თავისთავად საინტერესო და საყურადღებოა იმდენად, რამდენადაც ავტორის მიერ კიდევ ერთხელაა დასმული საკითხი, რომელიც თვით ილიას სიცოცხლიდან დღემდე კამათის საგნადაა ქცეული. როგორც საკუთრივ სტატიაში წარმოდგენილი მასალა, ისე საკითხის გარშემო არსებული წყაროებისა და ლიტერატურის შეჯერება, ვფიქრობთ, გამორიცხავს ყვარლის იოანე ნათლისცემლის ეკლესიის მეტრიკული წიგნის მონაცემს, თითქოს ილია ჭავჭავაძე 1837 წლის 20 იანვარს იყოს დაბადებული. რჩება 27 ოქტომბერი, თუმცა რომელი წლისა: 1836-ისა თუ 1837-ისა? თვითონ ილია, როგორც ეს ლ. თაქთაქიშვილის სტატიაშიც არის აღნიშნული, სხვადასხვა დროს სხვადასხვა თარიღს ასახელებდა და, ამდენად, მისი მონაცემები უეჭველ და სანდო წყაროდ ვერ ჩაითვლება. ვინაიდან ილია ჭავჭავაძესთან დაახლოებული და საზოგადოებისთვის ცნობილი პირები (გრ. ყიფშიძე, კ. აბხაზი და სხვ.) ილიას დაბადების თარიღად 1837 წელს უთითებენ, საბოლოოდ ეს თარიღი - 1837 წლის 27 ოქტომბერი - იქნა სხვაზე უფრო სანდოდ მიჩნეული, თუმცა **სხვაზე უფრო სანდოდ და არა - ეჭვმიუტანლად!** ასე, მაგალითად, გურამ შარაძე, რომელიც ზედმიწევნით იცნობდა ილია ჭავჭავაძესთან, მათ შორის, მისი დაბადების თარიღთან, დაკავშირებულ წყაროებსაც და ლიტერატურასაც, წერდა: „ასეა თუ ისე, საბოლოოდ, ილიას დაბადების თარიღად 1837 წლის 27 ოქტომბერი დაკანონდა და ჩვენც იგი უნდა ვაღიაროთ“ (გ. შარაძე. ილია ჭავჭავაძე . ცხოვრება, მოღვაწეობა, შემოქმედება. თბ.: 1987, გვ. 39). ანუ გ. შარაძე ილიას დაბადების თარიღად 1837 წლის 27 ოქტომბერს აღიარებს არა იმიტომ, რომ დარწმუნებით ასე ფიქრობს, არამედ იმიტომ, რომ ასე „დაკანონდა“.

ასეთი ბუნდოვანი ვითარება სავსებით დასაშვებებს ხდის მიხელ ნასიძის ვერსიას, რომლის მიხედვითაც, ილიას დაბადების თარიღია 1836 წლის 27 ოქტომბერი. მით უმეტეს, ბროშურა ილიას სიცოცხლეშივეა გამოცემული და ხსენებულ მონაცემს უარყოფა არავისგან არ მოჰყოლია. რაც მთავრია, 1837 წლის ოქტომბრის ბოლოს დაბადებული პირის მონაცემი ცხრა თვით ადრე, იმავე წლის იანვრის, მეტრიკულ ჩანაწერებში ვერაფრით ვერ მოხვდებოდა.

ერთი სიტყვით, ლევან თაქთაქიშვილის მოსაზრება, რომ ილია ჭავჭავაძის დაბადების თარიღია არა 1837 წლის 27 ოქტომბერი, არამედ - 1836 წლის 27 ოქტომბერი, ვფიქრობთ, ასახავს ილიას დაბადების თარიღთან დაკავშირებულ რეალურ ვითარებას.

ყარამან ფალავა

მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი
2020 წლის 23 ნოემბერს

გამოხმაურება სტატიაზე „რომელ წელს დაიბადა ილია ჭავჭავაძე?“

დიდი სიამოვნებით წავიკითხე ლევან თაქთაქიშვილის სტატია „რომელ წელს დაიბადა ილია ჭავჭავაძე?“ სხვადასხვა წყაროს ურთიერთშეჯერების საფუძველზე ავტორი სავსებით ლოგიკურ დასკვნამდე მივიდა მასზედ, რომ ილია სინამდვილეში 1836 წელს დაიბადა. შესანიშნავი კვლევაა და იგი ღირსეულ ადგილს დაიკავებს „ილიალოგიაში“ („რუსთველოლოგიის“ ანალოგად ვიყენებ ამ ტერმინს).

ზოგი რამის დამატებაც მინდა; ილია ღმერთკაცად, მისდროინდელი საქართველოს, რომელიც სიკვდილის პირას იყო მისული, გამაცოცხლებლად და გადამრჩენად მიმაჩნია. ისე რომ, მის შესახებ ყოველი სიახლე ყურადღებას და ცხოველ ინტერესს იწვევს. რას იზამ, უდიდესი პიროვნებების დაბადების და სიკვდილის თარიღები არ ვიცით, ილიაც მათ შორისაა. მისი პიროვნების დახასიათებაცაა, კაცი ვარსკვლავებს ეთამაშებოდა, მაგრამ de minimis non curat praetor (პრეტორი წვრილმანებს არ უნდა აქცევდეს ყურადღებას) მსგავსად, დაბადების ზუსტი თარიღი არაფრად მიაჩნდა. ისიცაა აღსანიშნავი, რომ თითქმის 200 წელია გასული მას შემდეგ, მაგრამ საზოგადოებისთვის ეს ინფორმაცია მაინც მიმზიდველია. ოპტიმისტური განწყობასაც იბადება: თუ, მიუხედავად ცხოვრებისეული სიძნელეებისა, მაგანი ამ საკითხს იკვლევს და მაგანი კი ამ კვლევის შედეგებს გულისყურით ეკიდებიან, ეს ნიშნავს, რომ მთლად დაკარგულებიც არ უნდა ვიყოთ და, რაც უფრო მნიშვნელოვნად მიმაჩნია, უნდა გვჯეროდეს, რომ არც ვართ და არც ვიქნებით დაკარგულები.



საგულისხმოა პასაჟი „ვინმე იმერელზე“ (ილიას მკვლევლობაში მონაწილეზე) - ნურავინ იფიქრებს, რომ ბოროტება მივიწყებას მიეცემა.

ეპიზოდი (საკმაოდ ტიპური, მრავალი იყო ამისი მსგავსი) ილიას შესახებ საიუბილეო ბროშურის ავტორის, მიხეილ ნასიძის ბიოგრაფიიდან - დაბრუნდა სამშობლოში და მეოცე საუკუნის სოციალური გარდატეხების იმ ავად სახსენებელ დროში დაარბიეს, სცემეს, მდიდარი ბიბლიოთეკა დაუნვეს. ბიბლიოთეკის, წიგნის დანვა ხომ ფიზიკურ მოსპობაზე მეტია, სულის განადგურებას ნიშნავს. ძალაუნებურად მახსენდება ალექსანდრე ბლოკის ლამის უკანასკნელი ჩანაწერი დღიურში - გუშინ ბიბლიოთეკა დამინვესო, როგორ უნდა ვიცხოვრო შემდეგ, არ ვიცისო. უცნაურია, დღესაც კი, ზოგიერთი იმ პერიოდს დადებითად აფასებს.

მართალია, მცირედ, მაგრამ მაინც, ქართველი მოღვაწენი ბროკჰაუზ-ეფრონის ენციკლოპედიამაც უკვე იყვნენ წარმოდგენილნი. *Wer schreibt, der bleibt* (ვინც წერს, ის რჩება). უნდა ვეცადოთ, რომ ჩვენი კულტურის (ამ სიტყვის უფართოესი გაგებით - პოლიტიკა, ბიზნესი, ტექნიკა, მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, სპორტი, ხელოვნება, ლიტერატურა, მეცნიერება, პედაგოგია, სამხედრო სიქველე და სხვა) ყველა წარმომადგენლის შესახებ ინფორმაცია სადმე აღნუსხული, გამოქვეყნებული და, რაც ასევე აუცილებელია, იოლად მოძიებადი იყოს.

წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებაცაა ნახსენები. XIX საუკუნის მეორე ნახევარსა და XX საუკუნის დასაწყისში მან უდიდესი ფუნქცია იკისრა: არა მარტო უშუალოდ წერა-კითხვის სწავლება, განათლება, არამედ პატრიოტული სულისკვეთების ხელშეწყობა. არ იქნებოდა ურიგო, ახლაც ამის მსგავსი (თუნდაც იგივე სახელით, ტრადიციისადმი ხსოვნის ხარკის მისაგებად) ამავე მიზნებისა და ამოცანების მქონე (წერა-კითხვის გავრცელების ჩათვლითაც - ქვეყნის გარეთ მიმობნეული თანამემულებებისა და ქვეყნის შიგნით არსებული დიასპორებისთვის) ასოციაციის შექმნა. ცხადია, იგი უნდა იყოს საზოგადოებრივი ორგანიზაცია მხოლოდ, პირველ რიგში საზოგადოებრივ აზრს უნდა ქმნიდეს.

ტრაგიკულია ბოლო აკორდი, ამისთანა ბუმბერაზი პიროვნება სიცოცხლის ბოლოს „ყველაფრისგან მოკვეთილი და იმდენად დათრგუნული იყო, რომ საგურამოში აივანზე გასვლას ერიდებოდა, რომ არ ესროლათ“. ესეც დანაშაულია. ზვიად გამსახურდიას შეგონება მახსენდება - ხალხნო, გავარჩიოთო მაცხოვარი და ბარაბა. რას იზამ, ტრაგედიები ზოგჯერ მეორდება.

ნოოსფერო მხოლოდ ზორბა ქმნილებებს არ მოიცავს, მშვენიერი დიდი მოზაიკური პანო მცირე ფერადი კენჭებისგან იქმნება.

ლევან ბებურიშვილი

ფილოლოგიის დოქტორი

სტატიაში წამოყენებული მოსაზრება მეტად საყურადღებოა. ავტორი ითვალისწინებს და კრიტიკულად მიმოიხილავს საკითხის ირგვლივ არსებულ ძირითად ლიტერატურას. მრავალფეროვანი მასალის თანმიმდევრული ანალიზის საფუძველზე იგი ასკვნის, რომ ილია ჭავჭავაძე დაბადებული უნდა იყოს არა 1837 წელს, არამედ 1836 წლის 27 ოქტომბერს. ვფიქრობთ, ავტორის მსჯელობა საკმაოდ ლოგიკური, არგუმენტირებული და დამაჯერებელია. მისი თვალსაზრისი აუცილებლად უნდა გაითვალისწინონ მკვლევარებმა, მით უმეტეს, როდესაც ეს ეხება ასეთ მნიშვნელოვან პირს.



ნინო ხვედელიძე

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკის იშვიათ გამოცემათა განყოფილების ფონდში დაცულ გამოცემათა განსაკუთრებულობა განპირობებულია არა მარტო მათი სიძველით, მაღალი პოლიგრაფიული ხარისხითა და შეზღუდული ტირაჟით, არამედ მათი ისტორიითაც. რელიკვიებადაა აღიარებული ღირსეულ მამულიშვილთა წიგნები და პირადი ბიბლიოთეკები, რომელთა მიმართ ჩვენი საზოგადოება დიდ ინტერესს იჩენს.

ქართველი ერის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საგანძურია დიდი ქართველი მწერლის, პუბლიცისტისა და საზოგადო მოღვაწის ილია ჭავჭავაძის პირადი ბიბლიოთეკა, რომელიც კოლექციის სახით დაცულია იშვიათ გამოცემათა განყოფილების ბაზაზე შექმნილ „წიგნის მუზეუმში“.

მწერლის კუთვნილი ბიბლიოთეკა, მისი ანდერძის თანახმად, სიკვდილის შემდეგ, „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“ გადაეცა. ანდერძი მას ჯერ კიდევ 1905 წლის 5 ივლისს დაუტოვებია ილია წინამძღვრიშვილისთვის. ამ საბუთის თანახმად, ილიას სახლი ანდრიას ქუჩაზე (ახლანდელ ჭავჭავაძის ქუჩაზე) „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“ უნდა გადასცემოდა, ხოლო მდიდარი ბიბლიოთეკა – ამავე საზოგადოების მუზეუმს. ილია ამ საზოგადოების დაარსების ერთ-ერთი ინიციატორი და სულისჩამდგმელი იყო. მისივე თაოსნობით ჩაეყარა საძირკველი ხელნაწერების, წიგნებისა და პერიოდული გამოცემების თავმოყრას საზოგადოების წიგნსაცავში. ილიას სახლში ერთხანს მუზეუმის მოწყობასაც აპირებდნენ. ამას ადასტურებს 1909 წლის 5 აგვისტოს ოლღა ჭავჭავაძის მიერ მარჯორი უორდროპისათვის მიწერილი ბარათი. წერილი იუწყება, რომ საზოგადოების თხოვნით მწერლის მეუღლე საცხოვრებლად უნდა

ილია ჭავჭავაძის ბიბლიოთეკა და მისი უნიკუმები

გადასულიყო ნაქირავებ სახლში მთანმინდაზე. სათანადო პროექტიც შემდგარა, თუმცა აღარ განხორციელებულა.

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“ 20-იანი წლების ბოლოს მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ მისი ბიბლიოთეკა თბილისის რევკომის მფარველობაში გადავიდა. 1922 წელს, საზოგადოება განათლების სახალხო კომისარიატს დაექვემდებარა და ეწოდა „წიგნის გამომცემელი და გამავრცელებელი ქართველთა საზოგადოება“. 1925 წლის დეკემბერში წიგნსაცავ-მუზეუმი და არქივი თბილისის უნივერსიტეტს გადაეცა, ხოლო ორი წლის შემდეგ საზოგადოებამ არსებობა შეწყვიტა. განათლების კომისარიატის კოლეგიის დადგენილებით „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ დარჩენილი ქონება, ილიასეული სახლი თბილისში, საზოგადოების დამაარსებელთა სურათები და ილიას ძველი გადასცემოდა სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირს. 1937 წლის ზაფხულში მთავრობის განკარგულებით საზოგადოების ბიბლიოთეკა მთლიანად გადაეცა კ. მარქსის სახელობის სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკას. ტრანსპორტირებისას არაერთი ეგზემპლარი დაიკარგა. სამწუხაროდ, წიგნების ჩაბარებისას არ იქნა დაცული კოლექციის დაუშლელობის პრინციპი, საჯარო ბიბლიოთეკაში „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ ფონდი დაშალეს და ბიბლიოთეკის სხვადასხვა ფონდებს შეუერთეს. მისი აღდგენა წლების განმავლობაში შეუძლებლად მიაჩნდათ. მხოლოდ, რამდენიმე ათეული წლის შემდეგ მოხერხდა ბიბლიოთეკის ფონდში „ქმწკ საზოგადოების“ ეგზემპლარების მოძიება და კოლექციებად გამოყოფა.

ილიას პირადი ბიბლიოთეკის მრავალფეროვან კოლექციაში მეცნიერებისა და კულტურის თითქმის ყველა დარგის წიგნი, გაზეთი და ჟურნალია თავმოყრილი, რაც მწერლის ინტერესების მრავალმხრივობას ადასტურებს. რაოდენობრივად ყველაზე მეტი მხატვრული ლიტერატურაა, თუმცა ბიბლიოთეკა თემატურად მოიცავს: ისტორიისა და სამართლის, ფილოსოფიისა და სოციოლოგიის, გეოგრაფიისა და ეკონომიკის, განათლებისა და გრამატიკის, სოფლის მეურნეობისა და მედიცინის დარგებს. წიგნები ქართულ, რუსულ, გერმანულ, ინგლისურ, ფრანგულ, იტალიურ, პოლონურ, ბერძნულ ენებზეა დაბეჭდილი. ქართული ძალიან ცოტაა შემორჩენილი. მათ შორისაა: 1884 წელს თბი-

ლისში გამოცემული „დაბადება“ (ბიბლია); მიხეილ თამარაშვილის „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის“; დიმიტრი ბაქრაძის „ისტორია საქართველოსი“. აქვეა ძველნაბეჭდი წიგნები: მოსკოვში დაბეჭდილი 1816 წლის „ახალი აღთქმა“ და 1768 წლის „ჟამნი“; 1712 წელს ვახტანგ VI-ის სტამბაში დაბეჭდილი „ვეფხისტყაოსანი“; 1886 წელს გამოცემული „ქილილა და დამანა“ და „დავითიანი“.




ილიას კოლექციაში მრავალი ნაჩუქარი წიგნია საინტერესო წარწერით. მათ შორისაა: იაკობ გოგებაშვილის, ალექსანდრე ცაგარელის, ალექსანდრე ხახანაშვილის, მოსე ჯანაშვილის, ზაქარია ჭიჭინაძის, ვალერიან გუნიასა და სხვათა ავტოგრაფიანი გამოცემები.

ნაჩუქარ წიგნებში ვხვდებით განსაკუთრებულ ეგზემპლარებს, რომელთათვისაც ყდები სპეციალურად შეუკვეთავთ. ერთ-ერთი ასეთი წიგნი A. Калиновский. - «Где правда? История Афонского монастыря», 1885 წელს სანკტ-პეტერბურგში გამოცემული. ოქროვარაყიანი წიგნი მუყაოზე გადაკრულ, მუქ იასამნისფერქსოვილიან ყდაშია ჩასმული. ოქრომელნითაა დამშვენებული მოჩარჩობული ტვიფრული ორნამენტები და ტვიფრულივე წარწერა: „Его Сиятельству Ильи Григорьевичу Чавчавадзе“. ეგზემპლარი ბერ ბენედიქტეს მიუძღვნია ილიასათვის, რასაც ადასტურებს წიგნის ფორზაცზე გაკეთებული მინაწერი: „С надеждою на благосклонное внимание и милостивное содействие Вашего Сиятельства препровождает смиренный раб старец венедикт поверенный Афонского грузинского братства. СПб. 7 авг. 1885 г.“ ამავე მინაწერიდან ირკვევა, რომ ილია ბერს პეტერბურგში შეხვდრია.

ბენედიქტე ბარკალაია იყო ის სასულიერო მოღვაწე, რომელიც გაბრიელ ქიქოძის მიერ ბერად

აღკვეცილი, თორმეტი ბერის თანხლებით, თავისი შეგროვილი შემონირულობით ათონისაკენ გაემართა ქართული სავანის - „ივერონის“ აღდგენის მიზნით. დიდი ძალისხმევითა და ღვთისშენევნით მამა ბენედიქტემ ქართველთა ახალი სავანე დააარსა, აღადგინა სამონასტრო ტრადიციები, განაახლა მწიგნობრობისა და კალიგრაფიის ცენტრი, გააცოცხლა მივიწყებული ქართული საეკლესიო გალობა. სულიერ ძმათა სურვილი ქართველ და ბერძენ ბერთა რამდენიმე საუკუნოვან მტრობაზე ძლიერი აღმოჩნდა. სავანის წინამძღვარი სამონასტრო საქმეების გაძღოლის პარალელურად თავდაუზოგავად იბრძოდა ქართველთა უფლებების განსამტკიცებლად და „ივერონის“ დასაბრუნებლად. ამისათვის, მას დიპლომატიური ურთიერთობა ორ ფრონტზე ჰქონდა გაშლილი - რუსეთსა და საბერძნეთში. კონსტანტინეპოლის პატრიარქთან - იოანე III-სთან გაგზავნილმა საქართველოს სამღვდელოების წერილმა შედეგი ვერ გამოიღო. მამა ბენედიქტემ კავკასიის მეფისნაცვალს სთხოვა შუამდგომლობა კონსტანტინეპოლში მყოფ რუსეთის ელჩთან ლობანოვ-როსტოვსკისთან, რათა ივერონის მამულებიდან მიღებული შემოსავალი ბერძნების ნაცვლად ქართველებს გადასცემოდათ.

ამ საშვილიშვილო საქმეს ილია ჭავჭავაძე მწვავე წერილით გამოეხმაურა და ყველას შეახსენა იერუსალიმის პატრიარქის - დოსითეოსის სიგელგუჯარი, რომლითაც ნათელი ეფინებოდა ქართველთა საკუთრების ბერძნებისათვის დროებით გადაცემის ფაქტს. ილია აღნიშნავდა: „როცა ოსმალების შემოსევებისაგან ქართველთა მდგომარეობა მძიმე გახდა... საჭიროდ სცნეს საბერძნეთში არსებული მამულები და მათი შემოსავლები დროებით საპატრონოდ ბერძნებისათვის მიეცათ, რაც





ქართველებს გუჯრებით ჰქონდათ შენირული იმ პირობით, რომ მშვიდობიან დროს მონასტრებსა და მამულებს შენირულობით უკანვე დაიბრუნებდნენ. როდესაც ივერიიდან ჩამოვიდოდა წინამძღვარი, მას უნდა ჩაებარებინა ყველა ქართული მონასტერი თავისი სიმდიდრით“.

ცხადია, ბერი დახმარებისათვის ქართული ეკლესიისა და ქართველი ერის გულშემატკივარ მწერალს მიმართავდა. ათონის ივერითა მონასტერზე კუთვნილი უფლების დაბრუნება, ეროვნული ღირსება, მოყვასისა და სამშობლოს ისტორიული სიყვარული ერთნაირად აღელვებდა ორივე მამულიშვილს, როგორც ეკლესიის მიერ წმინდანად შერაცხულ შემოქმედს, ასევე ღვთის სამსახურისთვის თავშენირულ ბერს.

მიძღვნის ტექსტი ახლავს ზურაბ ავალიშვილის თხზულებას „Присоединение Грузии к России“. მას ავტორი ილიას უძღვნის ასეთი წარწერით: „Князю Илье Григорьевичу Чавчавадзе почтительное приношение автора“. წიგნი ილიას ნაუკითხავს და ზოგიერთ საკითხზე თავისი უკმაყოფილება გამოუხატავს. „რა ქართველია, რომ ქართულს წყაროებს ფრანციცულიდამ იღებს“ - მიუწერია ილიას ტექსტში არსებული ციტატის ქვეშ, რომელიც მარი ბროსეს მიერ ფრანგულ ენაზე გამოცემულ პაპუნა ორბელიანის ქრონიკებიდან არის ამოღებული. გამოცემაში ავტორი ერეკლე მეფის ანდერძის შესახებ წერს...“Сила и даже подлинность которой оспаривались“. ილიას იქვე მიუწერია: „подлинность не имеется“; და, კიდევ, ტექსტში – „В Грузии не сталкивались интиресы европейских держав“... მიწერილი აქვს – „Не совсем так. Наполеон уже принимал меры против этого, но не имел времени серьезно им заняться“... და სხვა. წიგნში ავალიშვილი აღნიშნავს, თუ რა განსხვავებაა რუსეთისა და ინგლისის პროტექტორატს შორის და ხაზს უსვამს, თუ რატომ ვერ შეითვისა მეფის რუსეთმა ინგლისური სისტემა. როგორც ჩანს, ილიას მოეწონა ავტორის მოსაზრება, ეს ადგილი ორი ხაზით მოუნიშნავს და აღფრთოვანებით მიუწერია - „ჯან!“

ილია განსაკუთრებული სტუმართმოყვარეობით იყო ცნობილი. მის ოჯახში იკრიბებოდნენ მწერლები, მსახიობები, საზოგადო მოღვაწეები. თითქმის ყველა სტუმარი მონაწილეობას იღებდა ლიტერატურულ-საგამომცემლო საქმეში. სტუმარ-მასპინძლის სასაუბრო თემას უმთავრესად მწერლობა და ქვეყნის წირ-ვარამი წარმოადგენდა. სტუმრები მას თითქმის ყოველდღე ჰყავდა. მიუხედავად ამდენი მეგობრისა და ოპტიმისტური ბუნებისა, ილია მაინც მართოსულობას უჩიოდა, რაზეც მეტყველებს კოლექციაში დაცული ერთი წიგნის მინაწერი. ესაა 1890 წელს გამოცემული იოსებ დავითაშვილის

თხზულებანი. ეგზემპლარის ტვიფრულ-ვარაყიანი ასოებით დამშვენებულ ყდაზე ვკითხულობთ – „ი. დავითაშვილი. ი. ჭავჭავაძეს“. ილიას მიერ წითელი ფანქრით მონიშნულ ადგილებს შორის, საყურადღებოა ბოლო სტრიქონები: „ბევრი რამა ვთქვი საგრძნობი, მაგრამ მსმენელი ძვირია“. ეტყობა, ილიას გულს მოხვდა ეს სიტყვები, თვითონაც ხომ ამოიკვანესა ერთხელ: „ამდენ ხალხში კაცი არ არის, რომ ფიქრი ვანდო, გრძნობა ჩემი გავუზიარო!“.

ილიას უყვარდა ხალხური სიმღერები და, როცა საგურამოში, თავისი სახლის აივანზე ჩამოჯდებოდა, სიამოვნებით უგდებდა ყურს ბაღში მომუშავე გლეხების სიმღერას. თვითონ არასოდეს არ მღეროდა, მაგრამ ხალხური სიმღერების ძლიერი გრძნობა და მომხიბვლელობა მის ლექსებშია აღბეჭდილი. მეფის რუსეთის რუსიფიკატორული პოლიტიკის შედეგად ქართული ხალხური სიმღერა და საეკლესიო გალობა მივიწყების გზაზე იდგა. იგი ყველგან იდევენებოდა და ძველი სიმღერა-გალობის მცოდნენიც აღარ რჩებოდნენ. ამიტომ ქართველმა ეროვნულმა მოღვაწეებმა გადაუდებელ ამოცანად დაისახეს ძველი ქართული სიმღერა-გალობის აღდგენა (როგორც ქართლ-კახური, ისე იმერულ-გურული კილოებისა), მათი ნოტებზე ჩაწერა, მომღერალთა გუნდების შექმნა და ქართული ხალხური სიმღერის ფართო პროპაგანდა მისი ეროვნული სახის შესანარჩუნებლად. ამით საფუძველი ჩაუყარეს ქართულ პროფესიულ მუსიკას. ილია ჭავჭავაძემ ამ დიდ ეროვნულ მოვლენას ორი ვრცელი წერილი მიუძღვნა, რომელიც გაზეთ „ივერიაში“ გამოაქვეყნა.

სპეციალურად ილიასათვისაა მომზადებული ყდაში ჩასმული ტვიფრულ-ვარაყიანი ასოებით მორთული „ქართლ-კახური გალობა“, რომელზეც ვკითხულობთ: „მისს ბრწყინვალეობას თ. ი. გ. ჭავჭავაძეს ქართლ-კახური გალობა „კარბელაანთ კილოთი“. მეორე ნაწილი. ცისკარი“. წიგნის ავტორი სტეფანე (ვასილ) კარბელაშვილია. იგი წერდა, რომ ეს სახელწოდება „იმითომ კი არ ეწოდება, რომ იგი შექმნა კარბელოვმა, არა - მართო იმითომ, რომ მისითვე მამაპაპულად დღემდის დარჩა იმის ოჯახში და აქობამდის მოიტანეს“.

„იმედია რომ ქართველობა ჯეროვანის ყურადღებით და გულმხურვალეობით მიეგებება ამ საღმრთო საქმეს, რომელიც უნდა იყვეს ქვაკუთხედ იმ დიადის საგალობო საქმისა“ - წერდა წიგნში სტეპანე კარბელაშვილი.

ილიას პირად კოლექციაში დაცულია მწერლისადმი მიძღვნილი ვალერიან გუნიასეული „საქართველოს კალენდრის“ რამდენიმე ეგზემპლარი, რომლებსაც გამომცემლის ავტოგრაფი ამშვენებს: „თავ. ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძეს შემდგენე-



ლისაგან“, „თავად ილია ჭავჭავაძეს ავტორისაგან“, „დიდ ილიას პატარა ვალერიან გუნიასაგან“.

ვალერიან გუნია იყო ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ქვემარტივი მოღვაწე. მსახიობი, რეჟისორი, დრამატურგი, კრიტიკოსი, სახალხო არტისტი, პუბლიცისტი და გამომცემელი. იგი უზომოდ იყო შეწუხებული მაშინდელი საცენზურო კომიტეტის ზედამხედველობით. მის ერთ-ერთ ჩანაწერში ვკითხულობთ: „...ცენზურამ ხელ-ფეხი შემიკრა, ჩემი რედაქციის საქმე თანდათან ცუდად მიდის, სიტყვა არ მათქმევინეს, რა ვქნა არ ვიცი... ცენზურა მტანჯავს, ლუკა ისარლოვი ორმოს მითხრის...“ საბოლოოდ საცენზურო კომიტეტმა ვ. გუნია აიძულა საყვარელი გაზეთისათვის თავი დაენებებინა და ჩამოშორებოდა „თეატრს“. მუშაობის შეწყვეტის შემდეგ ვ. გუნია ილიამ თანამშრომლად მიიწვია „ივერიაში“, სადაც „ვალეიკო – ...იას“ ფსევდონიმით ბეჭდავდა წერილებსა და თეატრალურ რეცენზიებს, შემდეგ კი სათავადაზნაურო ბანკში მოაწყო. ვ. გუნია დაუახლოვდა ილიას და მისი ღირსეული თანამებრძოლი გახდა. იგი ჭავჭავაძეების ოჯახში გამართული „ხუთშაბათობების“ და „ილიაობის“ სასურველი მონაწილე გახლდათ.

ილიაც ხშირად სტუმრობდა ვალერიან გუნიას. მოგვიანებით, მისი მეუღლე, ნინო გუნია, იხსენებდა: „ვალერიანს ერთი „ვოლტერის“ სავარძელი ჰქონდა, რომელსაც ხშირად საწოლის მაგივრად იყენებდა, მუშაობაში გართული ჩაცმული იძინებდა ამ სავარძელში. ილია ჭავჭავაძეს ეს სავარძელი ძალიან უყვარდა, მოდიოდა თუ არა ჩვენსას, ვალერიანი შესთავაზებდა სავარძელს და იმართებოდა ბევრი საინტერესო მსჯელობა. ილიასა და ვალერიანს დიდი მეგობრობა აკავშირებდათ. ვალერიანი მას თავის მასწავლებლად თვლიდა. ის ხელმძღვანელობდა 1907 წელს საგურამოდან ილია ჭავჭავაძის გადმოსვენებას. ჩოხაში გამოწყობილი ვალერიანი ცხენზე ამხედრებული მიუძღვოდა პროცესიას“.

ილიასათვისაა განკუთვნილი მუქი მწვანე კოლენკორისყდიანი ორი წიგნიც. ორივე მათგანის ყდაზე ტვიფრული ოქრომელნითაა შესრულებული წარწერა: „ივერიის რედაქტორს თ. ილია ჭავჭავაძეს“. პირველი მათგანი არის მოლიერის თხზულება „კრიჟანი“. მეორე წიგნი - „საანდაზო ლექსები და აღწერა თავადთა და აზნაურთა გვარებისა“ განსაკუთრებული და ერთადერთია, რომელშიც ჟურნალ „ივერიაში“ დაბეჭდილი საანდაზო ლექსები და „შემოკლებითი აღწერა საქართველოსა შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა გვარებისა“, ერთად აუკინძავთ და მიურთმევიანთ ილიასათვის პატივისცემის ნიშნად.

მიძღვნის ტექსტებია 1903 წელს თბილისში

გამოცემულ ზაქარია ჭიჭინაძის წიგნებზეც - „კათოლიკეთა ეკლესია საქართველოში“ და „მღვთისმშობლის კათოლიკეთა ეკლესია ბათუმში“. ორივე მათგანის თავფურცელზე ერთნაირი წარწერაა: „დიდად პატივცემულს ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძეს პატივისცემით ეძღვნის დამწერისაგან“. ქართველი საზოგადო მოღვაწე, გამომცემელი, ლიტერატურისა და ისტორიის მკვლევარ-პოპულარიზატორი ზაქარია ჭიჭინაძე განსაკუთრებულ მოწინებებს გამოხატავდა სიცოცხლეშივე „ერის მამად“ წოდებული შემოქმედის მიმართ.

ზაქარია ჭიჭინაძისათვის გაუზიარებია ქართველი ხალხის ბედზე მუდამ მზრუნველ ილიას თავისი მოსაზრება საქართველოს რუსეთთან შეერთების აღნიშვნის შესახებ: „მე კერძოდ წინააღმდეგი ვარ ასეთის დღესასწაულის გადახდის. მე სულ იმ აზრზე ვიყავი, რომ საქართველოს რუსეთის იმპერიასთან დაკავშირება იყო თვით ქართველი ერის სიკვდილი. 40 წლის განმავლობაში ამას ვფიქრობდი, ამას ვემსახურებოდი, ამას ვაკეთებდი როგორც სიტყვით, ისევე კალმით. ეხლა თქვენ მეუბნებით, რომ 40 წლის განმავლობაში თქვენი ნაფიქრ-ნაღალადევი უარი ჰყავით და ასე უცებ ჩვენს განძრახვას დაემორჩილეთ. არა, მე ჩემი 40 წლის ნამაგდარი შეხედულება უარი ვერ ვყავი, გაუმეორე კვალად: მე ასე ვფიქრობ მეტეი და ამიტომ თქვენც გირჩევთ, რომ ამ აზრის იყვნეთ და ჩვენი სიკვდილის ასის წლის თავს ნუ ვიდღესასწაულებთ მეტეი, მათ არ ქმნეს. მე კიდევ უარი ვსთქვი: მე არ თანაუგრძნობ თქვენს განძრახვას და ამიტომ მშვიდობით ბრძანდებოდეთ. მე ჩემთვის, თქვენ თქვენთვის“. ისევ ჭიჭინაძის ჩანაწერიდან ირკვევა, რომ ილიას თავისი მოსაზრება გამოუთქვამს 1900 წელს და 1901 წელს ისევ გაუმეორებია.

ქართველი ფილოლოგი, ისტორიკოსი და საზოგადო მოღვაწე ალექსანდრე ხახანაშვილი საკუთარ ნაშრომს „Источники по введению христианства в Грузию“ მწერალს ასეთი წარწერით უძღვნის: „დიდად პატივცემულს ილია ჭავჭავაძეს“. „ივერიის“ რედაქტორი რეგულარულად აქვეყნებდა კოლეგის საინტერესო სამეცნიერო სტატიებს, როგორც სტუდენტობის წლებში, ასევე შემდგომშიც.

კოლეციის ფონდში დაცულია გერმანულ ენაზე მიუნჰენში გამოცემული „გოეთეს გალერეია“, რომელიც ილიასათვის არტურ ლაისტს უჩუქებია. მასზე ფრანგულადვეა წარწერა: „თავად ი. ჭავჭავაძეს გამოჩენილს და პატივცემულს“. პოეტს ხანგრძლივი მეგობრობა აკავშირებდა არტურ ლაისტთან, რომელიც ასე იგონებდა მას: ილია მშვიდი და თითქოს აუღელვებელი იყო, თავდაჭერილი, როგორც სიამოვნებაში, ისე მწუხარებაში. ხასიათის ამ თვისებით ილია გოეთეს მოგვაგონებს, რომლის



პოეზიაც მას ძლიერ მოსწონდა და უყვარდა. ილია გატაცებული იყო საუკეთესო ევროპელი მწერლებით. მათში იდეალურ პოეტად ილიას გოეთე მიაჩნდა, „ოლიმპიელს“ უწოდებდა და ქებას უძღვნიდა მის უნივერსალურ ცოდნას. ილია არა მარტო ლიტერატურის, არამედ ცხოვრების ევროპიზაციის მომხრე იყო. თავად კი მიუხედავად ევროპული განათლებისა, სულით და გულით მუდამ ქართველად დარჩა.

ღვთიური ნიჭით დაჯილდოვებული მწერალი მეტად მამაცი და სხარტიც იყო, რაზეთაც ერთი პატარა ამბავიც მოწმობს: 1887 წლის ზაფხულში თბილისში ჩამოვიდა ლაზარევის ინსტიტუტის პროფესორი ილია ოქრომჭედლიშვილი. ივანე მუხრანბატონმა მის პატივსაცემად სადილი გამართა დილომში. თბილისიდან ილია საკუთარი ეტლით მიემგზავრებოდა სტუმრებთან ერთად. ერთ დაღმართზე, დიღმის დუქანთან ეტლი ცხენებმა გაიტაცეს, მეეტლე დაიბნა, ილია კი კოფოზე შეხტა, მეეტლეს აღვირი გამოსტაცა და, როგორც იყო, ცხენები დააოკა. სახიფათო გზაზე მას არასოდეს იპყრობდა შიში. ხანდახან, როცა ღამით გვიხდებოდა მოგზაურობა, ილიას თვითონ მიჰყავდა ეტლი, ანდა ფაციციებით ადევნებდა თვალყურს მეეტლეს და რჩევას აძლევდა – იხსენებდა მოგვიანებით არტურ ლაისტი.

80-იანი წლების ბოლოს ილია ახალბებუთოვის ქუჩის კუთხეში ცხოვრობდა, მალე ამავე ქუჩაზე ზუბალაშვილის სახლში გადასახლდა. დიდი ბინა მრავალ მეგობარს იტევდა. აქვე იმართებოდა ილიას ცნობილი ხუთშაბათობები. სტუმრებს ილიასთან ერთად მასპინძლობდა მუდამ მომღიმარი დიასახლისი - მისი მეუღლე ოლღა. იგი სახლში ალევრისათვის სხვადასხვა ნივთებს ამზადებდა. „ალევრი“ იტალიური სიტყვაა და სახუმარო წარწერას - „იყავი მხიარულს“ ნიშნავს, რომელსაც ლატარიის ბილეთებზე აწერდნენ. ეს ევროპაში გავრცელებული ერთგვარი სახალისო გართობა-გათამაშება იყო, რომელიც ჭავჭავაძეებთან „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ სასარგებლოდ იმართებოდა. ოლღა მეუღლის არაჩვეულებრივი მეგობარი და თანამდგომი იყო ყველა საქმეში. წყვილის საოცრად თბილი და განსაკუთრებული ურთიერთობა ხომ საქვეყნოდ იყო ცნობილი. კოლექციაში დაცულია პირადად ოლღა ჭავჭავაძისათვის ფ. გოგიჩაიშვილის, ბ. ესაძის, ი. ყაზბეგის, ა. ფირალოვისა და სხვათა მიერ ნაჩუქარი წიგნები. მხოლოდ ერთ მათგანზე შევაჩერებ თქვენს ყურადღებას. ილიას საკუთარ „თხზულებათა“ I ტომი მეუღლისთვის უჩუქებია წარწერით – „ჩემს კარგ ოლიკოს. ილია ჭავჭავაძე“.

კოლექციის ყველაზე პატარა გამოცემაც ოლღას

საკუთრება ყოფილა. ესაა ტფილისში 1900 წელს დაბეჭდილი მინიატურული წიგნი – მოსე ჯანაშვილის „უკვდავთა ღაღადებანი“, რომელზედაც ავტორს წითელი მელნით მიუწერია: „ღრმად პატივცემულს ოლღა თადეოზის ასულს კნეინა ჭავჭავაძისას. მ. ჭ-საგან.“


მოსე ჯანაშვილის მიძღვნის ტექსტია ვახუშტი ბატონიშვილის „აღწერა საქართველოდსაზეც“, რომლის I წიგნი 1892 წელსაა გამოცემული. მის თავფურცელზე გაკრული ხელით მიწერილია: „დიდად პატივცემულ ილია გრიგოლისძე ჭავჭავაძეს. გამომცემლისაგან“.

ილია ჭავჭავაძის კოლექციის წიგნები წითელი და ლურჯი ფანქრითაა გადანომრილი, რომელთა შესახებაც სხვადასხვა მოსაზრება არსებობდა. საბოლოოდ გაირკვა, რომ ეს ციფრები თაროზე წიგნების რიგითობის აღმნიშვნელია და ეგზემპლარები მათ მფლობელს გადაუნომრავს.

საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის მიერ წმინდანად შერაცხულმა და „ილია მართლად“ სახელდებულმა შემოქმედმა უდიდესი წვლილი შეიტანა ჩვენი ქვეყნის სულიერი, კულტურული, სოციალური და პოლიტიკური განვითარების საქმეში. ქართველი ხალხის ისტორიული ცხოვრების, სამშობლოს წარსულის, აწმყოს და მომავლის სიმბოლოდ ქცეული ილია ჭავჭავაძის კოლექცია მუდამ უძვირფასეს განძად დარჩება. მაღლიერი შთამომავლობისთვის ძვირფასია თავდადებული მამულიშვილის ცხოვრება და შემოქმედება, მისი ყოველი ნააზრევ-ნაფიქრალი, ხელნაწერი, წიგნი თუ ჟურნალ-გაზეთი.

გამოყენებული ლიტერატურა:

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება : თანამედროვეთა მოგონებები / [შემდგ.: ლეილა ნანიტაშვილი]. - თბ. : რჩეული, 2004. - 147გვ.
თაქთაქიშვილი, ლ. წერა-კითხვის საზოგადოების ბიბლიოთეკის აღდგენა// ქართული წიგნი. -, 2001. - აპრილი. - N4.
შარაძე, გ. ილია ჭავჭავაძე, 1837-1907 : ცხოვრება, მოღვაწეობა, შემოქმედება, ფოტომატიაზე : 2 წიგნად. - თბ. : ხელოვნება, 1987. - წ. 1 : [1837-1885]. - 376გვ.
მაჭავარიანი, თ. ილია ჭავჭავაძის პირადი ბიბლიოთეკის კატალოგი / საქ. სსრ კულტურის სამინისტრო ; [შემდგ.: თ. მაჭავარიანი]. - თბ., 1957. - 92გვ.
ილია ჭავჭავაძის პირადი ბიბლიოთეკა / საქ. სსრ სახ. რესპ. ბიბ-კა ; [შემდგ.: ე. იმნაძე, გ. რამიშვილი ; რედ.: კ. რამიშვილი]. - (მე-2 შევს. და შესწ. გამოც.). - თბ., 1987. - 207გვ.
ბაქრაძე, ლ. ილია ჭავჭავაძის წერილი, რომელიც პირველად ქვეყნდება// არტინფო (Artinfo.ge). - თბ., 2017.



Հիտլաժակի «Յոթնությաւննի» լիսնիսի բաժըրնի չժոնոնի ներմոնս լիսնիս նճըզըլիս
չանլը՝ շիւմի (լիսնիս լի «Փալանգ», 1881, լի13)